„ეს არჩევნები ყველას, შინაც და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც დაარწმუნებს, რომ ჩვენ ნამდვილად დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება შევძელით“

პრეზიდენტი



## ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა შეუფერხებლად მიმდინარეობს

„დიდი აბრეშუმის გზის“ აღდგენის პროცესში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა ყველაზე სერიოზული ეტაპია. სამართლიანად უწოდებენ მას საუკუნის პროექტს. როგორც ექსპერტები აცხადებენ, ნავთობსადენის მშენებლობის დასრულების შემდეგ, იგი უზრუნველყოფს ნავთობის ეკოლოგიურად უსაფრთხო, სტაბილურ, უწყვეტ, საიმედო და ეკონომიურ ტრანსპორტირებას კასპიის რეგიონის ქვეყნებიდან საერთაშორისო ბაზარზე.

ამჟამად საუკუნის პროექტის საქართველოს ნაწილის ხორცშესხმა სამცხე-ჯავახეთის მხარეში, სოფელ ტაბაწყურის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობს.

25 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე და სხვა თანმხლები პირები ტაბაწყურში ჩავიდნენ და იქ მიმდინარე სამუშაო პროცესების დეტალებს გაეცნენ. საქართველოს ნავთობსადენის საერთაშორისო კორპორაციის წარმომადგენლებმა, რომლებიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელებაში მონაწილეობენ, პრეზიდენტს აცნობეს, რომ პროექტის ფარგლებში მუშაობა შეუფერხებლად მიმდინარეობს და დღეისათვის არ არსებობს მიზეზი, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს ამ პროექტს.

იხ. მე-2 გვ.

## ედუარდ შევარდნაძე: „თქვენს არჩევანზეა დამოკიდებული საქართველოს ბედი“

25 ოქტომბერს ნაშუადღევს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ახალქალაქს ეწვია. „ერთად ვაშენოთ ახალი საქართველო“ — ამ ლოზუნგით შეხვდა სახელმწიფოს მეთაურს ახალქალაქის კულტურის სახლში შეკრებილი მოსახლეობა.

თავდაპირველად საქართველოს პრეზიდენტი, სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, თანმხლები პირები ეწვივნენ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის ახალქალაქის ფაკულტეტს, სადაც დაათვალიერეს საკომპიუტერო სასწავლო ცენტრი და ქართული ენის კათედრა, ესაუბრნენ პედაგოგებსა და სტუდენტებს. ედუარდ შევარდნაძემ კმაყოფილება გამოთქვა უმაღლეს სასწავლებელში შექმნილი ატმოსფეროთი. სახელმწიფო მინისტრმა, შესაძლებლობის ფარგლებში, დახმარება აღუთქვა მასპინძლებს, რომლებმაც გამოთქვეს მოსაზრება, რომ მოკლე დროში სასწავლებელი შეძლებს კვალიფიციური კადრებით სახელმწიფო დაკვეთის შესრულებას. ხაზგასმით აღინიშნა ის გარემოება, რომ უნივერსიტეტის ახალქალაქის ფილიალში სხვა ეროვნების წარმომადგენელი ახალგაზრდები სახელმწიფო ენას ეუფლებიან.

იხ. მე-2 გვ.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“ ჟორჟ ვაშაძე

„საქართველოს რესპუბლიკა“ ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.

სს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd

# საქართველოს რესპუბლიკა

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №288 (4667) კვირა, 26 ოქტომბერი, 2003 წელი. ფასი 50 თეთრი.

დიდი სატკივარი

## თაობა უნარკოტიკოდ. საჭიროა ფიქრი!

ამ წერილის მომზადება ორმა ბარათმა მიკარნახა:

„6 წლის გიორგის მამამ სახლიდან გასვლისას დაუბარა: — აბა შენ იცი, ოჯახში ჩემს მაგივრად შენ გტოვებ!

მამამ კარი გაიხურა თუ არა, გიორგი ტახტზე წამოგორდა, მუცელზე მამის საფერფლე დაიდო, კბილებში სიგარეტის ნაცვლად ასანთის ღერი გაირჭო და სერიოზულად მიაჩერდა ტელევიზორის ეკრანს. მანანა ბაღათურია“.

იხ. მე-3 გვ.

ცხელი თემა

## ოპოზიციური პარტიები ხელისუფლებას კი არა, ერთმანეთს ებრძვიან

**გვესაუბრება სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე ვახტანგ რჩეულიშვილი**

— ბატონო ვახტანგ, საუბარმა (ზოგან უკვე ცხარე შეხლა-შემოხლამ) მომავალი არჩევნების გაყალბებაზე, ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა. ოპოზიცია ხელს იშვერს პოზიციისკენ, პოზიცია — ოპოზიციისკენ. რა გახდა ამ სიების დადგენა და ერთხელ და სამუდამოდ ლაპარაკის დამთავრება?

— არჩევნების გაყალბების რეალობა საქართველოში ყოველთვის არსებობდა. მთავარია, კონკრეტულად დავასახელოთ ის ადამიანები, რომლებიც ამას აკეთებდნენ. ესენი იყვნენ მოქალაქეთა კავშირის — ქვანიას ფრთის წარმომადგენლები. ქვანია იყო ყოველთვის მმართველი პარტიის საარჩევნო შტაბის უფროსი. სწორედ იგი გეგმავდა და ახორციელებდა კიდეც არჩევნებს, რომელიც დაფუძნებული გახლდათ გაყალბებაზე.

იხ. მე-2 გვ.

ორბიტაზე

## საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა მსოფლიო შეცვალა




**საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე დღესაც თავის პრინციპებს არ ღალატობს**

**— ბატონო პრეზიდენტო, თქვენს მიერ განვლილი გზა პიკასოს შემოქმედების მსგავსად რამდენიმე პერიოდად შეიძლება დაიყოს. როდის იგრძენით, რომ „წითელი ხანა“ დასასრულს უახლოვდებოდა?**

— პიკასოსგან განსხვავებით, მხატვრობაში ნიჭს მოკლებულმა, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნამდე ვიგრძენი კომუნისტური ხანის დასასრულის მოახლოება. მაშინ ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოს ვმართავდი. სწორედ მიხეილ გორბაჩოვის მოღვაწეობის დროს გამოიკვეთა საბჭოთა კავშირის დამხობის გარდუვალობა.

**— საქართველოში დაბრუნებამდე, თქვენ საბჭოთა დიპლომატიას ედექით სათავეში, რამდენად ესადაგება ეს ორი მოვალეობა ერთმანეთს?**

— მოკლედ გეტყვით. მიხეილ გორბაჩოვმა მაშინდელი უმაღლესი ორგანოს — პოლიტბიუროს სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა შემომთავაზა, მახსოვს, გორბაჩოვმა ჩემს ქართულ წარმომავლობას გაუსვა ხაზი. სტალინიც ახსენა, თუმცა, საგანგებოდ ისაუბრა ჩემსა და სტალინს შორის განსხვავებაზე. პირველი ადამიანი, ვინც გორბაჩოვის წინადადებამ გააკვირვა, მე გახლდით. საგარეო საქმეთა მინისტრობის თავიდან ასაცილებლად დიპლომატიაში ჩემი გამოუცდელობაც კი მოვიმიზეზე. ეთნიკურად მრავალფეროვანი საქართველოს მართვისას მიღებული გამოცდილება ძალიან დამეხმარა საგარეო საქმეებში დროულად რომ გავრკვეულიყავი.

იხ. მე-3 გვ.

საფრანგეთის პრესის პუბლიკაციების მიხედვით

დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 23 ოქტომბერი ქ.თბილისი

**პატრიკ გურმელონის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ქართულ მედიცინაში ბიოლოგიური დოზიმეტრიის მეთოდის დანერგვასა და საქართველოში რადიაციული ინციდენტების ლიკვიდაციაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის საფრანგეთის რადიოპროტექციისა და ბირთვული უსაფრთხოების ინსტიტუტის ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისა და დოზიმეტრიის დივიზიონის ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი **პატრიკ გურმელონი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

შევეწიოთ!



## სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა

**ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:**

| | |
|---|---|
| ელენე და თამაზ თოდუები | — 500 ლარი; |
| კონსტანტინე თევდორაძე | — 100 ლარი; |
| მაია სანებლიძე | — 10 ლარი; |
| გიორგი თათრიშვილი | — 200 აშშ დოლარი; |
| ლევან შერაზადიშვილი და ნათია ხორბალაძე | — 50 აშშ დოლარი; |
| ოლღა ფანჩულიძე | — 10 აშშ დოლარი. |

გიხაროდენ!

## მირიანაშვილებს ხუთი ბიჭი ეზრდებათ



— თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის გვერდით, საირმის ქუჩაზე №6-ში მცხოვრებ, ამავე სკოლის მათემატიკის მასწავლებელ თამარ შაშიაშვილისა და იურისტ ირაკლი მირიანაშვილის ოჯახში მიმლოცველთა ფეხისხმა არ წყდება. ჯერ იყო და ახალგაზრდა მშობლები (ორივენი 32-32 წლისანი არიან) სამი ვაჟიშვილით ხარობდნენ, ახლახან სანდროს, შოთას და გიორგის დედას №4 სამშობიარო სახლში ტყუპები — ლუკა და ნიკოლოზი შეეძინა. მთავარმა ექიმმა დალი გაბიძაშვილმა ამშობიარა. თამარი სამშობიარო სახლის სამედიცინო პერსონალის მომსახურებით კმაყოფილია. რედაქციაში გესტუმრეთ, რომ ჩემი მეგობრის, ბავშვების ბაბუის მეველუდ შაშიაშვილის სიხარული გაგიზიაროთ. თამარი და ირაკლი ქვემო ბეთლემის ეკლესიის მრევლი გახლავთ, მორწმუნენი არიან, მათი მოძღვარია მამა ალექსანდრე ბოლქვაძე, გვითხრა მერაბ გოდერძიშვილმა.

მირიანაშვილები საქართველოს ხუთ ვაჟკაცს უზრდიან.

ვულოცავთ!

**ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.**

ინფორმაცია

### კომისიების მორიგი შეხვედრა მოსკოვში გაიმართება

აფხაზეთში დევნილთა დაბრუნების რუსეთ-საქართველოს სამთავრობო კომისიების მორიგი ორმხრივი, რიგით მე-3 შეხვედრა მოსკოვში ნოემბრის პირველ დეკადაში გაიმართება. ამ შეხვედრაზე მხარეები დევნილთა დაბრუნების პრინციპებსა და მექანიზმებზე იმსჯელებენ.

სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა უწყების ხელმძღვანელის სერგეი შამბას მტკიცებით, ქართული მხარის დაჟინებული მოთხოვნით, მოსკოვის შეხვედრა აფხაზური მხარის წარმომადგენლების გარეშე, ქართულ-რუსულ ფორმატში გაიმართება. შამბა გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ქართული ხელისუფლება „ვერა და ვერ გებულობს იმას, რომ აფხაზეთში, აფხაზების გარეშე არც ერთი საკითხი არ გადაწყდება“.

### ბიძინა კვერნაძის ვარსკვლავი

ფილარმონიის წინ დღეს ცნობილი ქართველი კომპოზიტორის ბიძინა კვერნაძის ვარსკვლავი გაიხსნება.

დღესვე თბილისის სახელმწიფო ფილარმონიაში კვერნაძის შემოქმედებითი საღამო გაიმართება, სადაც კომპოზიტორის ნაწარმოებები განახლებული სახით იქნება წარმოდგენილი.

როგორც „ინტერ-პრესს“ კომპანია „არტ-იმედის“ მსახიობმა ნუკრი კაპანაძემ განუცხადა, საღამოზე ბიძინა კვერნაძის კინომუსიკა ორკესტრთან ერთად და მისი სიმღერები შესრულდება, რომლის განახლებაზეც გივი გაჩეჩილაძემ იმუშავა.

ცნობილ ქართველ კომპოზიტორს ბიძინა კვერნაძეს წელს, 29 ივლისს 75 წელი შეუსრულდა. იგი პირველი ქართველი კომპოზიტორია, ვისი ვარსკვლავიც ფილარმონიის წინ გაიხსნება.

### საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები თითქმის შესრულდა

საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები თითქმის შესრულებული აქვს და მასთან პრობლემები არ გააჩნია. ამის შესახებ „ინტერ-პრესს“ ეკონომიკის მინისტრმა გიორგი გაჩეჩილაძემ განუცხადა.

ფონდის რეკომენდაცია, რომელიც სამ მსხვილ საწარმოში საერთაშორისო აუდიტის ჩატარებას გულისხმობს, მინისტრის თქმით, თითქმის შესრულებულია. როგორც გაჩეჩილაძემ აღნიშნა, სს „მადნეულსა“ და „ფოთის პორტში“ აუდიტი უკვე ხორციელდება, ხოლო „საქართველოს რკინიგზა“ საერთაშორისო აუდიტთან „პრაის ვოთერ ჰაუს კუპერთან“ ხელშეკრულებას უახლოეს დღეებში გააფორმებს.

ერთადერთი გაურკვევლობა „აგრობიზნესბანკის“ პრივატიზაციაა. როგორც გაჩეჩილაძემ განაცხადა, ევროგაერთიანება, რომელიც ბანკში წილს ფლობს, ბანკის პრივატიზების კატეგორიული წინააღმდეგია, სავალუტო ფონდი კი მის გაყიდვას მოითხოვს.

**ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.**

დღის რობაი

**ამომრჩეველთა სიებში ბევრი მკვდარი სულია.** (გაზეთებიდან)

გაჯავრებულან თურმე მკვდრები — ქვისქვეშ ნადები:
აღარ გვინდაო, გემსახუროთ კვლავ თავდადებით! —
მანდაურ ცოცხალ მიცვალებულთ რამდენს ვჯობივართ,
ამ პარლამენტში ჩვენ გვსურს ჩვენივ დეპუტატები!..

ლადო ბრელაშვილი.

სიტყვას ითხოვს დეპუტატობის კანდიდატი

## ტალახი კი არ ვესროლოთ ერთმანეთს, საქმეებზე ვილაპარაკოთ და გავაკეთოთ კიდეც

**ბატონ მიხეილ მაჭავარიანს და ჩემთან ტელედებატების გამართვის ყველა მსურველს**

იხ. მე-3 გვ.

უკანასკნელი საათის

წუხელ მოსკოვის ერთ-ერთი რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ნავთობკომპანია „იუკოსის“ ხელმძღვანელსა და უდიდეს აქციონერს, მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა 26-ე ნომერს, მულტიმილიარდერ მიხეილ ხოდორკოვსკის წინასწარი პატიმრობა მიესაჯა.



მოძრაობა „თალიბანმა“ დაიბრუნა კონტროლი ავღანეთის ნაწილზე. ამის შესახებ ნათქვამია გაეროს გენერალური მდივნის მოადგილის ჟან-მარი გეენოს მიერ მომზადებულ მოხსენებაში. ავღანეთში მიმდინარე მოვლენები მან დაახასიათა როგორც ქვეყანაში ცენტრალური ხელისუფლების შესუსტების „საგანგაშო ნიშანი“.



ამინდი დღეს

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | — მცირე მოღრ. წვიმა. | ღამით +8, დღისით +13 |
| ბათუმი | — ცვალებადი. მოღრ. წვიმა. | ღამით +12, დღისით +15 |
| სოხუმი | — ცვალებადი. მოღრ. წვიმა. | ღამით +10, დღისით +15 |
| ფოთი | — ღრუბ. ამინდი. წვიმა. | ღამით +10, დღისით +14 |
| ქუთაისი | — ღრუბ. ამინდი. წვიმა. | ღამით +9, დღისით +13 |
| გორი | — ღრუბ. ამინდი. წვიმა. | ღამით +8, დღისით +11 |
| თელავი | — ცვალებადი. მოღრ. წვიმა. | ღამით +8, დღისით +13 |

ლარის კურსი

**25 ოქტომბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები**

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.5462 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.0925 | ლარი |
| ევრო | 1 | 2.4664 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0699 | ლარი. |

ყურადღება!

## ხომ არ დაგავიწყდათ საათის ისრების გადაწევა?



ევროპის ქვეყნების მიერ ზაფხულის დროის შემოღებისა და გაუქმების შეთანხმებული ვადების (ბრიუსელი, 2001 წლის იანვარი) გათვალისწინებით საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით 2003 წლის 26 ოქტომბრიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაუქმდა ზაფხულის დრო (03 საათზე მოხდა საათის ისრების გადაწევა ერთი საათით უკან).

საქართველოს სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ნება მიეცათ მიზანშეწონილობის შემთხვევაში სამუშაო დრო შეამცირონ ერთი საათით, საღამოს საათების ხარჯზე.

საქინფორმი.

ინტერპანორამა

ქალაქ ტიკრიტის ახლოს სადამ ჰუსეინის მომხრეებმა ამერიკული შვეულმფრენი ჩამოაგდეს. აშშ სარდლობის შეფასებით, ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებზე თავდამსხმელებს აქვთ ასობით გადასატანი საზენიტო სარაკეტო კომპლექსი, რომლებიც მათ „მემკვიდრეობით“ დარჩათ ყოფილი რეჟიმისაგან.



ისრაელის ხელისუფლებამ პალესტინელ დეპუტატებს ქალაქ რამალაჰში ჩასვლა აუკრძალა. პალესტინის საკანონმდებლო საბჭო იძულებული გახდა გადაედოთ შაბათისთვის დანიშნული სპეციალური სესია. სესიაზე პარლამენტის ახალი თავმჯდომარე უნდა აერჩიათ, პრემიერ-მინისტრად დანიშნული აჰმედ კურეის ნაცვლად.



კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა „მზად არის განიხილოს აშშ-ის გარანტიები თავდაუსხმელობის შესახებ, რის თაობაზეც განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ბანგკოკის სამიტის დროს, თუ იგი ეფუძნება ჩრდილოეთ კორეასთან მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს.“

გვირეკავენ, გვეკითხებიან

— ვარ 74 წლის, მარტოხელა პენსიონერი. მსურს მოვთავსდე მოხუცთა პანსიონატში. ამასთან დაკავშირებით მაინტერესებს, იქ ყოფნის პერიოდში მომეცემა თუ არა სრულად კუთვნილი პენსია?

ნინო ნარიმანიძე.

— გაცნობებთ, რომ მოხუცთა პანსიონატში სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე ყოფნის პერიოდში პენსია სრულად არ მოგეცემათ.

ირინე ღლონტი.

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.**

პრეზიდენტი

# ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა შეუფერხებლად



პირველი გვერდიდან

ნავთობის კორპორაციის მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელმა ზურაბ ზურდიამ საქართველოს პრეზიდენტს განუცხადა, რომ დღეისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობსადენის მილების დაახლოებით 84 კილომეტრი სიგრძით შეერთებულია, აქედან 82 კილომეტრი მომზადებულია სამუშაო ზონაზე, 55 კილომეტრზე დალაგებულია ნავთობსადენის მილები. ხაზოვანი უკვე შედუღებულია მილები 47 კილომეტრი სიგრძის მონაკვეთზე და ისრითვე ჩადებულია 18 კილომეტრი სიგრძის მონაკვეთზე. სულ საქართველოს ტერიტორიაზე უნდა შემოიტანონ 248 კილომეტრის სიგრძის მილები. აქედან 236 კილომეტრი უკვე ჩვენს ქვეყანაშია, ანუ პრაქტიკულად, იაპონიაში წარმოებული მილების საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა თითქმის დასრულებულია.

უშუალოდ მარშრუტზე დასაქმებულია დაახლოებით 2600 კაცი, აქედან 2144 საქართველოს მოქალაქეა და მათი მინიმალური ხელფასი შეადგენს 400, ხოლო მაქსიმალური-1000 ლარს და მეტს.

მილსადენის დასაცავად გამოყენებული იქნება უპრეცედენტო უსაფრთხოების ზომები, როგორც გეოტექნიკური, ასევე ფიზიკური. მილსადენის მშენებლობის დასრულების შემდეგ ამოქმედდება 9-საფეხურიანი დაცვის მექანიზმი, რაც იმას ნიშნავს, რომ მილსადენის დაცვა 100 პროცენტით იქნება გარანტირებული.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობას დიდი მნიშვნელობა აქვს ხოლო საქართველოსთვის, რადგანაც, ისინი, რომლებიც მონაწილეობენ, მიიღებენ სოლიდურ ფულად კომპენსაციას და, რაც მნიშვნელოვანია, მშენებლობის მიმდინარეობის აღდგენილია ამ რაიონების 64 კილომეტრის სიგრძის საავტომობილო გზა.

ედუარდ შევარდნაძემ გაესაუბრა სოფლის მოსახლეობას და განუცხადა მათ, რომ ეს მშენებლობა დიდ ძალიან ბევრ სიკეთეს მოუტანს მათ და სულ მალე ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება. სოფლის მცხოვრებლებმა მადლიერება გამოხატეს საქართველოს პრეზიდენტის მიმართ და განაცხადეს, რომ ვარდნიანი ეს ბავშვები გაიზრდებიან, საქართველოში ეს პროექტი საუკეთესოდ განხორციელდება.

— ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ კიდევ ერთხელ მოგვეცა თქვენი ნახვის და თქვენთან საუბრის საშუალება, — განუცხადეს ედუარდ შევარდნაძეს გაბაწყურის მკვიდრებმა.

საქინფორმი.

დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 23 ოქტომბერი ქ. თბილისი

**რუსუდან ლაშხიასა და ვალერიან წანწაძის დირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

მრავალწლიანი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებში აქტიური მონაწილეობისათვის და მაღალი პროფესიონალიზმისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჩინეს № 2 საშუალო სკოლის დირექტორი **რუსუდან ლაშხია** და სოფელ პირველი მაიდანის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი **ვალერიან წანწაძე** დაჯილდოვდნენ დირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 23 ოქტომბერი ქ. თბილისი

**რევაზ ამბროლაძის, საბინო კიკაბიძისა და ზურაბ ლეჟავას დირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოში აღმოსავლური ორთაბრძოლების განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ახალგაზრდობის სპორტულ-პატრიოტული აღზრდისა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის დირსების ორდენით დაჯილდოვდნენ:

**რევაზ ამბროლაძე** — საქართველოს „შოტოკან კარატე-დოს“ ასოციაციის მთავარი მწვრთნელი; **საბინო კიკაბიძე** — თბილისის სკოლის დირექტორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი; **ზურაბ ლეჟავა** — საქართველოს „შოტოკან კარატე-დოს“ ასოციაციის თავმჯდომარე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

ედუარდ შევარდნაძე.

# ედუარდ შევარდნაძე: „თქვენს არჩევანზეა დამოკიდებული საქართველოს ბედი“



— ფილიალი ორი წელიწადია არსებობს, სადღეისოდ აქ 6 ფაკულტეტის 10 სპეციალობაზე 315 სტუდენტი სწავლობს, — განაცხადა საქინფორმის კორესპონდენტთან ექსკლუზიურ ინტერვიუში ფილიალის დირექტორმა მერაბ ბერიძემ. — მომავალი პედაგოგების, სამართალმცოდნეების, მათემატიკოსების, ეკონომისტების, უცხო ენების სპეციალისტებისა და ფილოლოგებისათვის სწავლება მიმდინარეობს როგორც ქართულ, ასევე სომხურ ენებზე. ამდენად, სტუდენტებისათვის, რომელთა შორის 60 პროცენტი არაქართველი მოსახლეობის წარმომადგენელია, ძალზე კომფორტული ატმოსფეროა შექმნილი. თუმცა პრობლემები მაინც არის.

უნივერსიტეტის შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ დაათვალიერა ახალქალაქის რაიონული საავადმყოფო, ცოტა ხნით ეწვია ახალქალაქის გამგეობას.

ახალქალაქის კულტურის სახლში საქართველოს პრეზიდენტი შეხვდა რაიონის მოსახლეობას, ინტელიგენციის წარმომადგენლებს.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა სამცხე-ჯავახეთის მხარეში გელა კვარაცხელიამ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს რეგიონში ქვეყნის მეთაურის ჩამობრძანებას. — ახლა დიდი ტკივილების დრო მიდის, როცა სახელმწიფო სწორედ ისეთ სახეს იღებს, როგორიც უნდა ჰქონდეს ცივილიზებულ ქვეყანას. ამ ცვლილებების ავტორი სწორედ საქართველოს პრეზიდენტია, რომელიც ამ ცვლილებებზე მაშინ ფიქრობდა, როცა ვერავინ წარმოიდგენდა, თუ რა წარმატებებს მიაღწევდა საქართველო მსოფლიო ასპარეზზე, — განაცხადა სახელმწიფო რწმუნებულმა და აღნიშნა, რომ სამცხე-ჯავახეთი ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი რეგიონია, მისი მოსახლეობა მხარს უჭერს ედუარდ შევარდნაძის კურსს და არავის მისცემს უფლებას ქვეყანაში დაძაბოს სიტუაცია.

შეხვედრაზე გამოსულებმა — სამცხე-ჯავახეთის რაიონების გამგებლებმა, ქალაქის ხელმძღვანელებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, აგრეთვე სათბობ-ენერგეტიკისა და ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრებმა ილაპარაკეს იმ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებებზე, რომლებიც ერთობ თვალშისაცემია რეგიონში, თუმცა ითქვა მწვავე პრობლემების შესახებაც, აღნიშნეს, რომ მომავალ პარლამენტის არჩევნებს დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის მომავლისათვის და კიდევ ერთხელ დაადასტურეს თავიანთი მხარდაჭერა სახელისუფლებო ბლოკისადმი.

ნინოწმინდის გამგებელმა რაფაელ არზუმანიანმა გაიხსენა სომხეთის პრეზიდენტის რობერტ ქოჩარიანის საქართველოში ბოლო სტუმრობისას წარმოთქმული სიტყვები: თუ დიასპორა იმ ქვეყნის მთავრობას არ დაუჭერს მხარს, სადაც ცხოვრობს, ასეთი დიასპორა დიდხანს ვერ იარსებებსო. და ეს სიტყვები, მისი თქმით, იმის დასტურად გაიხსენა, რომ რეგიონის მოსახლეობა მხარს უჭერს საქართველოს ხელმძღვანელობის კურსს.

**შეხვედრაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელიც მიესალმა ახალქალაქის მოსახლეობას და განაცხადა, რომ მიუხედავად მათთან მრავალგზის შეხვედრისა, დღეს მაინც გადაწყვიტა ახალქალაქში ჩასვლა, თუმცა არა წინასაარჩევნო აგიტაციისათვის, არა ბლოკ „ახალი საქართველოსათვის“ ხმების შესაგროვებლად, არამედ მხოლოდ საქმისათვის.**

**„ეს უკვე ტრადიციად დამკვიდრდა, რომ ასეთი ფორმატის შეხვედრები იმართება სწორედ მაშინ, როდესაც ეს საქმეს სჭირდება. გადავწყვიტე შეგხვედროდით და ერთად გაგვერკვია, რა პროცესები მიმდინარეობს ჩვენს გარშემო, ჩვენს ქვეყანაში, საქართველოში.“**

**სახელმწიფოს მეთაურმა უპირველესად ყურადღება მიაპყრო ჩვენი ქვეყნის უახლეს წარსულს, იმ პერიოდს, როდესაც იგი საქართველოში დაბრუნდა და უმძიმესი მემკვიდრეობა დახვდა.**

**„მე ჩემი ხალხის ცნობა გამოჭირდა. თბილისში, დასავლეთსა თუ აღმოსავლეთ საქართველოში მოსახლეობა იმის ნგრევის უფლებას აძლევდა თავს, რაც წლების მანძილზე ერთად გვიშენებია. შეძრწუნებული ვფიქრობდი, რით დავიწყო-მეთქი? ჩემთვის და ჩემი ქვეყნისათვის უმძიმეს წუთებში მე დახმარებისათვის ჩემს უცხოელ მეგობრებს, ცნობილ პოლიტიკოსებს მივმართე და დახმარებამაც არ დააყოვნა.“**

**საქართველოს პრეზიდენტმა გაიხსენა სისხლიანი კონფლიქტებისა და სამოქალაქო ომის ტალღები, რომლებიც ყველა მხრიდან უტევდა საქართველოს, ისაუბრა მის ინსპირატორებსა და შემსრულებლებზე, ამ მოვლენების სავალალო შედეგებზე მთელი ქვეყნისათვის.**

**„მაშინ ჩემმა მეგობრებმა დაუფარავად მითხრეს, რომ დამეხმარებოდნენ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი ხელისუფლება ლეგიტიმური გახდებოდა და ხალხი აგვირჩევდა, ანუ თუ გაიმართებოდა სამართლიანი, დემოკრატიული არჩევნები. მაშინ, სამოქალაქო ომის მძიმე პირობებში ჩავატარეთ არჩევნები და მოსახლეობის მიერ გაკეთებული სწორი არჩევანის შედეგად, გამარჯვებაც მოვიპოვეთ,“ — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა და პარალელი გაავლო დღევანდელ მდგომარეობასთან, როდესაც მავანნი მოუწოდებენ მოსახლეობას, რომ ჩაშალონ არჩევნები.**

**„პირველი მოწვევის პარლამენტში 26 პარტია იყო წარმოდგენილი. რა თქმა უნდა, იყო ცხარე კამათიც, გაუგებრობებიც, მაგრამ მაშინ პარლამენტმა მოახერხა ქვეყნისათვის მეტად საჭირო კანონების მიღება, რაც მთავარია, მიიღო კონსტიტუცია და ამ საშვილიშვილო საქმეში თქვენი რეგიონის დეპუტატებიც მონაწილეობდნენ.“**



საქართველოს პრეზიდენტის თქმით, ქვეყნის უმთავრესი კანონის მიღების შემდეგ, დაიწყო დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა, თუმცა მაშინ ბევრი ამბობდა, რომ ჩვენ დემოკრატიისათვის არ ვიყავით მზად.

**„მიუხედავად ბევრი წინააღმდეგობისა, მე ურყევად ავირჩიე განვითარების დემოკრატიული გზა და დღემდე მჯერა, რომ ეს ერთადერთი სწორი და გამართლებული გზა იყო. მართალია, დღეს ბევრ თქვენგანს ჯერ კიდევ უჭირს მატერიალურად, მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ ჩვენ თავისუფალი ხალხი და საზოგადოება ვართ. სწორედ ამ გზამ გახადა შესაძლებელი, რომ საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ხალხებს, — ქართველებს, სომხებს, რუსებს, აზერბაიჯანელებს, ქურთებსა და სხვებს ერთად შეგვექმნა ნდობის ატმოსფერო.“**

**საქართველოს პრეზიდენტმა ისაუბრა სახელმწიფო ენის საკითხზეც და ყველას მოუწოდა სერიოზულად მოჰკიდონ ხელი მის საფუძვლიან შესწავლას, თუმცა პატივი უნდა ვცეთ ყველა აქ მცხოვრები ეროვნების მშობლიურ ენასაც.**

**„დღეს თქვენი, ახალქალაქის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს შევხვდი. ეს მოვლენაც, რომლის მაგალითებსაც უკვე შევეჩვიეთ, დემოკრატიზაციის შედეგია. ხვალ-ზეგ ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულები უკეთესი მომავლისათვის ზრუნვას დაიწყებენ და უკეთეს საზოგადოებას შექმნიან. დღეს სომეხმა სტუდენტებმა მითხრეს, რომ მართალია, ცოტა ეძნელებათ, მაგრამ მაინც სწავლობენ ქართულ ენას. ჯერჯერობით, პედაგოგების დეფიციტია და ამის მიზეზი ისევ და ისევ მატერიალური მდგომარეობაა. ამავე დროს, იქვე ქართველმა სტუდენტებმა მითხრეს, რომ ისინი სომხურ ენას შეისწავლიან. სწორედ ეს გახლავთ ნდობის ფაქტორი,“ — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და დასძინა, რომ საქართველოში შენარჩუნებულია ყველა მოქმედი სომხური სკოლა, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა მთელ მსოფლიოში.**

**„საქართველოში ქართული სკოლების გვერდით ფუნქციონირებს 104 სომხური და 88 აზერბაიჯანული სკოლა, აღარაფერს ვიტყვი რუსულ სკოლებზე, რაც ასევე ნდობის ფაქტორის შედეგია. ყველა მათგანში სწავლება მშობლიურ ენაზე მიმდინარეობს, მაგრამ ყველგან ხალისითა და დიდი მონდომებით შეისწავლიან სახელმწიფო ენასაც. სწავლობენ, იმიტომ, რომ გვენდობიან, იმიტომ, რომ არ ვავიწროებთ მათ მშობლიურ ენას,“ — აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ და ეს პროცესი სავსებით კანონზომიერად მიიჩნია, რადგან სწავლის დასრულების შემდეგ, მუშაობის დასაწყებად აუცილებელია სწორედ სახელმწიფო ენის საფუძვლიანი ცოდნა.**

**„ასე მოითხოვა პარლამენტმა და ხალხმა და ჩვენც გავიზიარეთ ეს მოთხოვნა. ეს საკმაოდ ძნელად განსახორციელებელი პროცესი იყო, ეს მთელი მეცნიერებაა, რომელსაც თანდათან ვხვეწთ, გზადაგზა ვსწავლობთ და წარმატებებსაც ვაღწევთ.“**

**საქართველოს პრეზიდენტმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ახალქალაქის მოსახლეობა გულთბილად შეხვდა ქვეყნის პირველ პირს, რაც გამოწვეულია იმ პოლიტიკით, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს სხვადასხვა ეროვნებათა მიმართ.**

**მან ყურადღება მიაპყრო ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებულ ეკონომიკურ პრობლემებსაც და აღნიშნა, რომ ცხოვრების დონე ჯერ ვერ პასუხობს მოთხოვნებს, თუმცა ამის ობიექტურ მიზეზად, უპირველესად, მძიმე ახლო წარსული დაასახელა.**

**„მაგრამ უნდა გითხრათ, რომ დაიწყო აღმავლობა, გამოცოცხლდა მრეწველობა, ეკონომიკა,“ — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და გამოთქვა რწმენა, რომ ეს პროცესი კიდევ უფრო გააქტიურდება.**

**„როდესაც, თავის დროზე ჩემი ინიციატივით თბილისი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობა დავიწყეთ, ამ საქმეს ბევრი სკეპტიკურად შეხვდა. არადა, რკინიგზამ საშუალება მოგვცა აგვეთვისებინა ამ რეგიონის სამშენებლო მასალები, რითაც ასე მდიდარია ეს კუთხე. დღეს საქართველოში სამშენებლო ბუმია. მოთხოვნილებაც სამშენებლო მასალებზე გაიზარდა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. გარდა ამისა, უდიდესი პოტენციალი აქვს თქვენს სოფლის მეურნეობას, მევენახეობას, მეღვინეობას. ხელი მოჰკიდეთ ამ საქმეებს და სულ მალე თქვენი მხარე ერთ-ერთ ყველაზე მდიდარი რეგიონი გახდება.“**

**ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ მისი პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ, ძალზე მნიშვნელოვანია, ვინ მოვა ქვეყნის მმართველობის სათავეებთან.**

**„არჩევანი თქვენი სინდისის კარნახის მიხედვით გააკეთეთ. ხმა მიეცით პროფესიონალებს, საქმის მცოდნეებს, იმ ადამიანებს, რომლებიც ხალხის მართლაც ღირსეული წარმომადგენლები იქნებიან პარლამენტში. მაშინ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი საერთო საბოლოო წარმატება გარანტირებული იქნება. თქვენს არჩევანზეა დამოკიდებული საქართველოს ბედი. მთავარია, არ დავკარგოთ ის, რასაც უკვე მივაღწიეთ.“**

**საქართველოს პრეზიდენტმა დაგმო ბოლო პერიოდში მომხდარი წინასაარჩევნო ექსცესები და განაცხადა, რომ საქართველოში გაიმართება სამართლიანი, დემოკრატიული არჩევნები.**

**„ეს არჩევნები ყველას, შინაც და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც დაარწმუნებს, რომ ჩვენ ნამდვილად დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება შევძელით. ამის შედეგად ჩვენი მეგობარი სახელმწიფოები კიდევ უფრო მტკიცედ გააგრძელებენ ჩვენს მატერიალურ თუ მორალურ მხარდაჭერას,“ — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.**

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

# „ხელი შევუწყოთ საქართველოდან მიგრირებული დუხობორების სამშობლოში დაბრუნებას“

**ახალქალაქში სტუმრობისას საქართველოს პრეზიდენტის ვერტმფრენი გზად ნინოწმინდის რაიონის სოფელ გორელოვკაში დაეშვა, სადაც ადგილობრივმა მოსახლეობამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო ქვეყნის პირველ პირსა და დედაქალაქიდან ჩასულ სხვა ოფიციალურ სტუმრებს.**

ნინოწმინდის რაიონის გამგებელმა რაფაელ არზუმანიანმა სოფლის დღევანდელ მდგომარეობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მისი მოსახლეობის უმრავლესობას დუხობორები შეადგენენ. ამ სოფელში ერთ ოჯახად ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნების, — ქართველი, რუსი და სომეხი მოქალაქეები.

საქართველოს პრეზიდენტს მასპინძლებმა მადლიერებით აუწყეს, რომ მოქმედებს სამი საშუალო სკოლა — ქართული, რუსული და სომხური. ისიც ითქვა, რომ პედაგოგები ხელფასებს და პენსიებს რეგულარულად იღებენ. ვითარდება სოფლის მეურნეობა და მესაქონლეობა.

სოფლის მცხოვრებლებმა მადლობა გადაუხადეს ქვეყნის მეთაურს სტუმრობისათვის და დახმარება სთხოვეს რუსული კულტურის ცენტრის გახსნის საქმეში.

გარდა ამისა, აღნიშნეს, რომ თავის დროზე ამ რეგიონში არსებული დუხობორების 8 მრავალათასიანი სოფლიდან, დღეს ბევრი თითქმის დაცარიელებულია. დუხობორთა მიგრაცია ჩვენს ქვეყანაში გასულ წლებში მომხდარმა სავალალო მოვლენებმა გამოიწვია. თუმცა, ამჟამად რუსეთის სხვადასხვა ოლქში თავშეფარებულ ბევრ ადგილობრივ მცხოვრებს უკან, მშობლიურ კუთხეში სურს დაბრუნება.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის და ყველა პრობლემის მოგვარებაში დახმარება აღუთქვა გორელოვკელებს.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

ალიარება

# ხელოვანი, რომელმაც დროს გაუძლო

მწერლობაში და საერთოდ, ხელოვნებაში, არსებობს ერთი მკაცრი კანონზომიერება — რაც არ უნდა აღიარებული იყოს შემოქმედი ხალხისა და ხელისუფლების მიერ, დრო მას სასტიკ გამოცდას უწყობს. ასეთსავე გამოცდას უწყობს დრო შედარებით უჩინო მწერალსა და ხელოვანს და ვინც დროის ამ გამოცდას გაუძლებს, ვინც ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ ისევ რჩება ადამიანებთან, ისევ ახდენს გავლენას ჩვენზე და ისევ ჩვენი ცხოვრების ნაწილად იქცევა, სწორედ ისაა ჭეშმარიტი აღიარების ღირსი.

აქ კი ხშირად უჩინონი საჩინონი ხდებიან, უკან მდგომნი წინ გადმოდიან.

თვად დრო არის ყოველივე ამის წარმმართველი და სახელის დამრქმევი.

სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს ახლა საქმე.

ესმა ონიანი რთული, მაგრამ მეტად ღრმა და არაორდინარული შემოქმედი და პიროვნება, თავის დროზე არ იყო ისე აღიარებული, როგორც მას ეკუთვნოდა. კარგა ხანს არ ბეჭდავდნენ, თვითონაც იმდენად იყო თავის თავში დარწმუნებული, რომ არც იბრძოდა აღიარებისათვის, მთელი მისი ენერგია საკუთარი სამყაროს მხატვრული მოდელის შექმნისაკენ იყო მიმართული და დღეს ეს სამყარო, რომელიც ასე გვხიბლავს და რომლისთვისაც არ ვიშურებთ აღტაცების სიტყვებს, ახლობელია და აქტუალური. სწორედ ამიტომ ესმა ონიანი დღეს ჩვენთვის ცოცხალია, მოქმედია, ჩვენია.

ესმა ონიანს უფრო გარდაცვალების შემდეგ ეწვია საყოველთაო აღიარება, სიყვარული და თაყვანისცემა. მისი წრე გაფართოვდა, გაფართოვდა წრე იმ ადამიანებისა, რომლებსაც მოსწონთ და უყვართ მისი ლექსები, წერილები, ესეები, მისი მხატვრობა.

იგი დღესაც ჩვენი თანამედროვეა, რადგან დროის გამოცდას ესმა ონიანის შემოქმედებამ შესანიშნავად გაუძლო.

ედუარდ შევარდნაძე.

ცხელი თემა

პირველი გვერდიდან

# ოპოზიციური პარტიები ხელისუფლებას კი არა, ერთმანეთს ებრძვიან



მე ხელთა მაქვს საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 21 ნოემბრის განცხადება, რომელიც ეხება თბილისის საკრებულოს არჩევნებთან დაკავშირებულ კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტებს. ამ განცხადების პირველივე აბზაცში ნათქვამია, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ქვეყანაში ჩატარებული ყველა დონის არჩევნების დროს ჩადენილი სერიოზული კანონდარღვევების სიმრავლე საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს დემოკრატიულ განვითარებას და, პროცესების თვითდინებაზე მიშვების შემთხვევაში, შეიძლება ეს ყველაფერი უმართავ, საზოგადოებისთვის საშიშ ვითარებაში გადაიზარდოს.

მაშინ პარლამენტი ტყუილად არ შეშფოთებულა. „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეთა ცესკოში შეიარაღებული შეჭრა, შემდეგ თბილისის მერიის ბლოკადა უკვე სტოვებდა ხელისუფლებაში ძალადობით მოსვლის მცდელობის შთაბეჭდილებას. იმხანად ძალიან შესცოდეს სამართალდამცავმა სტრუქტურებმა. ჯერ ეს ძალადობის ფაქტები ვერ აღკვეთეს, მერე კი — სათანადო რეაგირება ვერ მოახდინეს. თუ ეს გაკეთდებოდა, მაშინ ბევრი ჭკუას ისწავლიდა, რასაც დღეს ბედავს, იმას ველარ გაბედავდა.

ახლა ცოტა ხანს შევჩერდები ბოლო, თვითმმართველობის არჩევნებზე. იგი ჩატარდა არა გაყალბებით, არამედ ნაკლები ორგანიზატორობით. მმართველი პარტიის ის ნაწილი, რომელიც ხელისუფლებაში გახლდათ, ვერ მოხვდა თბილისის საკრებულოში. თუ მაშინ ხელისუფლება არჩევნებს ადრინდელივით გააყალბებდა, მას შედეგებიც საუკეთესო ექნებოდა, მაგრამ ასე არ მომხდარა. აქედან გამომდინარე, ცხადზე უცხადესია, რომ ხელისუფლების (ჟვანიას ფრთის) მიერ არჩევნების გაკონტროლებისას ყოველთვის იმარჯვებდა მმართველი პარტია, არჩევნების უსისტემოდ ჩატარებისას კი თბილისის საკრებულოს სათავეში მოვიდა ოპოზიცია.

**— ჟვანიას ფრთა მოქკავშირიდან კარგა ხანია წავიდა. კარს ახალი არჩევნები მოგვადგა. სიები დღემდე დაუზუსტებელია, რა დასამალია და, ხალხი შეშფოთებულია...**

— ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მემკვიდრეობით მიიღო საოცრად არეული სიები, გამოტოვებულია მთელი ოჯახები, კორპუსები, ქუჩები, სოფლები. ამას ჟვანიას ფრთა აკეთებდა, განსაკუთრებით რუსთავსა და თბილისში. ახლა ნანა დევდარიანმა ასეთი ვითარება დიდი ძალისხმევით უნდა დაძლიოს.

**— ბატონო ვახტანგ, ამბობენ, რომ ქვეყანაში პირველი პირი, თანაც მოქკავშირის ლიდერი, მაინც პრეზიდენტი იყოო... თუ ასეთი უმსგავსოება ხდებოდა, მას აუცილებლად უნდა განეხორციელებინა შესაბამისი ღონისძიებებიო...**

— კი, პრეზიდენტი პირველი პირი იყო მაშინაც და პირველი პირია ახლაც, მაგრამ იგი რეალურად არჩევნების პროცესებში არც ჩარეულა და არც ახლა ერევა. მაგალითად, პრეზიდენტი არ წასულა მოსკოვში არც იქაურ პარტიებთან მოსალაპარაკებლად და არც ფულის საშოვნელად, როგორც ეს გააკეთეს ჟვანიას ფრთის წარმომადგენლებმა. იგი ყოველთვის აცხადებდა და ახლაც ხმამაღლა აცხადებს ტელევიზიითაც, პრესითაც, თათბირებზეც, შეხვედრებზეც, რომ არ დაუშვებს არჩევნების გაყალბებას!

**— რეალურად ხელისუფლება დღეს წამგებიან პოზიციაშია. უხელფასობა, უპენსიობა, უმუქობა, უგაზობა და ა. შ. ესეც აღძრავს ეჭვს...**

— რასაკვირველია, დღეს ხელისუფლება არაპოპულარულია. ზოგადად, ოპოზიციური პარტიების რეიტინგი სჭარბობს ჩვენი ბლოკის რეიტინგს. მაგრამ, დამიჯერეთ, ისინი გაცილებით ცუდ მდგომარეობაში არიან. ემოციებს აჰყვნენ, ვერ გაერთიანდნენ, ამით ელექტორატის უმრავლესობაც გააწბილეს და საბოლოო გამარჯვების გზაც მოიჭრეს. 7-პროცენტიან ბარიერს 2-3 ბლოკი ან პარტია თუ გადალახავს, თორემ დანარჩენებს დიდი ოფლის ღვრა დასჭირდებათ. მაგათზე მეტ ხმას აუცილებლად მიიღებს სახელისუფლო ბლოკი. მას უფრო გაცილებით მეტი ადამიანური რესურსი აქვს, თუნდაც იგივე ეროვნული უმცირესობებიდან ან უცხოეთიდან მიღებული ხმების ხარჯზე.

**— რა ვიცი, ყველა პარტია ცალ-ცალკე იჭიმება, მე მყავს ყველაზე მეტი ამომრჩეველიო, მე მოვალ ხელისუფლებაშიო...**

— არ შეიძლება ასე გარანტირებულად თქმა. ოპოზიციურმა პარტიებმა ერთმანეთი უნდა დაჯაბნონ, სხვაგვარად ვერ გაიმარჯვებენ. ოპოზიციას ერთი ამომრჩეველი ჰყავს. იგი ხმას ხელისუფლებას არ მისცემს, მაგრამ ხმას ერთდროულად ვერ მისცემს მთელ ოპოზიციასაც. დემოკრატები ხმებს წაართმევენ ნაციონალებს, ლეიბორისტები — ახლებს, ან პირიქით. ამიტომაც იბრძვიან ისინი პირველი ოპოზიციონერობისთვის. ხედავთ, რა გაღიზიანებულია ნინო ბურჯანაძე? ხედავთ რა მკვეთრ განცხადებებს აკეთებს პრეზიდენტის წინააღმდეგ? მას სურს პირველი ოპოზიციონერის სახელი დაიმკვიდროს.

ცოტა რეიტინგი აიწია კიდეც. ამით გამწარებული მიხეილ სააკაშვილი ადგა და აჭარაში გავარდა. იქ ჩხუბის ატეხვა წინასწარ იყო დაგეგმილი. ერთი თვეა ლოზუნგებია აჭარაში — აჭარა აბაშიძის გარეშე! ხელი არავის არ უხლია ამ ლოზუნგებისთვის. ნაციონალები არ წავიდნენ შეთავაზებულ ადგილებში აქციების ჩასატარებლად. ისინი შინ მიუვარდნენ ასლან აბაშიძეს, იცოდნენ, რომ ამას ჩხუბი მოჰყვებოდა, ტელევიზიით გადაიცემოდა, შესაბამისად, მათი რეიტინგი ამაღლდებოდა. სააკაშვილი არც შევარდნაძეს ებრძვის და არც აბაშიძეს, იგი ებრძვის ჟვანიასა და ბურჯანაძეს. ესაა სიმართლე! ამას აკეთებენ ახლა და, თქვენ წარმოიდგინეთ, რას გააკეთებენ ნაციონალები, თუ ისინი პარლამენტის გარეთ დარჩნენ.

**— არც მალავენ, წინასწარ იმუქრებიან არეულობით, ხალხის აბუნტებით, ბაქოს მოვლენების გამეორებით...**

— იმუქრებიან, მაგრამ რას მიაღწევენ? აზერბაიჯანშიც ასე ვერ გაერთიანდა ოპოზიცია, არჩევნები მან წინასწარ წააგო და მერე ხელისუფლებას გადააბრალა. ასეა აქაც. ვერ გაერთიანდა ჩვენი ოპოზიცია, ვერ შეიქმნა მომგებიანი სიტუაცია და ახლა ტყავიდან ძვრება ელექტორატის მოზიდვისათვის, წამებულის გვირგვინის დადგმისათვის.

ვიტყვი პირდაპირ — შეიძლება ზოგჯერ ოპოზიცია მართალია, მაგრამ არ შეიძლება ბრძოლა აკრძალული, კრიმინალური ხერხებით. არსებობს კანონები, არსებობს ქცევის ნორმები, ისინი უნდა დავიცვათ. და თუ დავარღვევთ, პასუხიც ჩვენვე უნდა ვაგოთ, თითი ხელისუფლებისკენ არ უნდა გავიშვიროთ. ისე, სიტყვამ მოიტანა და, თვითონ ხელისუფლები არ არიან? ნინო ბურჯანაძე პარლამენტის თავმჯდომარეა, მიხეილ სააკაშვილი — საკრებულოს თავმჯდომარე. მეტი ხელისუფლება რაღა გინდათ? რა, მაგათ არ ევალებოდათ არჩევნების მომზადება, იგივე სიების დადგენა? არ გააკეთეს. ეს ხელს არ აძლევდათ და იმიტომ. ეგენი ფსიქოლოგიურად დამანგრეველები არიან და არა აღმაშენებლები.

**— ბატონო ვახტანგ, ხომ არ შეიძლება ასე გაგრძელება, რაღაც გამოსავალი უნდა მოინახოს...**

— გამოსავალი არის. ქვეყანა არ უნდა ავრიოთ. ხელისუფლებამაც მეტი სიმტკიცე უნდა გამოიჩინოს, ვინც კანონს დაარღვევს, პასუხი უნდა აგებინოს. სხვა გზა არა გვაქვს, — არჩევნები უნდა ჩავატაროთ მშვიდობიანად. პოზიციამაც და ოპოზიციამაც უნდა შეიგნოს, რომ ჩვენ ერთ სახელმწიფოში, ერთ საქართველოში უნდა ვიცხოვროთ, უნდა ვაშენოთ და არა ვანგრიოთ. ჩვენ ქვეყანა ეკონომიკურად უნდა მოვაღონიეროთ, როგორც ამერიკასთან, ისე რუსეთთან გონივრულად ვითანამშრომლოთ, ედუარდ შევარდნაძის ნიჭი და სახელი სათანადოდ გამოვიყენოთ და მისი ეპოქა გამარჯვებით დავამთავროთ!

ესაუბრა
ბონდო გულიაშვილი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ორბიტაზე

# საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა მსოფლიო შეცვალა

## საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე დღესაც თავის პრინციპებს არ ღალატობს

პირველი გვერდიდან

— არის თუ არა ევროპა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მოქცეული თქვენი სამშობლო?

— თბილისის მუზეუმში საქართველოში ახლახან აღმოჩენილი ადამიანის თავის ქალებია ექსპონირებული. ეს არის უძველესი კავკასიელი ხალხის თეთრკანიანი რასა. [illegible]

— [illegible]

— ისტორიულად საქართველოს საფრთხეს სპარსეთი, ირანი და ოსმალეთი უქმნიდა... [illegible]

— თქვენი აზრით, რუსეთის [illegible]

— საქართველო რუსეთზე აღარ არის დამოკიდებული. [illegible] ...ნააღმდეგ შებრუნდნენ. თქვენს კითხვაზე კონკრეტული პასუხი კი ასეთია: პრეზიდენტი პუტინი ეთანხმება ჩემს მოსაზრებას, რომ რუსეთის ინტერესებში არის სტაბილური და აყვავებული საქართველო.

### „მაშინ ჩვენ მესამე მსოფლიო ომის ზღვარზე ვიდექით"

— და ეს მიუხედავად იმისა, რომ [illegible]

[illegible] ...შიგნით თუ ახლო გარემოში არსებული საშიშროებისგან შესძლებოდა თავის დაღწევა.

— ის რთული ვითარება, რომელზეც საუბრობთ, ორი ბლოკის გაქრობასთან ხომ არ არის დაკავშირებული? დღეს ცივ ომზე უფ-რო დიდი [illegible] წინაშე ხომ არ დგას მსოფლიო?

— [illegible] მაშინ ჩვენ მესამე მსოფლიო ომის ზღვარზე ვიდექით. [illegible]

[illegible] ...საძლოა, ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოგვარებასაც შეუწყოს ხელი. ამით იმის თქმა მინდა, რომ დემოკრატიული ერაყის არსებობა რეგიონში სტაბილიზაციის მთავარი საწინდარია.

— როგორ გესახებათ ახალი [illegible] ...ლური ქრისტიანული ფასეულობებისგან, რომელთაც თქვენ ათი წლის წინათ ნათლობით ეზიარეთ?

— როგორ გგონიათ, 11 სექტემბერი განა ახლოს იყო ამ ფასეულობებთან? დიდ პოლიტიკაში შეუძლებელია შეზღუდვები. ბოროტების დასაძლევად დიდი ძალა უნდა მიმართო.

— ისრაელ-პალესტინის კონფლიქტს თუ გავიხსენებთ, საიდან მოდის ბოროტება, როცა ორი მხარე ამდენი ხნის მანძილზე ერთმანეთს ეომება?

— სწორედ აქ არის მედიატორის როლი მნიშვნელოვანი. მჯერა, რომ ეს პრობლემა დღეს თუ ხვალ მოგვარდება. მისი გადაჭრა უშიშროების საბჭოს მეშვეობით და დიდი სახელმწიფოების, მათ შორის, შეერთებული შტატებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის ჩარევითაა შესაძლებელი.

— როგორც დიდი გამოცდილების მქონე დიპლომატი, როგორ აფასებთ ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან ერაყში ჩარევას? თქვენის აზრით, ამ შემთხვევაში „რეალპოლიტიკის" განხორციელება ხომ არ იქნებოდა უკეთესი, რასაც ფრანგები მოითხოვდნენ?

— ბატონი შირაკისა და ბატონი შრედერის პოზიციებზე არაფერს ვიტყვი. მე პატივს ვცემ იმ არგუმენტებს, რომლებიც მათ დაასახელეს. განსაკუთრებით, იმ დემოკრატიულ მონაპოვარს ვაფასებ, რომელიც საერთაშორისო არენაზე აზრთა სხვადასხვაობას უხსნის გზას და თანაც ისე, რომ სახელმწიფოთა შორის მშვიდობიან თანამშრომლობას საფრთხეს არ უქმნის. ქვეყნის მართვა წინდახედულობას მოითხოვს, ზოგჯერ ყველაზე უარესს უნდა ელოდო. რეჟიმთან ერთად ერაყს ყველაზე მეტად აქ არსებული მნიშვნელოვანი ნედლეულის მარაგი უქმნიდა საფრთხეს. სახიფათო რეჟიმის ხელში ამგვარი პოტენციალის არსებობამ განსაზღვრა ამერიკის გადაწყვეტილება. ამ ავბედითმა ისტორიამ შეიძლება ერთი რამ გვასწავლოს — არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია დემოკრატიულ ფასეულობათა უარყოფა, რადგან ანტიდემოკრატიული რეჟიმი, საკუთარი სახის ადრე თუ გვიან გამოვლენით, არსებობას წყვეტს და საფუძველი ეცლება.

— თქვენ საბაზრო ეკონომიკაში ლიბერალიზმის სასიკეთო მხარეების გჯერათ. შეუძლია თუ არა მას ერთპოლუსიანი მსოფლიოს გაერთიანება? რამდენი დრო დასჭირდება ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს თავიანთი სირთულეების დასაძლევად?

— დღესდღეობით, ლიბერალიზმი საბაზრო ეკონომიკაში კაცობრიობის საერთო გამოცდილებაა. თუმცაღა გამზადებულ რეცეპტად მისი აღქმა არ შეიძლება. აბა გაიხსენეთ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რამდენი დრო დასჭირდა გერმანიას გამხდარიყო ის სახელმწიფო, როგორიც დღეს არის. მიზნის მისაღწევად მას წლები დასჭირდა. აგერ უკვე ათი წელიწადია, გაერთიანდა კიდეც. განვითარებისთვის არც იაპონიას დასჭირვებია ნაკლები დრო. ქვეყნის აღმავლობისთვის მართვის დემოკრატიულ სისტემად საბაზრო ეკონომიკა მესახება.

### „ლიბერალიზმი საბაზრო ეკონომიკაში კაცობრიობის საერთო გამოცდილებაა"

— მსოფლიოში ახლახან განხორციელებულ სამხედრო ოპერაციებს თუ გავიხსენებთ, მიგაჩნიათ თუ არა, რომ კაცობრიობა შორს დგას იმ შემრიგებ- [illegible]

— თქვენ ის წარმატებული მაგალითები ჩამოთვალეთ, რომელთაც სასიკეთო ბიძგი აშკარა კოლექტიურმა აზროვნებამ მისცა, მაგრამ რა შეიძლება ითქვას გარიყულ ქვეყნებზე? აქ ფატალიზმთან ხომ არა გვაქვს საქმე? გავიხსენოთ ლიბერია.

— მე კაცობრიობის განვითარების ის ორიენტაცია მაქვს მხედველობაში, რომელიც ეთნიკურ თუ ნაციონალურ განსაკუთრებულობას არ გამორიცხავს. ახლა, რაც შეეხება საბაზრო ეკონომიკას ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში. აქ მან თავისი დადებითი თვისებები უკვე გამოავლინა. გავიხსენოთ უნგრეთი და პოლონეთი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სულ რაღაც ათიოდე წელია, რაც ჩამოვყალიბდით. და თუ რეალური სირთულეების წინაშე აღმოვჩნდით, ძლიერი მეგობრები მზად არიან, მხარში ამოგვიდგნენ. ის ფაქტი, რომ ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპები იკიდებს ფეხს, ღირსებისა და პრინციპის საკითხია. რა თქმა უნდა, დღეს ბევრია გარიყული ქვეყანა. თქვენ ლიბერია ახსენეთ. საქართველოსთან ტერიტორიულად უფრო ახლოს ავღანეთია, სადაც ზედიზედ თორმეტჯერ მომიწია ჩასვლა. დიდი ძალისხმევა დამჭირდა იქიდან საბჭოთა ჯარების გამოსაყვანად. დღეს ყველა სახელმწიფო მობილიზებულია ავღანეთის დასახმარებლად. დარწმუნებული ვარ, მსოფლიო წარმატებულად ჩაერთვება ამ პროცესში.

— და მაინც, პირად ინტერესებზე მაღლა, ალბათ, საზოგადო ინტერესების დაყენებაა საჭირო?

— პირადის და საერთაშორისო ინტერესების გამიჯვნა საჭიროა. ქართველი ხალხი არასდროს გაცვლის თავის კულტურულ და ეროვნულ ფასეულობებს მატერიალურ ფასეულობებზე.

— გლობალიზაციის მიუხედავად?

— მე გლობალიზაციას ერთა სხვადასხვაობაში ვხედავ.

— როგორ წარმოგიდგენიათ ამგვარი პარადოქსი?

— მსოფლიო ერთა სხვადასხვაობის პრინციპით უნდა გაერთიანდეს. სწორედ ეს ალამაზებს სამყაროს. საბაზრო ეკონომიკის სარგებელმა არ უნდა დააკარგვინოს თითოეულ ჩვენგანს ზნეობა. საქართველო თავისი სახელმწიფოებრიობის ოთხი ათას წელს მოითვლის თავისი ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებითა და მტკიცე თვითშეგნებით. ეს ყველა ჩვენგანს გვაქვს სისხლში გამჯდარი. სწორედ ამით გამოირჩევიან სხვა ერებიც.

მხარე

## ჭიათურის საოლქო კომისია იმედოვნებს...

საარჩევნო ციებ-ცხელებამ პიკს მიაღწია ჭიათურაშიც.

ეგრეთ წოდებულ „მედიატორე" საოლქო-საარჩევნო კომისიაში არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკურ პარტიასა თუ ბლოკს „თავისი ფანი" ჰყავს. მათთან გასაუბრებით ჭეშმარიტებას ძნელად შეიტყობ. ამიტომ საოლქო კომისიის თავმჯდომარეს ცირა იაკობიძეს გავესაუბრე:

— ქალბატონო ცირა, ვინ იყრის კენჭს ჭიათურაში პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატად?

— ბლოკ „ახალი საქართველოდან" — თენგიზ მოცრაძე, „აღორძინებიდან — თემურ გოგსაძე, „ახალი მემარჯვენეებიდან" — ავთანდილ ცხადიაშვილი, კომუნისტებიდან — გურამ კაპანაძე, დანარჩენი კანდიდატები: სერგო იაკობიძე, თამაზ ვაშაძე, ზურაბ კაპანაძე, გუტა ვაშაძე, მაკა შარვაძე, ოლეგ ბიბიაშვილი, თემურ გვალია, თემურ ჯაფარიძე საკუთარი თავის იმედად არიან.

— თითქმის ყველგან ამომრჩეველთა სია ან გაბერილი, ან შემცირებულია. რა მდგომარეობაშია ოლქის ამომრჩეველთა სია ჭიათურაში?

— წინა არჩევნებთან შედარებით, ამომრჩეველთა რაოდენობა სიებში დაახლოებით 17 ათასამდე შემცირდა. ახლა ინტენსიურად ვმუშაობთ სხვადასხვა მიზეზით სიებში გამორჩენილ პირთა დასამატებლად. და მაინც, ეს პროცესი მეტად პრობლემურია. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: — ბოლო წლებში ამომრჩეველთა ერთი ნაწილი რაიონიდან საცხოვრებლად სხვაგან გადავიდა, ჩვენთან კი არავინ ჩამოსახლებულა, რაც შემცირების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახდა. საოლქო კომისიაში, ჯერჯერობით, ოფიციალური საჩივრით არავინ შემოსულა.

— ხომ არაფერი გიშლით ხელს?

— სრულყოფილად ვერ გვაფინანსებენ, რაც მნიშვნელოვნად გვამუხრუჭებს. თუმცა, ვფიქრობ, ყველაფერი გამოსწორდება. დრო კიდევ არის. ჩვენს ამომრჩეველს დასამდური არაფერი ექნება.

ესაუბრა
**სოზარ კუპატაძე.**
„სრ" საკ. კორ.

პარტიები და ბლოკები

## თქვენი არჩევანი?

**გთავაზობთ იმ პოლიტიკური პარტიებისა და ბლოკების თანამიმდევრობით სიას, რომლებიც შევლენ საარჩევნო ბიულეტენებში და მათგან ერთ-ერთი უნდა შემოხაზოთ 2 ნოემბრის არჩევნებში:**

1 ბლოკი „ახალი საქართველოსთვის"
- საქართველოს მოქალაქეთა კავშირი
- სოციალისტური პარტია
- ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედპ)
- საქართველოს მწვანეთა პარტია
- საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი (სქდკ)
- აფხაზეთის განთავისუფლების პარტია
- პოლიტიკური გაერთიანება „ძლიერი რეგიონები — ძლიერი საქართველო"
- პოლიტიკური გაერთიანება „ტრანსპორტელთა დარბაზი"
- გურამ შარაძის მხარდამჭერთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველო უპირველეს ყოვლისა — ენა, მამული, სარწმუნოება"

2. დემოკრატიული აღორძინების კავშირი (დაკ)

3. ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"
- პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"
- პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველო"

4. საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია

5. ბლოკი „სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა"
- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
- საქართველოს ეროვნულ ძალთა გაერთიანება-კონსერვატორები
- რესპუბლიკური პარტია

6. საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია

7. ბლოკი „ბურჯანაძე დემოკრატები"
- გაერთიანებული დემოკრატები
- ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი
- ქრისტიან-კონსერვატორები

8. საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური გაერთიანება „მძლეველი"

9. ერთიანი საქართველო

10. *(ეს პარტია სიიდან ამოვარდა)*

11. ბლოკი „არასახელისუფლებო ბლოკი „სამშობლო"
- საქართველოს კონსერვატიული (მონარქისტული) პარტია
- საქართველოს კონსერვატიული პარტია

12. ბლოკი „ახალი მემარჯვენეები (ახლები)"
- პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეები (ახლები)"
- საქართველოს ლიბერალური პარტია „ლიბერალები"

13. ბლოკი ჯუმბერ პატიაშვილი — პოლიტიკური გაერთიანება „ერთობა"
- პოლიტიკური გაერთიანება „ერთობა"
- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია

14. „დიდა სამშობლო"

15. ბლოკი „ეროვნული თანხმობა — იბერიის გაბრწყინება"
- ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირი
- მონარქისტული პოლიტიკური მოძრაობა „სამეფო გვირგვინი"

16. კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის პარტია

17. მრეწველობისა და ეკონომიკური აღმავლობის პარტია (მრეწველთა პარტია)

18. ბლოკი „მშვიდობიანი კავკასია"

პოლიტიკური მოძრაობა „კავკასიელი" (ფედერალები)
- საქართველოს ქრისტიან-სოციალური კავშირი

19. საქართველოს სახალხო კაპიტალიზმის პარტია

20. სრულიად საქართველოს სახალხო ალიანსი

21. პოლიტიკური გაერთიანება „ქალთა დაცვის კავშირი" (ქდკ)

22. „საქართველოს ადვოკატები"

სიტყვას ითხოვს დეპუტატობის კანდიდატი

## ტალახი კი არ ვესროლოთ ერთმანეთს, საქმეებზე ვილაპარაკოთ და გავაკეთოთ კიდეც

### ბატონ მიხეილ მაჭავარიანს და ჩემთან ტელედებატების გამართვის ყველა მსურველს

ყველასათვის გასაგებია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საპარლამენტო არჩევნებს ჩვენი ქვეყნისათვის და ნამდვილად სასიხარულოა, რომ ახალგაზრდა პოლიტიკოსები ასეთი ენთუზიაზმით მონაწილეობენ წინასაარჩევნო კამპანიაში. რა თქმა უნდა, ხალხმა უნდა იცოდეს ვინ, ვინ არის, მაგრამ ამომრჩევლებს ის კი არ აინტერესებს რა აზრის ვართ ჩვენ ერთმანეთის შესახებ, არამედ, რა გაგვიკეთებია და რა შეგვიძლია გავაკეთოთ იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტში ვიქნებით. ქვეყნის მოსახლეობა ისედაც გადაიღალა პარლამენტში მოხვედრის მსურველთა ხმაურიანი გამოსვლებით და ამდენად, საჭიროებას ვერ ვხედავ მთელი საქართველოს ყურადღება მივიპყროთ მე და თქვენ მაშინ, როცა ჩვენ სამგორის რაიონის ამომრჩევლებს ისედაც ყოველდღე ვხვდებით. მინდა შეგახსენოთ, რომ ჩვენ არა ვართ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატები, ჩვენ სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები ვართ და ერთმანეთისათვის საქვეყნოდ ტალახის სროლის ნაცვლად, კარგი იქნებოდა, თუკი სამგორის რაიონის ამომრჩევლების წინაშე წარმოვაჩენთ ქვეყნისათვის იმ სასარგებლო საქმეებს, რომელიც აქამდე გაგვიკეთებია.

მეც თქვენსავით ღრმად მწამს, რომ ამ ქვეყანაში საჭიროა ბევრი რამის შეცვლა, მათ შორის ცილისწამებებსა და უაზრო ბრალდებებზე აგებული პოლიტტექნოლოგიებისა. ზოგიერთი ამომრჩეველი პირდაპირ ამბობს, გაგვირემონტეთ ლიფტი, შეგვიკეთეთ სახურავი და თქვენ მოგცემთ ხმას. სამწუხაროდ, პოლიტიკოსთა უმრავლესობას მხოლოდ არჩევნების წინ ახსენდება რა არის ქველმოქმედება და ხალხის თვალის ასახვევად ზოგი არემონტებს, ზოგი ფულს არიგებს და ზოგიც, საერთოდ, სხვის გაკეთებულ საქმეს თავისად მიიწერს. ჩვენ არ უნდა მივაჩვიოთ ხალხი იმას, რომ ამ ქვეყანაზე ყველაფრის ყიდვა შეიძლება, მათ შორის პარლამენტარის მაღალი წოდებისა. მიმაჩნია, რომ ამომრჩეველმა მეტი პრინციპულობა უნდა გამოიჩინოს და თავისი ხმა და, შესაბამისად, პიროვნული ღირსებაც, მხოლოდ არჩევნების წინ სახელდახელოდ შეკეთებულ სახურავში არ გაცვალოს. როგორც არაერთხელ მითქვამს ამომრჩევლებთან შეხვედრებზე, იმას, ვინც მზად არის ასე „იაფად გაყიდოს" თავისი საკონსტიტუციო უფლება - პატივი ჰქონდეს აირჩიოს თავისი სამშობლოს პარლამენტი, ვთხოვ, მე ნუ მომცემს ხმას, ასეთი ხალხის ხმები მე არ მჭირდება. იმათ კი, ვინც ისეთი დაბალი აზრისაა ამომრჩევლებზე და ფიქრობს, რომ სამგორელები 5 და თუნდაც 500 ლარის საფასურად ვინმეს ხმას მისცემენ, ვურჩევ, მოერიდონ ამომრჩევლების შეურაცხყოფას. მიმაჩნია, რომ უფრო მეტად უნდა გავუფრთხილდეთ ამომრჩეველთა ღირსებას და თუ ვინმეს კონკურენტის დისკრედიტაცია მისაღებად მიაჩნია, ეს ისე მოახერხოს, რომ ამომრჩევლის ღირსება მაინც არ შელახოს! ჩვენი უპირველესი საზრუნავი პარლამენტში მოხვედრა კი არა, ქვეყნისა და, ჩვენ შემთხვევაში, სამგორის მოსახლეობის კეთილდღეობა და ღირსების დაცვა უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, მაინც მინდა მჯეროდეს, რომ თქვენს მიერ ჩემს მიმართ ამ ბოლო დღეებში სატელევიზიო ეთერში წამოყენებული ბრალდებები, თქვენი ბოროტი განზრახვა კი არა, ვიღაცის მიერ თქვენი შეცდომაში შეყვანის შედეგია. ამიტომაც მომიტევებია და მსურს საკუთარი მაგალითით დაგიმტკიცოთ, რომ სიკეთეს მხოლოდ სიმართლე მოგიტანთ. მე კი, თუ ხალხი გადაწყვეტს, რომ მე ამას სხვა კანდიდატებზე უკეთესად მოვახერხებ, ჩემს გამოცდილებას ამჯერად, არა მარტო ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი წარმოების გადარჩენას და განვითარებას, ახალი ტექნოლოგიებისა და ახალი პროექტების ათვისებას, ხალხის დასაქმებას, არამედ კონკრეტულად სამგორის რაიონის კეთილდღეობასაც მოვახმარ.

ღირსეული ხალხი ყველა პარტიაშია. საქართველოს სჭირდება პიროვნებები, რომლებიც გამოიყვანენ ჩვენს ქვეყანას ამ კრიზისული მდგომარეობიდან. მათ, ვინც თვლის, რომ იმსახურებენ ხალხის ნდობას მუშაობდნენ ქვეყანაში ყველაზე საპატიო თანამდებობაზე, მეტი ზნეობა მოეთხოვებათ. სწორედ ჩვენ უნდა დავამკვიდროთ ახალი კულტურა, როდესაც პოლიტიკური ოპონენტები ხალხს კი არ ატყუებენ და ერთმანეთს ტელეეკრანიდან ტალახს კი არ ესვრიან, არამედ ამომრჩევლებს, სხვა კანდიდატების ღირსების შელახვის გარეშე, პატივისცემით უზიარებენ საკუთარ პროგრამებს. ეს პროგრამები, ბუნებრივია, განსხვავებულია და, ამ კონსტრუქციული გაზიარების შედეგად, ხალხი ირჩევს მისთვის სასურველ კანდიდატს. მომავალ პარლამენტში სამგორის რაიონის ინტერესები სიტყვის კაცმა, საკუთარი და სხვისი ღირსების პატივისმცემელმა და კეთილმა ადამიანმა უნდა დაიცვას. იმან, ვინც იცის, რა არის გაჭირვება და ცხოვრებამ ასწავლა როგორ უნდა დაეხმაროს სხვას, თავი დააღწიოს ამ გაჭირვებას ისე, რომ სხვა არ გათელოს. ვიბრძოლოთ პატიოსნად, ერთმანეთის ღირსების შეურაცხყოფის გარეშე და დამიჯერეთ, ამით მხოლოდ მოვიგებთ. მე იმედი მაქვს რომ ადამიანური ურთიერთობა ყველა არჩევნებზე მაღლა დგას და ჩვენც ამ პრინციპიდან უნდა ამოვიდეთ. დარწმუნებული ვარ, სამგორის რაიონის ყველა მაჟორიტარი კანდიდატი ღირსეული ადამიანია და არჩევნების გამო მათი პირადი ურთიერთობების გაფუჭება არც ქვეყანას და არც სამგორის რაიონს სიკეთეს არ მოუტანს. გვახსოვდეს, რომ ცხოვრება 2 ნოემბერს არ მთავრდება! ისე ნუ ვიზამთ, არჩევნების შემდეგ ერთმანეთისათვის თვალებში შეხედვის შეგვრცხვეს.

ამომრჩევლებთან შეხვედრებზე მე ვაცხადებ, რომ რეალურ სამუშაო ადგილებს ვქმნი არა შტატების უაზრო გაბერვით, არამედ ხალხისათვის სამუშაოს მიცემით. რეალური, კვალიფიციურად შესრულებული სამუშაო კი ნიშნავს ხელფასების განუწყვეტელ ზრდას და შესაბამისად, მოქალაქეებისა და მთლიანად ქვეყნის კეთილდღეობას.

სამგორის რაიონის ამომრჩეველი კარგად არის ინფორმირებული, მაგრამ ვისაც აინტერესებს, თუ რას ვაკეთებთ ჩვენ ხალხისათვის, ცოტა რამ „თბილავიამშენის" საქმიანობის შესახებ, რომელიც პრივატიზებული კი არაა, როგორც ზოგიერთი ხალხს ატყუებს, არამედ ისევ სახელმწიფო საკუთრებაა და მის კოლექტივს 10 წლით მართვის უფლებით იმისათვის გადაეცა, რომ ქარხანა უცხოელი პარტნიორების მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს, რეინვესტირების გზით გადაიარაღდეს და კიდევ უფრო გაძლიერდეს; ამ ბოლო 5 წლის განმავლობაში „თბილავიამშენში" ისრაელელ კოლეგებთან ერთად, შევქმენით პირველი ქართული სამხედრო თვითმფრინავი, რომელიც მსოფლიო ბაზარზე ერთ-ერთი წამყვანია სამხედრო ავიაციის ამ კატეგორიაში. ჩვენ აგრეთვე ვაწარმოებთ პირველ ქართულ სამგზავრო სამოქალაქო თვითმფრინავ „მავერიკს", რომელიც პრაქტიკულად უკვე გასულია მსოფლიო ბაზარზე. მისი გაყიდვაც ბიუჯეტში უზარმაზარ თანხებს მოიზიდავს. სულ ახლახანს მოხდა „ბოინგის" რეგიონალური სერვისცენტრის ბიზნესგეგმის პრეზენტაცია, რომელიც ჩვენი თხოვნით ამერიკული კომპანია „პერიკლეს ჯგუფმა" მოამზადა ბატონ გია მაისაშვილის ხელმძღვანელობით. თუ არავინ შეგვიშალა ხელი, ეს პროექტი 2005 წელს დაიწყებს მუშაობას და უამრავ ხალხს დაასაქმებს.

საქართველოში პირველად ჩვენ მოგვენიჭა ხარისხის საერთაშორისო სერტიფიკატი, რაც საშუალებას გვაძლევს უცხოელ პარტნიორებთან თანაბარი პირობებით ვითანამშრომლოთ. ჩვენი პროდუქციით და მომსახურებით საქართველო უკვე დღეს ისტუმრებს არაკეთილსინდისიერი მოხელეების შეჭმულ ვალებს, რომელიც ხვალ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს უნდა დაწოლოდა მხრებზე. თურქმენეთის მიმართ საქართველოს 360 მილიონ დოლარიანი ვალიდან უკვე დაიფარა 104 მილიონი და დანარჩენი გაისად დაიფარება. მხოლოდ შარშან ჩვენ 2,6 მილიონი ლარი გავიღეთ ქველმოქმედებაზე მთელ საქართველოში და მრავალი სხვა. ამას ვაკეთებთ მე და ჩემი კოლექტივი. ბრმა უნდა იყო კაცი, რომ ამ გაკეთებულ საქმეებში შენება კი არა, ნგრევა დაინახო.

მე იმის თქმა ნამდვილად არ მინდა რომ კარგს მარტო მე ვაკეთებდი. უბრალოდ იმას შეგახსენებთ, რომ ქარხანაში ჩემი დაბრუნების 5 წლისთავზე 25 მილიონ ლარიანი დავალიანების ნაცვლად ჩვენს საწარმოს ბიუჯეტში ყოველწლიურად 30-40 მილიონი ლარი შეაქვს, და თქვენც ძალიან კარგად იცით, რომ ჩემი პარლამენტში მისვლის შემთხვევაში მე ყველა სხვა პროგრესულ ძალასთან ერთად ვიბრძოლებ იმისათვის, რომ ეს თანხები მექრთამე და ხაზინის ქურდი ჩინოვნიკების ჯიბეში კი არა, მიზანმიმართულად ისევ ქართული ეკონომიკის განვითარებას, ხელფასების დარიგებას, ქვეყნის გაძლიერებას, პენსიონერებს, ინვალიდებს და მოსახლეობის სხვა გაჭირვებულ ფენებს მოხმარდეს. თუ თქვენ ან რომელიმე სხვა კანდიდატს ამ ქვეყნისათვის რამე სასიკეთო გაქვთ გაკეთებული, მოახსენეთ ამომრჩეველს და მერე ამომრჩევლის ნებაა ვის მისცემს ხმას.

ეს არის ჩემი კრედო და ამით მივდივარ ამომრჩეველთან. თანაც დარწმუნებული ვარ, რომ ყველა, ვისაც თავისი ქვეყანა და ხალხი უყვარს, ასევე აზროვნებს და ამდენად, არა მაქვს სურვილი ჩავება ნეგატიურ კამპანიაში, რადგანაც ჩემთვის ერთადერთი მისაღები პოლიტიკა მაღალი ზნეობაა. თუმცა ყოველთვის მზად ვარ ნებისმიერ პოლიტიკურ ძალასთან კონსტრუქციული დიალოგისათვის, თუ ეს დიალოგი კონკრეტულ სასარგებლო საქმეს შეეხება. სწორედ ამიტომ, ვთვლი, რომ ტელედებატების გამართვას აზრი არა აქვს.

**პატივისცემით,**

**პანტიკო თორდია,**
**სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი.**

დიდი სატკივარი

## თაობა უნარკოტიკოდ. საჭიროა ფიქრი!

პირველი გვერდიდან

„პარასკევი უსაზიზღრესი დღე იყო ჩემთვის. გამოცდაზე ჩავიჭერი. ამოცანის ვერაფერი გავიგე. შემდეგ მეგობარი ამიხირდა, კალათბურთის ვარჯიშზე გავყოლოდი. გავყევი, ვიჯექი უაზროდ, რადგან კალათბურთი ჩემთვის არაფერია, თუმცა კარგად არ ვიცი ამ ცხოვრებაში „ჩემი" რა არის. ამის გამო მშობლებთან ვდავობ, ისინი მიყვირიან. თავი დამანებონ! მინდა ვიცოდე, რატომ არ შეიძლება თამბაქო, ალკოჰოლი ან ნარკოტიკი გავსინჯო? **ნათია ნიკოლაიშვილი".**

ბავშვები, ეს ღმერთის გამოცანები, ყველაზე ძნელი ამოსახსნელები არიან. იცის ეს თბილისის 51-ე საავტორო სკოლის $X^3$ კლასის ხელმძღვანელმა, ბიოლოგიის მასწავლებელმა ანა ყანდაშვილმა. მოსწავლეებზე გადაგებულმა აღმზრდელმა უწყის, რომ დღეს იმდენი რამის გადაფასება ხდება, ძნელია მოზარდი სწორ გზაზე დააყენო, ზნეობის ნორმებს აზიარო.

ნარკოტიკების პრობლემა აწუხებს ყველაზე მეტად.

ბოლო ხანებში ჯანმრთელობისთვის მავნე ნივთიერების მოხმარების არეალი ისე გაფართოვდა, რომ სერიოზულად დაემუქრა ახალგაზრდობას. ამ პრობლემაში გარკვევას ისახავს მიზნად პროგრამა, რომელიც ქალბატონმა ანამ მოამზადა.

ცნობილია, რომ ახალგაზრდებში ჯანსაღი წესის დამკვიდრება კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. ამიტომ დაუკავშირდა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორატს, შიდსის ცენტრს, აკადემიკოს ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. თითოეულისგან კონსულტაცია და პრაქტიკული თანადგომა მიიღო.

— გვერდით ამოვიყენე ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში ხათუნა თოდაძე, ფსიქოლოგი სოფიკო ვერულაშვილი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს წარმომადგენელი დავით კრიალური და სხვები. ასე რომ, პროგრამა ფართო მასშტაბისაა და ამ საჭირო აქციაში ყველაა ჩართული, ვისთვისაც კი მოზარდის მომავალი ძვირფასია.

ახლახან ანა ყანდაშვილმა თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში ამ პროგრამიდან — „ფიქრები ჯანმრთელობაზე" — გამომდინარე ღონისძიება განახორციელა, რომელიც სიგარეტის, ალკოჰოლის და ნარკოტიკების პრევენციის პროგრამის ძირითად საკითხს მოიცავდა.

„როგორ ავიცილოთ საფრთხე", „რაში მდგომარეობს სიგარეტის, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მიმზიდველობის საიდუმლო", „ზოგი რამ გარდამავალი ასაკის თავისუბურებების შესახებ", „თავსატეხის განცდა მოზარდებში", „ძირითადი ინფორმაციები თამბაქოს მოხმარების შესახებ", „პრაქტიკული ჩვევები სიგარეტის გადაგდების მსურველთათვის", „მომავალი — ნარკოტიკების გარეშე" — ასეთ თემებზე წაიკითხეს მოსწავლეებმა მოხსენებები თბილისის მასწავლებელთა და განათლების სისტემის მეთოდური უზრუნველყოფის ინსტიტუტში; დედაქალაქის 51-ე საავტორო და 23-ე სკოლების მოსწავლეებმა აქ ფერწერული თემატური ნამუშევრებიც გამოფინეს.

25 წელია პედაგოგად მუშაობს ანა ყანდაშვილი, 25 წელია კლასის ხელმძღვანელის მოვალეობასაც ასრულებს. მისი მონაწილეობით სკოლაში შემუშავებულია აქტიური სწავლების ისეთი ფორმები და მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლე შემოქმედებით მუშაობაში ერთვება. ანა ყანდაშვილის გამოცდილება არაერთხელ განზოგადდა.

— პრობლემა არის. საჭიროა ფიქრი! ასეთია ანა ყანდაშვილის პრინციპი. საფიქრალი ბევრი აქვს. აი, თუნდაც მოსწავლეთა ასეთი ჩანაწერების გამოც:

„რატომ იწევს მოზარდი ნარკოტიკისკენ? უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მას დიდობის განცდა ეუფლება. **თათია ჭიტაძე".**

„ზოგჯერ შემოთავაზებულ ნარკოტიკზე ან სასმელზე ის უარს ვერ ამბობს, ეშინია, ლაჩრად არ ჩათვალონ. **სოსო გედევანიშვილი".**

რატომ ფიქრობენ ასე მოზარდები, ან რა განსაზღვრავს მათ მოქმედებას?

აი, რის გამოცნობას ცდილობს ქალბატონი ანა, რომელიც ამბობს: — რეცეპტს ვერ გამოწერ. მოზარდებთან მუშაობისას მართლაც ბევრი უნდა იფიქრო.

**ნათელა ფაილოძე.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

# ვიქტორ კუპრაძე – 100

განვლილი გზა

## დიდი მეცნიერი და მოღვაწე

**ამ დღეებში აღინიშნება შესანიშნავი მეცნიერისა და მოღვაწის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი გამორჩეული რექტორის, აკადემიკოს ვიქტორ კუპრაძის დაბადების 100 წლისთავი. ხვალ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნება და პირველ ნოემბრამდე გაგრძელდება მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართველი, რუსი, ინგლისელი, ფრანგი, ამერიკელი, გერმანელი, უკრაინელი, პოლონელი, იტალიელი, პორტუგალიელი მეცნიერები. 29 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართება ვიქტორ კუპრაძის იუბილე.**

2 ნოემბერს სრულდება გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის, აკადემიკოს ვიქტორ კუპრაძის დაბადებიდან 100 წლისთავი. ვიქტორ კუპრაძეს, როგორც გამორჩეულ ერისკაცს, თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით ღირსეული ადგილი უკავია შარავანდედით მოსილ ქართველ მამულიშვილთა პლეადაში. მისი ცხოვრება ნათელი მაგალითია მშობლიური ერისა და ქვეყნის სამსახურისა. როგორც ჭეშმარიტად უანგარო მოღვაწემ და მეცნიერმა მან ქართველი ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, შორს გაიტანა საქართველოს ღირსება და კიდევ უფრო აუმაღლა ავტორიტეტი მსოფლიოში აღიარებულ ქართულ მათემატიკურ სკოლას.

ვიქტორ კუპრაძის სახელი კარგადაა ცნობილი მსოფლიოს მათემატიკოსთა საზოგადოებაში. ბატონმა ვიქტორმა უდიდესი წვლილი შეიტანა დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებების თეორიაში, მათემატიკურ ფიზიკაში, დრეკადობის სამგანზომილებიან თეორიაში და, ზოგადად, გამოყენებით მათემატიკაში, რითაც მან დიდი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

ვიქტორ კუპრაძე დაიბადა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ყელაში (ახლანდელი ნინოშვილი), რკინიგზელის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, სადაც მათემატიკური დისციპლინები შედარებით გაფართოებული პროგრამით ისწავლებოდა. მათემატიკის მასწავლებელმა ივანე გაჩეჩილაძემ თავიდანვე მიაქცია ყურადღება ვიქტორის მათემატიკისადმი განსაკუთრებულ მიდრეკილებას. სკოლის დამთავრების შემდეგ, სწორედ მისი რჩევით შევიდა იგი 1922 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

უნივერსიტეტში სწავლის დროს ვიქტორ კუპრაძემ მიიქცია პროფესორების ანდრია რაზმაძის და ნიკო მუსხელიშვილის ყურადღება. აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე ასე გამოთქვამს ანდრია რაზმაძის შეხედულებას ბატონი ვიქტორის შესახებ: „მე კარგად ვიცოდი ჩემი მეგობრის ანდრია რაზმაძის სიმპათია-ანტიპათიები. მას ძალიან უყვარდა თავისი მოწაფე ვიქტორ კუპრაძე; იგი ერთხელ უნივერსიტეტის კარებთან შეგვხვდა. მე და ანდრია უნივერსიტეტიდან გამოვდიოდით. ვინმეს შეხვედრისას ანდრია იშვიათად ჩამორჩებოდა. ამ შემთხვევაში ის შედგა. მე პირველად შევამჩნიე მაშინ ახალგაზრდა ვიქტორ კუპრაძე, რომელიც მორიდებით და დინჯად უსმენდა მასწავლებელს. ნაბიჯი შევანელე და როცა ანდრია დამეწია ჩემს კითხვას არ დაელოდა, ისე მითხრა:

— საინტერესო ყმაწვილია, ნიჭიერი და მუყაითი. შორს წავა. სამწუხაროდ, ხშირად ვერ ვხვდები — პოლიტიკითაა გატაცებული“.

ჯერ კიდევ ჭაბუკობის წლებში (1921-1927 წლები) ვიქტორ კუპრაძე ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას. იყო თანამშრომელი, შემდგომ კი რედაქტორი კომკავშირული გაზეთებისა: „იუნოშესკაია პრავდა“, „მოლოდოი რაბოჩი“ და „ახალგაზრდა კომუნისტი“. ამავე პერიოდში იყო თეორიულ ჟურნალ „აქტივისტის“ რედაქტორი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1927 წელს, ვიქტორ კუპრაძე უნივერსიტეტში დატოვეს სამეცნიერო მოღვაწეობისათვის მოსამზადებლად.

1928 წელს პროფესორმა ანდრია რაზმაძემ ვიქტორ კუპრაძეს დაავალა პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიაში. თბილისის უნივერსიტეტის გარდა ბატონი ვიქტორი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტსა და რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტში. იმ პერიოდში ვიქტორ კუპრაძის პედაგოგიურ საქმიანობას ასე ახასიათებს კანდიდ ჩარკვიანი (შემდგომში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი): „რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტში შევხვდი ვიქტორ კუპრაძეს, ახალგაზრდა მეცნიერს, ტიპიურ საბჭოთა ფორმაციის ინტელიგენტს. ის თეორიული მექანიკის კურსს გვიკითხავდა საინტერესოდ, გატაცებით. ერთს არ წაიბორძიკებდა, განუმარტავ დებულებას არ დატოვებდა. გამხდარი, ფერმკრთალი, სახის დახვეწილი ნაკვთებით და აქოჩრილი ჩალისფერი თმით — იგი გარეგნობითაც ამჟღავნებდა, რომ დიდ ინტელექტუალურ შრომას ეწეოდა. ვიქტორი ჩვენთან დიდხანს არ დარჩენილა. იმ ხანებში ლენინგრადში წავიდა მეცნიერებაში დაოსტატების მიზნით“.



1930 წელს ვიქტორ კუპრაძე ჩაირიცხა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტად ლენინგრადში; მისი ხელმძღვანელები იყვნენ გამოჩენილი მეცნიერები აკადემიკოსები ალექსი ნიკოლოზის ძე კრილოვი და ვლადიმერ ივანეს ძე სმირნოვი.

1933-1935 წლებში ვიქტორ კუპრაძე მუშაობდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში სწავლულ მდივნად. 1935 წლის პირველ ოქტომბერს იგი ინიშნება ახლად შექმნილი თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორად.

აღსანიშნავია, რომ პირველ წელიწადს ინსტიტუტის დირექტორს — ვიქტორ კუპრაძეს ხშირად უხდებოდა ყოფნა მოსკოვში, რადგან ასრულებდა სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სწავლული მდივნის მოვალეობასაც. ამავე პერიოდში, 1935 წელს, მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია (საკანდიდატო დისერტაციის გამოტოვებით) თემაზე: „ელექტრო-მაგნიტური ტალღის დიფრაქციის თეორიის სასაზღვრო ამოცანები“.

1941 წლის შემოდგომაზე ვიქტორ კუპრაძე სამამულო ომში გაიწვიეს, როგორც გერმანული ენის კარგი მცოდნე, და დაევალა პროპაგანდისტული მუშაობის ჩატარება მტრის ჯარისკაცებთან და ოფიცრებთან. ის იყო გერმანულ ენაზე გამომავალი გაზეთის „ჯარისკაცის სიმართლეს“ რედაქტორის მოადგილე. ეს გაზეთი ვრცელდებოდა გერმანელთა მხარეზე და აქტიურ პროპაგანდისტულ საშუალებას წარმოადგენდა. მრავალ არაორდინარულ მომენტებს შორის, რაც დაკავშირებულია ბატონ ვიქტორის ფრონტულ ცხოვრებასთან, ერთ მეტად ამაღელვებელ და არაჩვეულებრივ შემთხვევას გავიხსენებთ. იმ პერიოდში საბჭოთა ჯარის ნაწილებს ტყვედ ჩაბარდა ეფრეიტორი ოტო ტრეტჩერი, რომელიც ამბობდა, რომ იყო კომუნისტი, და სურდა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. მას ეს არ დაუჯერეს და, როგორც ყველა სხვა ტყვე, გაგზავნეს ტყვეთა ბანაკში, ნოვოროსიისკში. უფროსების მითითებით ვიქტორ კუპრაძე გაფრინდა ნოვოროსიისკში, სადაც შეხვდა ტრეტჩერს და ალღოთი მიხვდა, რომ გერმანელი სიმართლეს ამბობდა და ქერჩში ჩამოიყვანა, რათა გამოეყენებინა გაზეთის რედაქციაში სამუშაოდ. ამით მან, ფაქტობრივად, იხსნა ოტო ტრეტჩერი ტყვეობის მძიმე ხვედრისგან. ვიქტორ კუპრაძის ამ მოქმედებას ყველა არ იწონებდა, მაგრამ თვითონ ამართლებდა თავის მოქმედებას იმით, რომ გაზეთის თანამშრომლებს არ ჰქონდათ გერმანული ენის და ფაშისტური არმიის ყოფა-ცხოვრებაზე საკმარისი ცოდნა, ამის გარეშე კი არ შეიძლებოდა კარგი პროპაგანდისტული გაზეთის გამოშვება. რედაქციაში ტრეტჩერის მოსვლით გაზეთი უფრო კონკრეტული და მიზანმიმართული გახდა. უმძიმესმა საფრონტო კატაკლიზმებმა, რაც დატრიალდა ყირიმის ნახევარკუნძულზე, ვიქტორ კუპრაძე და ოტო ტრეტჩერი ერთმანეთს დააშორა.

გავიდა 30 წელი. ვიქტორ კუპრაძე აირჩიეს სსრკ-გდრ-ის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარედ და გერმანიიდან ის ღებულობს წერილს, სადაც ეწერა: „არ ვიცი ვინ ხართ თქვენ, მაგრამ ოდესღაც ჩემი ცხოვრების ძალიან რთულ პერიოდში ამ გვარის ადამიანმა ისეთი როლი ითამაშა ჩემი ბედის გადაწყვეტაში, რომ მე არ შემეძლო გულგრილად მიმეღო გაზეთის ეს ცნობა“. წერილის ავტორი იყო ოტო ტრეტჩერი. მალე მან მიიღო საპასუხო წერილი კუპრაძისაგან, რასაც მოჰყვა მათი მეტად ამაღელვებელი შეხვედრა.

1943 წელს ვიქტორ კუპრაძე, დემობილიზაციის შემდეგ, დაინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორად სამეცნიერო მუშაობის დარგში.

ამავე წელს მას მიენიჭა საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ამ პერიოდიდან მოყოლებული, ბატონი ვიქტორის ცხოვრებაში კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებოდა სამეცნიერო-პედაგოგიური, პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი სამოღვაწეო სფეროები.

1943 წელს ვიქტორ კუპრაძემ უნივერსიტეტში დააარსა დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებების კათედრა, რომლის გამგე იყო 1980 წლამდე. 1944 წლის მაისში დაინიშნა საქართველოს განათლების მინისტრად. ამ თანამდებობაზე 1953 წლამდე მუშაობდა. ვიქტორ კუპრაძის მოღვაწეობა განათლების მინისტრის პოსტზე მრავალი ნოვატორული წამოწყებით გამოირჩევა განათლების სფეროში. კერძოდ, მისი უშუალო მცდელობით შემოღებულ იქნა თერთმეტწლიანი სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში.

1946 წელს ვიქტორ კუპრაძე აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად და 1947 წლიდან 1985 წლამდე იყო აღნიშნული აკადემიის პრეზიდიუმის წევრი.

1954-1963 წლებში ვიქტორ კუპრაძე იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. მისი განსაცვიფრებლად მრავალმხრივი მოღვაწეობის მკაფიო მაგალითია თუნდაც ის ფაქტი, რომ იგი იყო მარქსის „კაპიტალის“ ქართულ ენაზე მეორე გამოცემის მთავარი რედაქტორი (1954 წ.). დიდია მეცნიერის დამსახურება ახალი ეკონომიკური ტერმინების შემოღებისა და ძველი ტერმინების შეცვლის საქმეში.

1954-1958 წლებში ვიქტორ კუპრაძე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი და ღირსეულად აგრძელებდა თავისი დიდი წინაპრების — ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე მელიქიშვილის მიერ დანერგილ ტრადიციებს.

1955 წელს წარგზავნილი იქნა აშშ-ში გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, როგორც საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილე, ამ დელეგაციას ხელმძღვანელობდა ვიაჩესლავ მოლოტოვი. ბატონი ვიქტორი სიტყვით გამოვიდა გაეროს სხდომაზე, როცა იხილებოდა საკითხი აფრიკის ხალხთა შესახებ. იმ პერიოდში გაეროსათვის დამახასიათებელი იყო საბჭოთა წინადადებებზე უარის თქმა, მაგრამ კუპრაძის გამოსვლა და მის მიერ წარდგენილი საბჭოთა დელეგაციის წინადადებათა პროექტი გაერომ მიიღო. ეს იმ დროისათვის სენსაციური შემთხვევა იყო.

როცა ვიქტორ კუპრაძის რექტორობის პერიოდში 1956 წლის 9 მარტის სულის შემძვრელი ტრაგიკული მოვლენები მოხდა, მაშინ კიდევ ერთხელ გამოჩნდა ბატონი ვიქტორის დიდი მამულიშვილობა და ერისკაცობა.

1962 წელს თბილისში დაარსდა საქართველოს მათემატიკოსთა საზოგადოება. დამფუძნებელმა კრებამ ვიქტორ კუპრაძე საზოგადოების პირველ პრეზიდენტად აირჩია.

1963 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში დაარსდა მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება. ვიქტორ კუპრაძე აირჩიეს ამ განყოფილების აკადემიკოს მდივნად. იგი ამ თანამდებობაზე 1981 წლამდე მუშაობდა.

ბატონი ვიქტორი აქტიურად იყო ჩაბმული საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობებში.

1976 წელს ვიქტორ კუპრაძე აირჩიეს სსრ კავშირის თეორიული და გამოყენებითი მექანიკის ნაციონალური კომიტეტის წევრად, ხოლო 1977 წელს — საერთაშორისო საზოგადოების — „მათემატიკის მეთოდები მექანიკაში“ პრეზიდიუმის წევრად. ამავე წლიდან იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პლასტიკურობისა და სიმტკიცის სამეცნიერო საბჭოს ბიუროს წევრი. 1980 წელს ქართველი მეცნიერი აირჩიეს საბჭოთა მათემატიკოსების ნაციონალური კომიტეტის წევრად.

ვიქტორ კუპრაძე აქტიურად მონაწილეობდა ცნობილი მათემატიკური ჟურნალის „უსპეხი მატემატიჩესკიხ ნაუკ“ შექმნაში და იყო ამ ჟურნალის პირველი სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში. ამას გარდა შეყვანილი იყო ჟურნალების — „დიფერენციალური განტოლებები“ (მინსკი), „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, „თერმოძაბვები“ (აშშ) სარედაქციო კოლეგიების წევრად.

იგი აქტიურად მონაწილეობდა პირველი ქართული ენციკლოპედიის სარედაქციო საქმიანობაში.

მოღვაწეობის ყველა სფეროში სამეცნიერო, პედაგოგიურ თუ სახელმწიფო ასპარეზზე, ბატონი ვიქტორი გამოირჩეოდა უდიდესი ინტელიგენტურობით, რომელიც შერწყმული იყო უდიდეს ინტელექტუალურობასთან. ვიქტორ კუპრაძესთან უბრალო საუბრის დროსაც კი მსმენელს ხიბლავდა მისი მაღალი ნიჭიერება, სწრაფი და ორიგინალური მოსაზრება, ერთბაშად საქმის არსის დაჭერა. თვით მისი მეტყველება განსაკუთრებით მიმზიდველი იყო თავისებური ჟღერადობით.

ბატონ ვიქტორს ახასიათებდა იშვიათი მჭევრმეტყველება, ის ჭეშმარიტად ბრწყინავდა თავისი ორატორული ნიჭით.

თავის შესაძლებლობათა მთელ ამ არსენალს თავდაუზოგავად იყენებდა ერისა და ქვეყნის სამსახურში. ვიქტორ კუპრაძის დიდი დამსახურება მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში მრავალი ჯილდოთი აღინიშნა (ლენინის 3 ორდენი; შრომის წითელი დროშის 2 ორდენი; ოქტომბრის რევოლუციის ორდენი, საპატიო ნიშნის ორდენი, თბილისის საპატიო მოქალაქე), მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო, ალბათ, ის გულწრფელი სიყვარული და პატივისცემის გრძნობაა, რომელსაც ასე სათუთად და გამორჩეულად გამოხატავს ფართო საზოგადოება და, განსაკუთრებით მისი უამრავი კოლეგა, როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ — უცხოეთში.

უკვე 18 წელია გასული ბატონი ვიქტორის გარდაცვალებიდან, მაგრამ მისი მეცნიერული მემკვიდრეობა და სამეცნიერო იდეები კვლავაც აქტიური გამოყენებისა და განვითარების პროცესშია მსოფლიოს მრავალ სამეცნიერო ცენტრში. ესეც უდიდესი ჯილდოა მეცნიერისთვის.

ვიქტორ კუპრაძის საკმარისად მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა პირობითად შეიძლება 6 დიდ ჯგუფად დაიყოს:

ზომერფელდის გამოსხივების პირობების დაფუძნებასთან დაკავშირებული პრობლემები და სასაზღვრო ამოცანები ჰელმჰოლცის განტოლებისთვის; ელექტრო-მაგნიტური ტალღების დიფრაქციისა და გაბნევის ამოცანები; დრეკადობის თეორიის ამოცანები (სტატიკა, მდგრადი რხევა და ზოგადი დინამიკა); სინგულარული ინტეგრალური განტოლებები და მათი გამოყენება; დრეკადობის თეორიის დაზუსტებული მოდელები (თერმოდრეკადობა, მომენტური დრეკადობის თეორია, და სხვა); მათემატიკური ფიზიკის სასაზღვრო ამოცანების მიახლოებითი ამონახსნების აგება და რიცხვითი რეალიზაციის პრობლემები.

ეს საკითხები განხილული და გაანალიზებულია ვიქტორ კუპრაძის მრავალრიცხოვან შრომებში და მონოგრაფიებში. მრავალი მათგანი ითარგმნა და გამოიცა ინგლისურ, გერმანულ და პოლონურ ენებზე. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ვიქტორ კუპრაძეს მიერ ავტორთა კოლექტივთან (თენგიზ გეგელია, მიხეილ ბაშელეიშვილი, თენგიზ ბურჭულაძე) ერთად შექმნილი მონოგრაფია „დრეკადობისა და თერმოდრეკადობის მათემატიკური თეორიის სამგანზომილებიანი ამოცანები“, რომლის პირველი გამოცემა (თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1968 წ.) მიეძღვნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50-ე წლისთავს. 1971 წელს ამ წიგნის ავტორებს მიენიჭათ საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერების დარგში. 1976 წელს წიგნის მეორე გამოცემა განხორციელდა მოსკოვში, გამომცემლობა „ნაუკაში“, ხოლო 1979 წელს ითარგმნა ინგლისურად და გამოიცა ამსტერდამში. გამოცემისთანავე ამ წიგნმა ექსპერტთა უდიდესი ყურადღება მიიპყრო და დარგში მომუშავე სპეციალისტებისთვის სამაგიდოდ იქცა.

ვიქტორ კუპრაძე მომავალ თაობებშიაც დარჩება საუკეთესო მაგალითად, თუ როგორი უნდა იყოს სამშობლოს სიყვარულით შთაგონებული მეცნიერი.

**როინ მეტრეველი,**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი;

**მიხეილ ბაშელეიშვილი,**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დრეკადობის თეორიის განყოფილების გამგე, პროფესორი;

**დავით ნატროშვილი,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგე, პროფესორი.

უნიკალური მონოგრაფია

## რა არ ემორჩილება დროს...



მკვლევარი მათემატიკოსის უკვდავება მისი იდეების, ნააზრევის, მეცნიერული შედეგების, კერძოდ, ფორმულების სიცოცხლისუნარიანობა და დროში გაუხუნრობაცაა. აკადემიკოსმა ვიქტორ კუპრაძემ სწორედ ასეთი ჟამთაგამძლე მათემატიკური მემკვიდრეობა დატოვა.

სასაზღვრო ელემენტთა მეთოდებში საერთაშორისო საზოგადოების (რომლის შტაბ-ბინა ინგლისში, საუტჰემპტონის უნივერსიტეტშია) პროგრამა დიდწილად ვიქტორ კუპრაძისა და მისი მოწაფეების მიერ მათემატიკური ფიზიკის სივრცული ამოცანების გადასაწყვეტად შექმნილ თეორიას ეფუძნება. მსოფლიოს არაერთ მათემატიკურ ცენტრში (აშშ, გერმანია, რუსეთი, საფრანგეთი და სხვა) დღესაც ინტენსიურად ვითარდება პოტენციალთა მეთოდი საქართველოში დამუშავებული რთული ტიპის ამოცანებისა და მათი შესაბამისი სკალარული განტოლებებისა და სისტემებისათვის. შესაბამისად, მრავალ პუბლიკაციაში შეხვდებით ვიქტორ კუპრაძისა და მისი სკოლის წარმომადგენელთა, როგორც ფუძემდებლური შრომების ავტორთა, ციტირებას.

ახლა უკან დავიხიოთ დროში და გასული საუკუნის მეორე ნახევარს გადავხედოთ, როცა 1968 წელს ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში, შემდეგ, 1976 წელს, მოსკოვის გამომცემლობა „ნაუკაში“ გამოქვეყნდა ვიქტორ კუპრაძისა და მისი მოწაფეების (თენგიზ გეგელია, მიხეილ ბაშელეიშვილი, თენგიზ ბურჭულაძე) კაპიტალური (600 გვერდიანი) ნაშრომი „მათემატიკური დრეკადობის თეორიის სამგანზომილებიანი ამოცანები“. ორი წლის შემდეგ წიგნი ინგლისურად ითარგმნა და „ნორთ-ჰოლანდის“ ცნობილმა კომპანიამ (ამსტერდამი-ოქსფორდი-ნიუიორკი) დასტამბა. მაშინ მონოგრაფიის როგორც რუსულ, ისე ინგლისურ გამოცემებს თვალსაჩინო სპეციალისტთა ფართო გამოხმაურება და ერეული რეცენზიები მოჰყვა და ქვემოთ მხოლოდ ზოგიერთ ამონარიდს გთავაზობთ. ა. ლურიე, გ. სავინი და ი. ვოროვიჩი წერდნენ, რომ წიგნის ძირითად შინაარსს სივრცული ამოცანების პრინციპული ანალიზი შეადგენს და რომ ავტორებმა, მათ მიერვე შექმნილი კვლევის აპარატის შემოქმედებითი მომარჯვებით, თანმიმდევრულად განიხილეს ყველა ძირითადი პრობლემა და ჯეროვანი ყურადღება დაუთმეს მიღებული თეორიული დასკვნების ბაზაზე რიცხვითი ხერხების შემუშავებას, რისი წყალობითაც ამოცანების ამონახსნები ცხადი სახით ამოიწერა.

ლიტერატურაში მანამდე ცნობილი მონოგრაფიული ნაშრომები, როგორც ვ. ილინი და ლ. კუდრიავცევი აღნიშნავდნენ, მხოლოდ სივრცული პრობლემების კერძო შემთხვევების აღწერას სჯერდებოდა, რაც განსაკუთრებული სიძნელეებით იყო გამოწვეული. სარეცენზიო წიგნში კი გადმოცემულია ამ პრობლემების კვლევის ზოგადი გზა და მოხსენიებული სიძნელეები წარმატებით არის დაძლეული. ეს განპირობებულია იდეებისა და ხერხების სიახლით, მდიდარი შინაარსით, მიღებული შედეგების ეფექტიანობით.

„ნორთ-ჰოლანდის“ ინგლისურმა პუბლიკაციამ საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია. ათამდე უცხოურმა სპეციალურმა ჟურნალმა დაბეჭდა დაწვრილებითი რეცენზიები ოთხი ქართველი ავტორის მონოგრაფიაზე, როგორც ფუნდამენტურ, უნიკალურ ნაშრომზე, მკითხველთა დიდი კონტინგენტისათვის გამიზნულზე — მაღალი მეცნიერული დონითა და კლასიკური ხასიათით.

„ავტორებმა წარმატებით სცადეს დრეკადი უწყვეტი მრავალსახეობის მათემატიკური თეორიის ყოვლისმომცველი გადმოცემის განხორციელება“ (კ. შიფნერი, „აერონავტიკისა და კოსმოსური კვლევის ჟურნალი“).

„წიგნი მიზნად ისახავს მოგვაწოდოს კლასიკური დრეკადობის თეორიისა და მისი განზოგადებების მათემატიკური საფუძვლების ანალიზი... თხრობის კლასიკური ხასიათი დიდხანს მიიზიდავს მათემატიკოსთა და ინჟინერთა ყურადღებას“ (ი. იგნაჩაკი, ჟურნალი „ტემპერატურული ძაბვები“).

„მთლიანობაში, განსახილველი მონოგრაფია გახლავთ უნიკალური ნაწარმოები. სხვაგან ვერსად ნახავთ ამოცანათა ასე ფართო წრეს, წრფივი თეორიის პრაქტიკულად თითქმის ყველა დასამვები ამოცანის ასეთ შესწავლას“ (ი. ალბლასი, „ნიდერლანდების მათემატიკოსთა საზოგადოების ჟურნალი“).

ფრიად საყურადღებო რეფერატი დაბეჭდა „ამერიკის მათემატიკოსთა საზოგადოების ბიულეტენში“ იან სნედონმა. იგი წერდა, რომ ოთხი ავტორის ნაშრომის ერთიანი სივრცული თეორიის ამომწურავი გადმოცემა, რომ კლასიკური დრეკადობის თეორია მათემატიკური ფიზიკის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული დარგია, სადაც მათემატიკური სიმკაცრისა და ფიზიკური ინტუიციის შეერთებას მდიდარი ნაყოფი მოაქვთ და რომ სარეცენზიო წიგნი ამის ნათელი დადასტურებაა. რეცენზენტი იმასაც აღნიშნავს, რომ ერთადერთი ეროვნული სკოლა, რომელმაც ამ დარგში ევროპის კლასიკური „დრეკადული“ ქვეყნების — საფრანგეთის, იტალიის, ინგლისისა და გერმანიის სადარი წვლილი შეიტანა, ეს არის ქართული მეცნიერული სკოლა. მან მოგვცა სამგანზომილებიანი დრეკადობის თეორია პოტენციალთა იმ მეთოდების განვითარების ბაზაზე, რომლებიც ვიქტორ კუპრაძისა და მისი თანამშრომლების წიგნშია აღწერილი.

...და კვლავ ჩვენს ხანას დავუბრუნდეთ. სამწუხაროდ, ოთხი ავტორიდან ერთი დარჩა ცოცხალი — პროფესორი მიხეილ ბაშელეიშვილი. განსვენებულთა — აკადემიკოს ვიქტორ კუპრაძის, აკადემიის წევრ-კორესპონდენტის თენგიზ გეგელიას, აკადემიკოს თენგიზ ბურჭულაძისა და ჯანმრთელად მყოფი ბატონი მიხეილის მოწაფეები, აგრეთვე, მოწაფეთა მოწაფეები, წარმატებით აგრძელებენ მასწავლებლების მიერ ბრწყინვალედ დაწყებულ საქმეს — მათემატიკური ფიზიკის სამგანზომილებიანი (სივრცული) ამოცანების კვლევას.

ხუთდღიანი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც დღეს, 26 ოქტომბერს იწყება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში და გერმანიიდან, ინგლისიდან, იტალიიდან, პოლონეთიდან, რუსეთიდან, საფრანგეთიდან, უკრაინიდან ჩამოსული სტუმრებისა და მათი ქართველი მასპინძლების 50-მდე მოხსენებას მოისმენს, გარკვეული აზრით ბენეფისი იქნება 100 წლის ვიქტორ კუპრაძისა და მის მიერ შექმნილი მათემატიკური სკოლისა...

**რამაზ გორგაძე.**

გახსენება

## მოგონებათა მცირე სხმული

ამ კაცის პიროვნებაში საოცრად იყო შერწყმული სხვადასხვაგვარი ტალანტი: მათემატიკური, ორგანიზატორული, პედაგოგიური, ლიტერატურული, ლინგვისტური, ორატორული, პოლემისტური... თუნდაც მისთვის უმთავრესი ინგრედიენტი — მათემატიკოსობა ჩამოგვეშორებინათ, ბევრი რამ დარჩებოდა ღირსშესანიშნავი. ვიქტორ კუპრაძის ცოცხალი, გამჭრიახი გონება, სწრაფი გააზრების, საკითხის არსის უცბად დაჭერის უნარი, მხოლოდ მათემატიკას როდი ხმარდებოდა. ის გახლდათ ფართო განათლების მქონე დიდად ერუდირებული ადამიანი, საყვარელი მეცნიერების „გარეთ“ ლიტერატურით, ისტორიით, ფილოსოფიით, პოლიტიკით, მუსიკით, ხელოვნებით, სპორტით დაინტერესებული და ამ სფეროთა კარგი მცოდნე. ის იყო იშვიათი მჭევრმეტყველი, ბრწყინვალე ორატორი, მწვავე პოლემისტი გამორჩეული არტისტული ნატურით, წმინდა გარეგნული სიმპათიურობით, ინტელიგენტურობით, ინტელექტუალურობით, საერთო პეწიანობით.

წლების განმავლობაში მქონდა ბატონ ვიქტორთან სხვადასხვა საბაბით ურთიერთობის პატივი.

ერთხელ როგორღაც ვკითხე: უნდა ეტანებოდეს თუ არა მაღალნიჭიერი მკვლევარი ადმინისტრაციულ საქმიანობას, უნდა თანხმდებოდეს თუ არა მაღალი თანამდებობის დაკავებას?

მიპასუხა: დიდი მეცნიერული მუშაობისა და დიდი პოსტის შეთავსება უფრო უარყოფით შედეგს იძლევა, ვიდრე დადებითსო.

მის შემთხვევაში კი ეს არ მომხდარა: ბატონი ვიქტორის ხელში ყოველგვარი „არამათემატიკური“ საქმე გამოიყურებოდა ორგანულად შეხამებულად — განათლების მინისტრობა იქნებოდა, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე საბჭოთა დელეგაციის წევრობა, უნივერსიტეტის რექტორობა, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეობა თუ კიდევ ბევრი სხვა რამ. ყოველივე ამას არ დაუზარალებია ვიქტორ კუპრაძის „მეცნიერული ქმედების კოეფიციენტი“ — იმიტომ, რომ მას ჰქონდა „თვითდაპროგრამების“, „თვითორგანიზებულობის“ იშვიათი უნარი.

1976 წელს საქართველოს მათემატიკოსთა საზოგადოებამ გენიალური გერმანელი მათემატიკოსის ბერნარდ რიმანის დაბადების 150 წელი აღნიშნა. მოხსენების წაკითხვა მე დამევალა. წინა რიგში მჯდარი ბატონი ვიქტორი ყურადღებით მისმენდა და ეს „შინაგანად“ ძალიან მიხაროდა. რიმანი იტალიაშია დაკრძალული და ქართულ გადასვენება-გადმოსვენებას მიჩვეულმა, გამოსვლა ასე დავამთავრე: მინდა გაკვირვება გამოვთქვა იმის გამო, რომ გერმანელმა ხალხმა, რომელმაც არც ერთ სხვა ერზე ნაკლებად არ იცის თავისი დიდი შვილების ფასი, აქამდე არ გადმოასვენა რიმანის ნეშტი სამშობლოში-მეთქი. მოხსენების შემდეგ ბატონი ვიქტორი მომიახლოვდა, ხელის ჩამორთმევით მომილოცა და მითხრა: ძალიან მომეწონაო თქვენი გამოსვლა და ამიხსნა: საზღვარგარეთ ცხედრის გადმოსვენების ამბავი ცოტა სხვაგვარადაა — გერმანელები დარწმუნებული არიან, რომ იქ, იტალიაში, რიმანის საფლავს მოვლა და ყურადღება არ აკლიაო...

1978 წლის ზაფხულში, ქუთაისში, უმაღლესი სასწავლებლების მათემატიკოსთა კონფერენცია მიმდინარეობდა. ვიქტორ კუპრაძემ თავისი პლენარული მოხსენება მოულოდნელი და, როგორც მაშინ მომეჩვენა, უცნაური განცხადებით დაიწყო: „დიდი კადნიერებაა 75 წლის კაცისაგან ერთსაათიანი მოხსენების წაკითხვაო“. არადა, იმ მოხსენებას საბოდიშო არაფერი სჭირდა: ისევ ძველებური ორატორი და მომხსენებელი წარმოდგა მსმენელთა წინაშე — ენერგიული ჟესტიკულაციით, ზუსტი ინტონაციებით, დახვეწილი ფრაზებით, საგულდაგულო წერით... გრძნობდით, თუ როგორი „ბუნებრივია“ მისთვის ცარციც, ჩვეარიც, დაფაც — ფორმულებითა და გამოსახულებებით... დიახ, ძველებურად მომხიბლავი რჩებოდა ბატონი ვიქტორი.

ჩვენ სიჭარბისა და დეფიციტის ხანაში ვცხოვრობთ, ოღონდ გააჩნია, რისი სიჭარბისა და რისი დეფიციტისა. მაგალითად, ძალიან მოგვიმრავლდნენ ადამიანები, რომელთა ამბიციურობა, ჰონორი და ეგებ მადაც, ერთობ აღემატება მათ შესაძლებლობებს, მონაცემებსა თუ უნარს... დეფიციტი კი პიროვნებებისაც გვჭირს. ვიქტორ კუპრაძისთანა პიროვნება დიდად წაადგებოდა ჩვენს უმძიმეს დროს...

**თამაზ ებანოიძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# ლაზიერი


GCF

10 (67)

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთობლივი ყოველთვიური გამოცემა


## ფედერაციის პრეზიდენტი

# თვიდან თვემდე

**როგორც „ლაზიერის“ მკითხველებმა იციან, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ნინო გურიელი მიმოიხილავს მიმდინარე თვის საჭადრაკო მოვლენებს. უდავოდ, საინტერესოა ოქტომბერში გამართული საჭადრაკო ღონისძიებების ასპარეზობათა შედეგების მისეული შეფასება.**

— ამ რამდენიმე დღის წინათ ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში დამთავრებულმა ევროპის გუნდურმა ჩემპიონატმა ქართული ჭადრაკის ისტორიაში ახალი საამაყო ფურცელი ჩაწერა. ჩვენმა მოჭადრაკე ვაჟებმა ევროპის უძლიერეს მოჭადრაკეებთან ჭიდილში გუნდური მესამე ადგილი დაიკავეს. მსგავს ასპარეზობაში ჩვენი საუკეთესო შედეგი მანამდე VIII ადგილი გახლდათ. გუნდის წევრებმა ამჯერად შესაშური საბრძოლო შემართება გამოავლინეს.

მეამაყება, რომ ჩემი პრეზიდენტობის დროს ზურაბ აზმაიფარაშვილი ევროპის ჩემპიონი გახდა ვაჟთა შორის. გუნდურ ჩემპიონატში კი ბრინჯაოს მედლები მოვიპოვეთ. ვულოცავ და მადლობას ვუხდი გუნდის წევრებს ზურაბ აზმაიფარაშვილს, ბაადურ ჯობავას, მიხეილ მჭედლიშვილს, გიორგი ყაჭეიშვილს, მერაბ გაგუნაშვილს, ფეხბედნიერ კაპიტანს — ზურაბ სტურუას.

დარწმუნებული ვარ, წელიწადის მიწურულს, საქართველოს სპორტსმენთა საუკეთესო ათეულის და საუკეთესო გუნდების დასახელების დროს სპეციალისტები და ჟურნალისტები აუცილებლად გაითვალისწინებენ ამ შთამბეჭდავ შედეგებს.



ევროპის ამ ჩემპიონატზე მიხეილ მჭედლიშვილმა ტაქტიკური მოსაზრების გამო მესამე დაფაზე ითამაშა და ამ „სვლამ“ აშკარად გაამართლა. მიხეილმა ორმოცდაათპროცენტიანი შედეგით შეძლო მესამე დაფის „დაჭერა“, ხოლო გიორგი ყაჭეიშვილმა და მერაბ გაგუნაშვილმა მომდევნო დაფებზე, შესაბამისად, ოქროს და ვერცხლის მედლები მიიღეს.

ქალთა ტურნირში მაია ლომინეიშვილმა თავის დაფაზე ვერცხლის მედალი დაიმსახურა. საერთო გუნდური მე-12 ადგილი, ჩვენი ქვეყნის ტრადიციებიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, სავალალოა. დასკვნების გაკეთება აუცილებელია, რამეთუ ქართველ მოჭადრაკე ქალთა ფენომენს გაფრთხილება სჭირდება.

მინდა მადლობა ვუთხრა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ირაკლი მეძმარიაშვილს ევროპის გუნდური ჩემპიონატის მზადებისას გაწეული დახმარებისთვის.

ევროპის გუნდური ჩემპიონატის წინ, როგორც ცნობილია, გაიმართა ევროპის ქალთა და ვაჟთა საკლუბო თასის გათამაშება. ამ ასპარეზობაში ქალთა კლუბმა „ნტნ“-მა (პრეზიდენტი — ნანა ალექსანდრია) მეორე ადგილი დაიკავა, გუნდის წევრმა სოფიკო გვეტაძემ კი თავის დაფაზე ოქროს მედალი მოიპოვა. ამ წარმატების გათვალისწინებით სოფიკოს ჩვენმა ფედერაციამ სტიპენდია დაუნიშნა.

ურიგოდ არც „თბილისის“ ვაჟთა გუნდმა იასპარეზა. მას 45 კლუბს შორის VIII მაჩვენებელი აქვს. აუცილებლად უნდა აღვნიშნო ახალგაზრდა ლევან ფანცულაიას „ვერცხლი“ თავის დაფაზე.

დღეს ლევანი თავის თანატოლებთან ერთად საბერძნეთში, მსოფლიოს ასაკობრივ ჩემპიონატში მონაწილეობს. იმედია, ისინი ისევე გაირჯებიან, როგორც ევროპის ანალოგიურ ჩემპიონატში. ჩვენთან დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, 16 წლამდე ასაკის ოთხ ნორჩ მოჭადრაკეს, რომლებმაც მედლები მოიპოვეს, ფედერაციის პრეზიდენტის სტიპენდია დაენიშნათ. ესენი არიან: ნაზი პაიკიძე, სოფიკო გურამიშვილი, მირანდა მიქაძე და თორნიკე სანიკიძე.

ქართული ჭადრაკის მოყვარულთათვის კარგად არის ცნობილი დიდოსტატ თამაზ გიორგაძის დამსახურება. ამ დღეებში იგი ღირსების ორდენით დაჯილდოვდა, რასაც გულით ვულოცავ!

28 ოქტომბერს ჭადრაკის სასახლეში გაიმართება ცნობილი ქართველი მეცენატის და ქველმოქმედის დავით სარაჯიშვილისადმი მიძღვნილი საინტერესო ღონისძიება. ქართველი დიდოსტატები ერთდროული თამაშის სეანსში შეხვდებიან დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, ბიზნესმენებს და სხვა საპატიო სტუმრებს.

ქართველი მოჭადრაკეების სახელით მინდა გულისტკივილი გამოვხატო საერთაშორისო არბიტრის გიორგი ფამილიანტის გარდაცვალების გამო. მისი მთელი ცხოვრება საყვარელი საქმის ერთგულად და ღირსეულად მსახურების მკაფიო მაგალითია.

რამდენიმე დღეში, მოგეხსენებათ, საქართველოში საპარლამენტო არჩევნები გაიმართება! დიდ დაფასებად ვთვლი სახელისუფლო ბლოკის პირველ ათეულში ჩემს შეყვანას, რაც დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს.

**მივმართავ ჩემს გულშემატკივრებს, კოლეგებს, ვისაც სჯერა ჩემი სიტყვის, მხარი დაუჭირონ ქვეყნის სტაბილურობას, ჩვენი შვილების ნორმალურ, ბედნიერ და მშვიდობიან მომავალს.**

**პატიოსნება, პროფესიონალიზმი და, რაც მთავარია, ღირსება ყველას სხვადასხვანაირად ესმის, მაგრამ მიმაჩნია, რომ სახელისუფლო ბლოკში ბევრი ღირსეული ადამიანია და დარწმუნებული ვარ, ქართველი ხალხი არჩევანს მათზე შეაჩერებს.**

**საქართველოს პრეზიდენტთან, ბლოკ „ახალი საქართველოსთვის“ პოლიტიკურ გუნდთან ერთად ჩემი სვლა გავაკეთე. მე მჯერა ჩვენი გამარჯვების!**

## არჩევნების წინ

# ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებს



**2 ნოემბერს საქართველოს მოსახლეობა ახალი პარლამენტის შემადგენლობას აირჩევს. როგორც ცნობილია, ბლოკ „ახალი საქართველოსთვის“ სიაში მეექვსე ნომრად წარმოდგენილია საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ნინო გურიელი.** მართალია, ნინო არც ისე დიდი ხანია, რაც ქართულ ჭადრაკს ხელმძღვანელობს, მაგრამ მან უკვე ბევრის გაკეთება შეძლო. ჩვენთვის მოულოდნელად, გამოავლინა შესაშური ადმინისტრაციული ნიჭი. ნინო გურიელმა ჭადრაკის ფედერაცია გამოიყვანა გაუსაძლისი მდგომარეობიდან. ამის დასტურია ის წარმატებები, რომლებიც ჩვენმა მოჭადრაკეებმა, განსაკუთრებით კი ვაჟებმა, მოიპოვეს ამ ბოლო ხანებში. ქართული ჭადრაკის ისტორიაში პირველად ვაჟთა ნაკრებმა ევროპის პირველობაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ნინო გურიელმა სტიმული მისცა იმ ახალგაზრდა მოჭადრაკეებს, რომლებიც უკვე დღეს ანგარიშგასაწევი ძალაა.

დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ახალ პარლამენტში ნინო მაქსიმალურად შეეცდება ხელი შეუწყოს ქართული სპორტის განვითარებას და ბევრ სხვა სასიკეთო საქმესაც გააკეთებს.

მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს იმ ნდობისთვის, რომელიც მან გამოხატა ნინო გურიელის მხარდაჭერით.

**მაია ჩიბურდანიძე.**

## ჩემპიონატი

# უდავო წარმატება

**წლევანდელი სეზონი ფეხბედნიერი გამოდგა საქართველოს მოჭადრაკე ვაჟებისთვის.** ჯერ იყო და, ზურაბ აზმაიფარაშვილმა ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. ახლახან კონტინენტის გუნდურ ჩემპიონატში, რომელსაც ბულგარეთის ქალაქ პლოვდივმა უმასპინძლა, ჩვენმა ნაკრებმა ზურაბ აზმაიფარაშვილის, ბაადურ ჯობავას, მიხეილ მჭედლიშვილის, გიორგი ყაჭეიშვილისა და მერაბ გაგუნაშვილის (კაპიტანი ზურაბ სტურუა) შემადგენლობით მესამე ადგილი დაიკავა. ქართველმა დიდოსტატებმა დაამარცხეს შვედები, უნგრელები, ესტონელები, ესპანელები, ფრანგები და პოლონელები, დაუზავდნენ ფინელებს და ორი შეხვედრა დათმეს — რუსებთან და აზერბაიჯანელებთან. 37 გუნდს შორის კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ასვლა, უდავოდ, დიდი წარმატებაა. მართალია, 13 ქულა მოაგროვეს სლოვენიელებმაც, მაგრამ ისინი ჩვენებს ქულათა საერთო მაჩვენებლებით ჩამორჩნენ.

ჩემპიონატში რუსეთის ნაკრებმა გაიმარჯვა. მეორე ადგილზე ისრაელის ნაკრებია. საქართველოს ნაკრებმა წარმატებისთვის თავდადებით იბრძოლა, თუმცა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გიორგი ყაჭეიშვილმა, რომელმაც 8 შესაძლებლიდან 6,5 ქულა მოუტანა გუნდს. საგულისხმოა, რომ მან მცირე ოქროს მედალი დაიმსახურა და პერფომანსის გათვალისწინებით ჩემპიონატის ყველა მონაწილეს შორის III შედეგი აჩვენა. ჩვენი გუნდის დანარჩენი წევრების მაჩვენებლები ასეთია: მერაბ გაგუნაშვილი — 8 შეხვედრა, 5,5 ქულა და II ადგილი; ზურაბ აზმაიფარაშვილი — 5; 35; XII, ბაადურ ჯობავა — 8; 3,5; XXI, მიხილ მჭედლიშვილი — 6; 3; XII.

სამწუხაროდ, ჩვენმა ქალებმა (ნინო ხურციძე, ნანა ძაგნიძე, მაია ლომინეიშვილი, კაპიტანი ხვიჩა სუპატაშვილი) ვერ აუბეს მხარი ვაჟებს. 31 გუნდს შორის ისინი 10 ქულით მე-12 ადგილზე გავიდნენ. ხუთი მატჩი მოიგეს და 4 წააგეს. ლომინეიშვილმა 6 შეხვედრიდან 4 ქულა მოუტანა გუნდს და პირადი მაჩვენებლებით მე-2 ადგილზე გავიდა. ხურციძის მონაგარია 8 ორთაბრძოლიდან 3,5 ქულა, ხოლო ძაგნიძისა — 4-დან 2,5 ქულა.

ჩემპიონობა 14 ქულით სომხებმა მოიპოვეს. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით ვერცხლის მედლები უნგრელებს ხვდათ. 13 ქულით მესამე ადგილზე რუსეთის ნაკრები გავიდა.

**ვაჟა დანელია.**

## ლაურეატები



# ქართული ჭადრაკის სერიოზული განაცხადი



ზურაბ აზმაიფარაშვილი.



ბაადურ ჯობავა.



მიხეილ მჭედლიშვილი.



გიორგი ყაჭეიშვილი.



მერაბ გაგუნაშვილი.



ზურაბ სტურუა.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

ტურნირი




# „ნტნ"-ი: ბრინჯაო ვერცხლით შეცვალეს

**ევროპის საკლუბო ჩემპიონატში, რომელიც ამას წინათ კუნძულ კრეტაზე (საბერძნეთი) გაიმართა, თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის საჭადრაკო კლუბ „ნტნ"-ის (პრეზიდენტი დიდოსტატი ნანა ალექსანდრია) გუნდმა (ნანა ძაგნიძე, მაია ლომინეიშვილი, ლელა ჯავახიშვილი, ანა მათნაძე, სოფიო გვეტაძე) მეორედ იასპარეზა.** ალბათ, გახსოვთ, რომ შარშან ჩვენმა ქალებმა მსგავს შეჯიბრებაში მესამე ადგილი დაიკავეს. ამჯერად მათ უკეთ იასპარეზეს – შვიდი მატჩიდან ხუთი მოიგეს, ერთხელ დამარცხდნენ და ერთხელაც დაუზავდნენ მეტოქეს. საბოლოოდ მოაგროვეს 11 ქულა და ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

მართალია, ასეთივე მაჩვენებლები ჰქონდა პოდგორიცას (სერბეთი) „ინტერნეტს", მაგრამ ქულათა საერთო ჯამით უკეთესი მაჩვენებლები აღმოაჩნდა და ჩემპიონობა მას ხვდა. 10 ქულით მესამე ადგილზე ყაზანის (რუსეთი) „ლადია" გავიდა. საგულისხმოა ისიც, რომ სათადარიგოებში ყველაზე მეტი ქულა სოფიო გვეტაძემ მოაგროვა და იგი მეორე ოქროს მედლით დააჯილდოვეს.

მსგავს ტურნირში პირველად მონაწილეობდა ვაჟთა გუნდი „თბილისი" (ბაადურ ჯობავა, გიორგი ყაჭეიშვილი, მიხეილ მჭედლიშვილი, ზვიად იზორია, ლევან ფანცულაია). დებიუტი ურიგო არ ყოფილა. ჩვენმა მოჭადრაკეებმა ხუთი მატჩი მოიგეს, ორში დათმეს შეხვედრა და საბოლოოდ 10 ქულით V-VIII ადგილები გაინაწილეს (ქულათა საერთო მაჩვენებლებით მე-8 ადგილი ხვდათ). 13 ქულით ოქროს მედალი საფრანგეთის „ნაომ" დაიკავა. ქულით ნაკლები მოაგროვეს ვარშავის (პოლონეთი) „პოლონიამ" და ბოსნია-ჰერცეგოვინას „კისელიაკმა" (მის შემადგენლობაში გამოდიოდა დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი). უკეთესმა კოეფიციენტმა ვერცხლის მედალი პოლონელებს არგუნა.



## გთავაზობთ ტურნირში გათამაშებულ ორ საინტერესო პარტიას:

**ძაგნიძე – სკრიპჩენკო.**

1.d4 d5 2.¤f3 c5 3.dxc5 ¤c6 4.e4 d4 5.c3 e5 6.¥b5 ¥xc5 7.¤xe5 ¤ge7 8.¤xf7 £b6 9.¥xc6+ bxc6 10.¤xh8 dxc3 11.0–0 cxb2 12.¥xb2 £xb2



13.£h5+ g6 14.£xc5 £xa1 15.¤c3 £b2 16.£c4 ¥g4 17.¤f7 ¥h5 18.g4 £d2 19.¦d1 £f4 20.¤d6+ ¡d7 21.gxh5 gxh5 22.¤f5+ ¤d5 23.¦xd5+ cxd5 24.£xd5+ ¡c7 25.£xa8 1–0

**გვეტაძე – ბენდერასი.**

1.e4 e6 2.d4 d5 3.exd5 exd5 4.¤f3 ¥d6 5.c4 £e7+ 6.¥e3 ¤f6 7.¤c3 0–0 8.¥e2 ¥b4 9.0–0 ¥xc3 10.bxc3 ¤e4 11.£b3 dxc4 12.¥xc4 ¤d6



13.¥g5 £d7 14.¥d3 h6 15.¥f4 ¤c6 16.¦ad1 £d8 17.h3 ¤e7 18.¦fe1 c6 19.c4 ¤df5 20.¥h2 £b6 21.g4 1–0

**ლევან ცინცაძე.**

**სურათზე: „ნტნ"-ის მოჭადრაკეები ტურნირის საზეიმო დახურვისას.**

ჩვენებურები

# რუსუდან გოლეთიანი აშშ-ს ნაკრებში

**ნიუ-იორკში გამოაქვეყნეს „ჟუჟა პოლგარის საჭადრაკო ცენტრის" და „ინტერნაციონალური საჭადრაკო მარკეტინგის" ბუკლეტი „ამერიკის ოლიმპიური საოცნებო გუნდი". მას დართული აქვს გუნდის წევრების – დიდოსტატების ჟუჟა პოლგარის, ირინა კრაშის, ანა ზატონსკიხის, რუსუდან გოლეთიანის და ჯენიფერ შახედის ფოტოსურათები. ეს ნაკრები მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს ქალთა XXI საჭადრაკო ოლიმპიადაზე 2004 წელს. პირველი შემთხვევაა აშშ-ის ისტორიაში, რომ მის „ოცნების გუნდის" შემადგენლობაშია ქართველი დიდოსტატი.**

როგორ მოხვდა რუსუდანი ამ დიდი ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში? 2000 წელს გოლეთიანი აშშ-ში გაემგზავრა. მას ყურადღება მიაქცია მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ჟუჟა პოლგარმა და თავის „საჭადრაკო ცენტრში" მიიწვია. რუსუდანი აქტიურად ჩაება საჭადრაკო ცხოვრებაში. მონაწილეობდა ნიუ-იორკის, ლოს-ანჯელესის, ოკლოჰომას ტურნირებში. აქ მოპოვებული წარმატებებისთვის იგი გააგზავნეს ვენესუელაში. ამერიკის კონტინენტის ქალთა ჩემპიონატში საასპარეზოდ. ქართველმა დიდოსტატმა გაიმარჯვა ამ ტურნირშიც და ქალთა 2003 წლის მსოფლიო პირველობის საგზურიც მოიპოვა. ამან გადაწყვიტა კიდეც რუსუდანის ამერიკის ოლიმპიურ გუნდში შეყვანა.



აღსანიშნავია, რომ „ოცნების" ნაკრებს თვით გარი კასპაროვმა საწვრთნელი შეკრება გაუმართა. ამერიკელი დიდოსტატი ქალები სერიოზულად ემზადებიან სანუკვარი გამარჯვებისთვის.

რუსუდანს აშშ-ს მთავრობამ მისცა ე.წ. „მწვანე კარტა". ეს იმას ნიშნავს, რომ იგი სარგებლობს ამერიკელი მოქალაქის ყველა უფლებით არჩევნებში მონაწილობის გარდა. ნიუ-იორკში რუსუდანმა გულისწორსაც მიაგნო: იგი ცოლად გაჰყვა ნიუ-იორკში დიდი ხნის მცხოვრებ თბილისელ ბიზნესმენს მანუჩარ სურგულაძეს.

რა თქმა უნდა, რუსუდან გოლეთიანი აქტიურად მონაწილეობს ტურნირებში, აგრეთვე მწვრთნელის საქმიანობასაც ეწევა.

ნამდვილად გვახარებს ჩვენი ნიჭიერი თანამემამულის, 23 წლის რუსუდან გოლეთიანის ესოდენ წარმატებული ცხოვრება-მოღვაწეობა.

**ნინო იმესაშვილი.**

**სურათზე: რუსუდან გოლეთიანი.**

კასპაროვის აზრით

# „რაშია თქვენი სპორტული დღეგრძელობის საიდუმლოება?"

***ასეთი კითხვით მიმართეს გულშემატკივრებმა გარი კასპაროვს.***

– საჭადრაკო დღეგრძელობას პირველ რიგში შრომისუნარიანობა განაპირობებს. მიაქციეთ ყურადღება იმ მოჭადრაკეებს, რომლებმაც ძალიან დიდხანს შეინარჩუნეს ძალა – ვიქტორ კორჩნოის, ლევ პოლუგაევსკის, ლაიოშ პორტიშს. ამ მხრივ დამახასიათებელია ბენტ ლარსენისა და პორტიშის მატჩები, რომლებიც დაახლოებით ერთი ასაკისანი არიან. ლარსენი ღმერთმა დიდი საჭადრაკო ნიჭით დააჯილდოვა, პორტიში კი ასეთივე შრომისუნარიანობით. 1965 წელს დანიელი „ვიკინგი" იოლად გაუსწორდა მეტოქეს, მაგრამ როცა რამდენიმე წლის შემდეგ ლარსენ-პორტიშის განმეორებითი მატჩი შედგა, აქ უკვე უნგრელს დიდი უპირატესობა ჰქონდა. დიახ, პორტიშის შრომისუნარიანობა პირდაპირ საარაკო იყო. ავიღოთ ვიქტორ კორჩნოი. 72 წლის ამ ადამიანმა უზარმაზარი პრაქტიკული ძალა შეინარჩუნა. ამას მხოლოდ ერთი ახსნა აქვს: მუდმივი მუშაობა, ბრძოლის წყურვილი, საჭადრაკო საიდუმლოებების შეცნობის სურვილი. აი, სულ საწინააღმდეგო მაგალითიც: ბორის სპასკი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნიჭიერი მოჭადრაკეა, მაგრამ რობერტ ფიშერსა და ანატოლი კარპოვთან დამარცხების შემდეგ საბრძოლო ჟინი, თამაშის ყოველგვარი სურვილი დაკარგა.

*– ვინ მიგაჩნიათ თქვენთვის ყველაზე ღირსეულ მეტოქედ?*

– რა ვიცი, ახლა საჭადრაკო სამყაროში ქაოსია.

მსოფლიოს მეცამეტე ჩემპიონმა ილაპარაკა იმ უზარმაზარ, ოთხტომიან ნაშრომზე, რომელსაც ამთავრებს.

– როცა 1995 წელს ერთმა გერმანულმა გაზეთმა წინადადება მომცა, მათთვის სტატიების ციკლი მომემზადებინა, შევუთვალე, რომ მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონებზე დავწერდი. ასე დაიბეჭდა 64 წერილი სტეინიციდან ტალამდე. წელიწადნახევრის შემდეგ ეს წერილები თარგმნეს მოსკოვის „სპორტ-ექსპრესისათვის". შემდეგ დავასკვენი, რომ მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონებზე წერა მთლად მართებული არ იქნებოდა. ჭადრაკში ხომ დიდი წვლილი სხვებმაც შეიტანეს. ამიტომაც დავუმატე ნარკვევები პაულ კერესზე, დავით ბრონშტეინზე, ვიქტორ კორჩნოიზე.

კასპაროვის ნაშრომს „ჩემი დიდი წინამორბედები" ჰქვია. უკვე დაიბეჭდა პირველი ორი ტომი, მესამეც საცაა გამოვა. მეოთხე, რომლის პირველ ნაწილში ანატოლი კარპოვზეა ლაპარაკი, ძირითადად მაინც წიგნის ავტორს – გარი კასპაროვს ეხება. აქ იგი ლაპარკობს თავის მატჩებზე ანატოლი კარპოვთან.

წიგნმა დიდი ინტერესი გამოიწვია. „მიხარია, რომ იგი კარგი გამოვიდა", – თქვა გარი კასპაროვმა.

რეიტინგი

# ოცდახუთი საუკეთესო

როგორც ცნობილია, წელიწადის ყოველი კვარტალის დასაწყისში **ფიდე** აქვეყნებს მოჭადრაკეთა რეიტინგებს. ზაფხულში მოჭადრაკეები სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობდნენ და გასაკვირი არაა, რომ რეიტინგებში ცვლილება მოხდა.

გთავაზობთ ქართველ მოჭადრაკეთა 25 საუკეთესო მაჩვენებელს:

1. ზურაბ აზმაიფარაშვილი – 2693;
2. გიორგი გიორგაძე – 2612;
3. ბაადურ ჯობავა – 2605;
4. გიორგი ყაჭეიშვილი – 2593;
5. მერაბ გაგუნაშვილი – 2582;
6. მიხეილ მჭედლიშვილი – 2557;
7. ზვიად იზორია – 2546;
8. ზურაბ სტურუა – 2533;
9. ელიზბარ უბილავა – 2532;
10. თამაზ გელაშვილი – 2529;
11. თამაზ გიორგაძე – 2504;
12. მაია ჩიბურდანიძე – 2502;
13. დავით შენგელია – 2497;
14. ვალერი გაფრინდაშვილი – 2486;
15. ხვიჩა სუპატაშვილი – 2484;
16. ლევან ფანცულაია – 2482;
17. მიხეილ კეკელიძე – 2481;
18. ნანა იოსელიანი – 2475;
19. ლაშა ჯანჯღავა – 2472;
20. ნიკოლოზ მანაგაძე – 2464;
21. დავით ლობჟანიძე – 2460;
22. ნანა ძაგნიძე – 2452;
23. აკაკი შალამბერიძე – 2451;
24. ქეთევან არახამია – 2435;
25. ნიკოლოზ შავთვალაძე – 2429.

მსოფლიო 10-18

# დუბვა – ექვსი, ჰალკიდიკი – ?

საბერძნეთის ქალაქ ჰალკიდიკში სტარტი აიღო მსოფლიო ჩემპიონატმა 10-18 წლის მოჭადრაკეთა შორის.

დუბვაში გამართული ევროპის ანალოგიური ასპარეზობის შემდეგ დიდი ინტერესით ველით ახალგაზრდა ქართველი მოჭადრაკეების გამოსვლას. როგორც მკითხველებმა იციან, დუბვაში ჩვენმა მოჭადრაკეებმა ექვსი მედალი მოიპოვეს. ნაზი პაიკიძე ევროპის ჩემპიონი გახდა, მირანდა მიქაძე, თორნიკე სანიკიძე და მაკა ფურცელაძე ვერცხლის მედლებით დაგვიბრუნდნენ. სოფიკო გურამიშვილმა და დავით მაღალაშვილმა „ბრინჯაო" დაიმსახურეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ეს მეორე შედეგია, მედლების რაოდენობით 39 ქვეყანას შორის მხოლოდ რუსმა მოჭადრაკეებმა გაგვისწრეს. თუმცა ერთი შედარება აქვე უნდა გავაკეთოთ. დუბვაში 70-ზე მეტი რუსი თამაშობდა. მაშინ, როდესაც საქართველო მხოლოდ 11 მოჭადრაკით იყო წარმოდგენილი.

მესამე მაჩვენებელი პოლონელებს აქვთ. 28 მოჭადრაკედან მხოლოდ სამი მედალი.

ისევე, როგორც დუბვაში, ამჯერადაც საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი იქნება საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გიორგი მაჭარაშვილი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ნაზი პაიკიძე და სოფიკო გურამიშვილი მისი აღზრდილები არიან. ბათუმელ მირანდა მიქაძეს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ლეონიდ ნეურონოვი ამეცადინებს. დიდოსტატ ლაშა ჯანჯღავას შეგირდები არიან თორნიკე სანიკიძე და გორელი დავით მაღალაშვილი. გურჯაანელ მაკა ფურცელაძეს საერთაშორისო ოსტატი კახა შალამბერიძე წვრთნის.

კონკურენცია საბერძნეთში უფრო მძაფრი იქნება, ყველა ქვეყანა იქ თავის ჩემპიონს მიავლენს. საქართველოს მოჭადრაკეთა დელეგაცია ამჯერად გაცილებით სოლიდურია.

ჩემპიონატი საბერძნეთში ნოემბრის პირველ რიცხვებში დასრულდება.

**კოტე დადვაძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ფესტივალი

# მხარში უდგანან ფოთელ მოჭადრაკეებს

**1991 წლამდე ფოთში ტრადიციულად იმართებოდა საჭადრაკო ფესტივალი. ბუნებრივია ქალაქის ხელმძღვანელობის და ჭადრაკის მესვეურთა მცდელობა, ფოთს საჭადრაკო ტრადიციები დაუბრუნონ.** უკვე აქტიურად ფუნქციონირებს საჭადრაკო კლუბი „ნანა“, სადაც მწვრთნელი დავით კოდუა და მისი მეგობრები ნორჩ მოჭადრაკეებს აკვალიანებენ. ბავშვები რომ ნიჭიერები არიან, ეს წლეულს თბილისში ვახტანგ ქარსელაძის მემორიალში დამტკიცდა, როდესაც დავით კოდუას 8 წლის აღსაზრდელებმა გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს.

ფოთში შარშან ქალაქის მერიის და სამეგრელო-ზემო სვანეთის ჭადრაკის რეგიონული ფედერაციის (პრეზიდენტი რევაზ ლოლუა) თაოსნობით 10 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა მოეწყო, წლეულს კი შესაძლებელი გახდა საჭადრაკო ფესტივალების გამართვის ტრადიციის აღდგენა.

საჭადრაკო ფესტივალში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ზუგდიდის, სამტრედიის, წყალტუბოს, სენაკის და ფოთის წარმომადგენლები.

ფესტივალის პროგრამით რამდენიმე ღონისძიება გაიმართა.

8 წლის მოჭადრაკე ბიჭებსა და გოგონებში საუკეთესო იყო ფოთელი ნინო ანაკიძე – 6 ქულა 7 თამაშიდან. მეორე შედეგი აჩვენა ზუგდიდელმა ილია ხვიტიამ – 4,5 ქულა. ნახევარი ქულით ნაკლები აქვთ ზაზა ძიმისტარიშვილს (ზუგდიდი) და გიორგი ლომიძეს (თბილისი).

10 წლის მოჭადრაკეთა ტურნირში ორმა ზუგდიდელმა იმარჯვა – დიმიტრი კვარაცხელიამ და ცოტნე ჩიქოვანმა 5,5-5,5 ქულა მოაგროვეს. მათ ქულით ჩამორჩნენ გიორგი ალმასია (ზუგდიდი) და მერი არაბიძე (სამტრედია).

14 წლის მოჭადრაკეებში იმარჯვა ზვიად ფაციამ (ზუგდიდი), რომელმაც რვა პარტიაში მხოლოდ ნახევარი ქულა დაკარგა. 7 ქულა აქვს მის თანაქალაქელ მადონა ბოკუჩავას, მესამე იყო სენაკელი შოთა ჭანტურია – 6 ქულა.

ფესტივალის ძირითად ტურნირში ტოლი არავის დაუდეს ძმებმა გიორგი და მალხაზ სულაშვილებმა. გიორგიმ 8 პარტია მოიგო და მხოლოდ ერთი ყაიმი გააკეთა, მალხაზი 7 ქულით მეორე ადგილზეა. 6,5 ქულით მესამე იყო დავით ზარქუა (თბილისი). სენაკელმა გიორგი შურღულაიამ ტურნირი 6 ქულით დაამთავრა.

გამარჯვებული მოჭადრაკეები ფულადი პრიზებით და დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

ფესტივალის მსვლელობისას დიდოსტატმა ლაშა ჯანჯღავამ 30 დაფაზე ერთდროული თამაშის სეანსი გამართა.

ფოთის ხელმძღვანელობის ჭადრაკთან დამოკიდებულებიდან გამომდინარე, ეჭვი არ გვეპარება, რომ შემდგომში ამ ქალაქში უფრო საინტერესო საჭადრაკო ბატალიები გაიმართება.

**დიმიტრი თორთლაძე.**



**სურათზე: დავით კოდუა და გელა ღვამბერია ნორჩ ფოთელ მოჭადრაკეებთან.**

ინფორმაცია

# გაზეთის ახალი ნომერი

ახალი გაზეთი „სკოლა – ჭადრაკი“ თანდათანობით იხვეჭს პოპულარობას. სულ მალე ხელმომწერნი გამოცემის მესამე ნომერს მიიღებენ.

გაზეთში, რომელიც 12-გვერდიანია, დიდი ადგილი აქვს დათმობილი ევროპის ასაკობრივ ჩემპიონატს, რომელიც იუგოსლავიის ქალაქ დუბვაში გაიმართა. მოყვანილია ჩემპიონატის ტექნიკური შედეგები, დასტამბულია ექვსი ქართველი პრიზიორის ნაზი პაიკიძის, სოფიკო გურამიშვილის, თორნიკე სანიკიძის, მირანდა მიქაძის, მაკა ფურცელაძის და დავით მაღალაშვილის ფოტოები და დუბვაში ნათამაშევი თითო პარტია.

ტრადიციულად, ოთხი გვერდი ეთმობა რუბრიკას „მიაგენით სწორ სვლას“. ჭადრაკის მოყვარულები თავიანთ ერუდიციას შეამოწმებენ 24 პოზიციის ამოხსნით.

გაზეთში დაბეჭდილია დავით გურგენიძის სტატია „პრაქტიკული მნიშვნელობის ეტიუდები“. რუბრიკაში „კიდევაც დაიზრდებიან“ სამ იმედისმომცემ მოჭადრაკეს გაეცნობით.

გაზეთი აქვეყნებს საჭადრაკო ვიქტორინის სამ კითხვას. გამარჯვებულები ახალი საჭადრაკო ლიტერატურით დაჯილდოვდებიან.

გაზეთის პირველი გვერდი გამოირჩევა ორიგინალური სათაურით „შესანიშნავი შედეგი შეესაბამება შესაშურ შემწეობას“.

გამოცემის ეს ნომერი გვაცნობს საბერძნეთის კუნძულ კრეტაზე დამთავრებულ ევროპის კლუბების თასის პერიპეტიებს.

შეგახსენებთ, რომ გაზეთი „სკოლა – ჭადრაკი“ ვრცელდება მხოლოდ ხელმომწერებს შორის.

გაცნობებთ, რომ მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილია 10 ნომრის გამოშვება. წლიური ხელმოწერის ფასი 3 ლარია.

გაზეთის გამოწერის თაობაზე დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ტელეფონით: 932996. ან დაუკავშირდით გაზეთის რედაქტორს დავით გურგენიძეს: 932510.

ტურნირი

# უდანაკარგოდ!

წლეულს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ ახალი სპორტული წოდება „ეროვნული ოსტატობის კანდიდატი“ შემოიღო. ამ წოდების მიღება მხოლოდ სპეციალურ ტურნირებშია შესაძლებელი. ამას წინათ ჭადრაკის სასახლეში მეორე ასეთი ტურნირი გაიმართა. მასში 50 პირველი კატეგორიის მოჭადრაკე მონაწილეობდა. მოჭადრაკეებმა შვეიცარიული სისტემით 9 ტურად იასპარეზეს. ახალი წოდების მაძიებლებს ნორმად 6,5 ქულა განესაზღვრათ.

ტურნირში უძლიერესი აღმოჩნდა ვახტანგ ხიზანიშვილი, რომელმაც ყველა პარტია მოიგო და 9 ქულით პირველობა არავის დაუთმო. ბრძოლა ძირითადად მეორე ადგილისთვის მიმდინარეობდა. ირაკლი ჯანიაშვილმა და ქეთი წაწალაშვილმა 7-7 ქულა მოაგროვეს და კოეფიციენტების მეშვეობით, შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩა სალომე სირაძე.

ოთხივე მოჭადრაკეს ეროვნული ოსტატობის კანდიდატის წოდება მიენიჭა.

წარსულის ფურცლები

# საქმით ქებულნი

**ვაგრძელებთ საუბარს XX საუკუნის 50-70-იანი წლების დიდ საჭადრაკო მოღვაწეებზე, რომელთა ამაგი მუდამ მადლიერებით მოიხსენიება.**

## გიორგი ჯაბუა

1956-1960 წლებში საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას თავკაცობდა გიორგი ჯაბუა (1911-1990). იგი გახლავთ ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. ბატონი გიორგი ახალგაზრდობიდან ქომაგებდა ქართველ მოჭადრაკეებს. უზომო სიხარული მიანიჭა მას დიდ სარბიელზე ნორჩი ნონა გაფრინდაშვილის გამოჩენამ.

გიორგი ჯაბუამ ქართულ ჭადრაკში დაუვიწყარი კვალი დატოვა. 1959 წელს მის მიერ მოწონებული ჭადრაკის სასახლის აგების იდეა მთავრობის სხდომაზე განიხილეს, რის შემდეგ მან მოიწვია არქიტექტორები გამოჩენილი ხუროთმოძღვარის ლადო ალექსი-მესხიშვილის მეთაურობით და ამჟამინდელ ვერეს პარკში ასაგები ჭადრაკის სასახლის პროექტის შექმნა დაავალა.

ბატონმა გიორგიმ მხარი დაუჭირა ფედერაციის პრეზიდიუმის ერთ-ერთ სხდომაზე ვ. გოგლიძისა და ვ. ქარსელაძის წინადადებას საქართველოს ქალთა საერთაშორისო ტურნირის შემოღების თაობაზე. მალე, 1960 წლის მაისში თბილისმა პირველად უმასპინძლა ამ ასპარეზობას, რომელიც შემდგომ ტრადიციული გახდა.

ცხოვრებაში ბატონი გიორგი ზნეკეთილი, ყურადღებიანი და საქმიანი ადამიანი გახლდათ. ჩვენი პრეზიდიუმის სხდომებზე იგი ყურადღებით უსმენდა ყველა გამომსვლელს, საქმის გადადება არ უყვარდა და გადაწყვეტილებებსაც დაუყოვნებლივ იღებდა.



## არჩილ ჭირაქაძე

არჩილ ჭირაქაძე (1917-1972) გავიცანი საქართველოს მინისტრთა საბჭოში, სადაც იგი ამ ორგანიზაციის საქმეთა მმართველი იყო. მასთან მისვლისას შევესწარი თბილისში ასაგები ჭადრაკის სასახლის პროექტის განხილვას. საუბრობდა პროექტის ხელმძღვანელი, ცნობილი არქიტექტორი ლადო ალექსი-მესხიშვილი.

მაშინ ჩემთვის აღმოვაჩინე, რომ ბატონი არჩილი ენერგიული სახელმწიფო მოღვაწე იყო. მერე ხშირად მიწევდა მასთან შეხვედრა როგორც ფედერაციის პასუხისმგებელ მდივანს. იგი კაცური კაცი, მუდამ სიკეთისთვის შემართული და ხალისიანი იყო.

მალე ბატონი არჩილი ფინანსთა მინისტრად გადაიყვანეს, სადაც გარდაცვალებამდე ილვაწა. მისი მინისტრობა ჭადრაკსაც წაადგა. განსაკუთრებით – სასახლის მშენებლობას.

ბატონი არჩილი ენერგიულად შეუდგა სასახლის აგებას, თუმცა მისი აშენებისთვის საკავშირო მთავრობის ნებართვა იყო საჭირო. ამ საქმეში მან იმ დროს (1961) თბილისში სტუმრად მყოფ მიხეილ ბოტვინიკს სთხოვა დახმარება და მიიღო კიდეც მხარდაჭერა. მშენებლობა თითქმის ათ წელს გაგრძელდა, რადგან ძვირი ჯდებოდა. საჭირო სახსრებს ბატონი არჩილი თავად პოულობდა. თამამად შემიძლია ვთქვა: სასახლე ბატონ არჩილის დიდი ძალისხმევით აშენდა. სამწუხაროდ, იგი ვერ მოესწრო სასახლის საზეიმო გახსნას (14 აპრილი 1973 წ.).

არჩილ ჭირაქაძის მხურვალე მხარდაჭერით ჩვენში დამკვიდრდა ჯერ ვ. ქარსელაძის (1968), მერე ვ. გოგლიძის (1969) მემორიალების გამართვის ტრადიცია. მანამდე მან უთავკაცა თბილისში სსრ კავშირის ქალთა 24-ე (1964) და სსრ კავშირის ვაჟთა 34-ე (1967) ჩემპიონატების გამართვას. აგრეთვე, საქართველოს ვაჟთა პირველ (1965) და თბილისი მეორე (1966, ბათუმი) საერთაშორისო ტურნირების გამართვას. რა თქმა უნდა, განაგრძო, თბილისის ქალთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირების მასპინძლობა.

ბატონი არჩილი სიამაყის გრძნობით, აქტიურად მონაწილეობდა ნონა გაფრინდაშვილის მსოფლიო პირველობაზე მატჩების ორგანიზების საქმეში – იქნებოდა ეს თბილისში, რიგასა თუ მოსკოვში.

ბატონი არჩილი თავკაცობდა 1965 წელს თბილისში გამართულ მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ფინალურ მატჩს ტალსა და სპასკის შორის.



ნამდვილად დიდია არჩილ ჭირაქაძის – შესანიშნავი ორგანიზატორის და მოქალაქის ღვაწლი ქართული ჭადრაკის წინსვლაში.

**თენგიზ გიორგაძე.**

ამოხსენით

# სამი სამსვლიანი ამოცანა

ამოსახსნელად გთავაზობთ სამსვლიან ამოცანებს, შეეცადეთ მათ გადაწყვეტას პირდაპირ დიაგრამაზე.

სამივე ამოცანა ლამაზი პირველი სვლით და არანაკლები სილამაზის საშამათო ფინალებით გამოირჩევა.

ამ ამოცანების ამოხსნას „ლაზიერის“ შემდეგ გამოშვებაში შემოგთავაზებთ.

**ფ. დავიდენკო**
**1969 წ.**



**შამათი 3 სვლაში**

**ა. სელივანოვი**
**1991 წ.**



**შამათი 3 სვლაში**

**ვ. ქელტონენკო**
**ვ. ვინოკუროვი 1997 წ.**



**შამათი 3 სვლაში**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 288, კვირა, 26 ოქტომბერი, 2003 წელი.

კომპოზიცია

# დიდოსტატთა პოეტური ქმნილებები

**„პოეზიად მიიჩნევენ საერთოდ ყველა იმ მიზეზს, რომელიც არყოფნიდან არსებობისათვის იწვევს რაიმეს. ყველა ქმედება ხელოვნებაში შეიძლება მიჩნეული იქნეს პოეზიად, ხოლო ყველა შემოქმედი — პოეტად!"**

**პლატონი.**

მსოფლიო საჭადრაკო კორიფეებს შორის არიან დიდოსტატები, რომლებსაც მნიშვნელოვანი შემოქმედებითი მიღწევები აქვთ საეტიუდო ხელოვნებაშიც. ზოგიერთი მათგანის შემოქმედებას უკვე შევეხეთ წინა პუბლიკაციებში. დღეს გავეცნობით კიდევ ოთხ დიდოსტატს, რომლებსაც გამორჩეული ხელწერა და თვითმყოფადობა ახასიათებთ. ესენია: ვ. სმისლოვი, პ. კერესი, ი. ტიმანი და პ. ბენკო.

მსოფლიოს ექსჩემპიონი ვასილ სმისლოვი გამორჩეული ეტიუდისტია. თუ იგი თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში მკაფიოდ გამოხატული კლასიკოსია, საეტიუდო ხელოვნებაში მას „გამოუსწორებელ" რომანტიკოსად თვლიან.

№ 1 დიაგრამაზე ნაჩვენებია ბოლო წლებში შექმნილი მისი ერთ-ერთი საინტერესო ეტიუდი.

1. ¦e1 g1£ 2. ¥f1! e5
3. b5 e4 4. b6 e3
5. b7 e2 6. ¥g2! fg
7. b8£ £:e1 8. £h2X!

ჰოლანდიელმა დიდოსტატმა იან ტიმანმაც ბოლო წლებში რამდენიმე საინტერესო ეტიუდი გამოაქვეყნა.

№ 2 დიაგრამაზე წარმოდგენილია მისი ერთ-ერთი მიმზიდველი ფორმის მინიატიურა.

1. ¦e3 ¥g1 2. ¥:g2 ¡d7
3. ¥f1 ¦d6 4. ¡e4 ¦e6
5. ¡f3 ¦e3 6. ¡g2 ყაიმი.

პაულ კერესი იყო გამორჩეული ნიჭის საჭადრაკო კომპოზიტორი. მისი რამდენიმე ნაწარმოები შესულია საჭადრაკო ხელოვნების ოქროს ფონდში. № 3 დიაგრამაზე გთავაზობთ მის ერთ-ერთ ადრინდელ ეტიუდს, რომელსაც — მეტად ეფექტური ამოხსნა აქვს.

1. ¤c2! ¡a2 2. ¤b4 ¡a1
3.£a2! ba 4. ¤c6 h3
5. ¤d4 და 6. ¤b3 (c2) შამათი.

უკანასკნელ წლებში შემოქმედებითი აქტიურობით გამოირჩევა ამერიკელი დიდოსტატი პაულ ბენკო. გავეცნოთ პ. ბენკოს ამ საინტერესო ეტიუდს:

1. e7! ¦e3 2. g7 ¥b3
3. ¦c7! ¡a6 4. ¡f2 ¦e4
5. ¦c6 ¡b7 6. ¦e6! ¦:e6
7. g8£ ¥:g8 9. ¦8£ და იგებენ.

როგორც ვხედავთ, დიდოსტატები თავიანთი ნაწარმოებებით კარგ საჭადრაკო კომპოზიტორებადაც წარმოჩინდნენ.

**ველიმირ კალანდაძე.**

№1 ვ. სმისლოვი, 2000 წ.



თეთრები იგებენ.

№2 ი. ტიმანი, 1983 წ.



ყაიმი.

№3 პ. კერესი, 1936 წ.



თეთრები იგებენ.

№4 პ. ბენკო, 1977 წ.



თეთრები იგებენ.

კონკურსი

## ინწკირველის მემორიალი ეტიუდების შედგენაში

**ჭადრაკის მოყვარულებს კარგად ახსოვთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" საჭადრაკო კუთხე „ნატიფი შამათი". ოთხმოცდაათიან წლებში მას გამოჩენილი ქართველი მწვრთნელი შოთა ინწკირველი და საჭადრაკო კომპოზიციაში საერთაშორისო ოსტატი ველიმირ კალანდაძე უძღვებოდნენ.**

შოთა ინწკირველის პატივსაცემად იმართება ტურნირები, რომელშიც ყველაზე ნორჩი მოჭადრაკეები ასპარეზობენ.

ამჯერად შოთა ინწკირველის ხსოვნას პატივს მიაგებენ საჭადრაკო კომპოზიტორები. ცხადდება ინწკირველის მემორიალი საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში. ნაწარმოებების წარდგენის ბოლო ვადაა 30 ნოემბერი. ეტიუდები გამოაგზავნეთ მისამართზე:

**თბილისი, კოსტავას 37ა, ჭადრაკის სასახლე.**

კონვერტზე წააწერეთ „ინწკირველის მემორიალი".

კონკურსის ჟიური: საერთაშორისო არბიტრი **იური აკობია** და ეროვნული ოსტატი **კახი ჩიგოგიძე.**

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია ფულადი პრიზები.

საზოგადოება

**ჩემი დღევანდელი რესპონდენტი 68 წლის ფიზიკოსია, — მიხეილ ზვიადაძე. ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის რკინიგზის ვაჟთა მე-5 საშუალო სკოლა, წარჩინებით — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკის დეპარტამენტის პროფესორი. ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტში მაგნიტურ მოვლენათა ფიზიკის განყოფილებას განაგებს. თეორიულ ფიზიკაში (მაგნიტური რეზონანსი, სტატისტიკური ფიზიკა, მყარი სხეულის ფიზიკა) გამოქვეყნებული აქვს 90-მდე შრომა.**

# „რაც აზარტულია, ყველაფერი მიტაცებს"

***— ბატონო მიხეილ, თქვენი „სადარბაზო ბარათი" უკვე წარვუდგინე მკითხველს. მოდით, ახლა „საჭადრაკო ბიოგრაფია" გაგვაცანით.***

— ეს ბიოგრაფია, „ოფიციალურად", სკოლაში იწყება და სტუდენტობისას მთავრდება. საკმაოდ ძლიერი პირველთანრიგოსანი გახლდით, ორი საკანდიდატო ბალი მქონდა. პირველი ბალი 1953-ში მოვაგროვე ხარკოვში, სსრ კავშირის ჭაბუკთა გუნდურ პირველობაზე, როგორც საქართველოს ნაკრების წევრმა. მესამე ადგილზე გავედით. ჩემს დაფაზე — მეორეზე 7,5 ქულა ავიღე 10-იდან. 1950-1953 წლებში ვიყავი ჭაბუკთა ნაკრებში, მეხუთე დაფიდან მეორემდე მივედი. პირველი იყო თამაზ კალატოზიშვილი...

იმ წელიწადს ხარკოვში თამაშობდნენ პოლუგაევსკი, ტალი, სპასკი, ბიხოვსკი — მომავალი დიდოსტატები... ტალთან, რა თქმა უნდა, წავაგე. სამაგიეროდ, ბიხოვსკის მოვუგე კარგად, თუმცა სარევანშოდ იყო განწყობილი (წინა, 1952 წელშიც დავამარცხე).

მეორე საკანდიდატო ბალი იმავე 1953 წელს მოვიპოვე, შემოდგომაზე, თბილისის პირველობის ნახევარფინალში, 12-დან 12 ქულით! გივი გამრეკელს, იური ჩიქოვანს მოვუგე, სხვებსაც...

ფიზიკის ფაკულტეტზე რომ ჩავირიცხე, მხოლოდ საუნივერსიტეტო სპარტაკიადებზე



გამოვდიოდი და წარმატებითაც, „გარე" ტურნირებში აღარ ვთამაშობდი, სწავლაზე გადავერთე.

***— ჭადრაკის მასწავლებლებზე რას იტყვით?***

— მოწაფეობისას რკინიგზელთა კლუბში მიხეილ შიშოვთან ვმეცადინეობდი. ჭაბუკთა ნაკრებში ყოფნის დროს ბათუმში გვქონდა საწვრთნელი შეკრებები, ვახტანგ ქარსელაძე ადევნებდა თვალყურს ჩვენს მომზადებას. იშვიათი პიროვნება იყო და თბილად ვიხსენებ. ახლოს ვიყავი ბუხუტი გურგენიძესთან — მისი და ჩემი სკოლა ერთ შენობაში იყო განთავსებული. საშა ბლაგიძესთან მქონია ურთიერთობა. როცა რამე არ გამოსდიოდა, უყვარდა თქმა — მზესაც აქვს ლაქებიო. ამითაც დამამახსოვრდა.

საერთოდ, ჩემთვის ბევრს ნიშნავს ადამიანთა ხსოვნა, მასწავლებლებისა — მით უფრო. ჩემი ხელით გამისვენებია შიშოვი, ბუსლაევი...

***— ჭადრაკთან ახლანდელი თქვენი ურთიერთობა? ტექნიკურ უნივერსიტეტში თუ ახერხებთ თამაშს?***

— როგორ არა. იქ მყავნან პარტნიორები — პროფესორი ლეონარდ მძინარიშვილი (მათემატიკოსი გახლავთ), დოცენტები არჩილ პოკლება (ფიზიკოსი), გურამ მურჯიკნელი, რამაზ ცერცვაძე (გამოთვლითი ტექნიკის სპეციალისტები არიან) სამსახურის შემდეგ დავრჩენილვართ, მსუბუქი პარტიები გვითამაშია. ზოგჯერ კვირადღესაც მოვსულვართ, პატარა ტურნირები მოგვიწყვია, ბლიცში გავჯიბრებივართ ერთმანეთს...

სახლში მშვენიერი საჭადრაკო ბიბლიოთეკა მაქვს, ახლაც ვარჩევ პარტიებს. აი, კომპოზიციების ამოხსნა კი არ მიზიდავს. ადრე სისტემატურად ვკითხულობდი „ლელოს", „სოვეტსკი სპორტს", ყველაფერი თვალწინ მქონდა — ახლა?.. თუმცა ახლა კიდევ ჩემი შვილიშვილი ნიკუშა ჯაჭვაძე ჩაება ჭადრაკში, ერთი წელია, რაც ბებიას დახმარებით სვლები ისწავლა. ნიკუშა 3 თვეა, რაც მეზობელთან, ოსტატობის კანდიდატ ლეგრი ხაბურზანიასთან მეცადინეობს.

***— კერპები თუ გყავთ მოჭადრაკეთა შორის?***

— ტალი იყო ასეთი. კორჩნოის სტილი მომწონდა. ერთხელ საათებით მოწყობილ სეანსში მოვუგე ძალიან მწვავე პარტია. უმთავრესი კერპი მაინც ფიშერი გახლდათ. გარჩეული მაქვს ტაიმანოვთან მისი მატჩის პარტიები. ღმერთო, როგორ მოუგო, ჩემი გაგებით, საყაიმო პოზიციები. მაგალითად, ერთ პარტიაში 7-7 პაიკი ჰქონდათ, ფიშერს — კუ და ტაიმანოვს — მხედარი. სულ ნამცეცნამცეც დააგროვა უპირატესობა. ახლა გავიხსენოთ კიდევ რეშევსკის დაშამათება მე-12 სვლაზე, დაფის ცენტრში, ერთ საერთაშორისო ტურნირში!

***— ხომ არ შეადარებთ თანამედროვე ჭადრაკს „ძველთან"?***

— ძალიან შეიცვალა ეს თამაში. ადრე „სამოყვარულო" იყო, სულს რომ უხაროდა, ისეთი, არავითარი ფული არ მოჰქონდა. ახლა სხვა მიდგომაა, ფული შემოაქვს (ამაში დიდია ფიშერის დამსახურება), ბიზნესს მიუახლოვდა. ოღონდ მოიგონ და პრაქტიკულად არაფერს თაკილობენ. ადრე რომ ჯენტლმენური იყო, რომანტიკული, ახლა სასტიკი გახდა, მკვეთრი, დიდი ენერგიის წამლები.

***— რაიმე ეპიზოდს ხომ არ გაიხსენებდით ჭადრაკთან დაკავშირებულს, მეხსიერებაში მტკიცედ ჩარჩენილს...***

— ერთხელ, დიღმის მასივში, სადაც ვცხოვრობ, უცნობი კაცი მომესალმა — საიდან მიცნობთ-მეთქი? — სიყმაწვილეში გვითამაშიაო. — როგორ დამთავრდა-მეთქი? — ნუ ღელავთ, თქვენ მომიგეთო... ვერ წარმოიდგენთ, როგორ მომეშვა გულზე.

... მშვენივრად წარმოვიდგინე და ჩემს მოსაუბრეს ასე „გულზემოშვებული" განწყობით გამოვეთხოვე...

**თამაზ ებანოიძე.**

სანთელი

# გიორგი ფამილიანტი



მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საერთაშორისო არბიტრი **გიორგი ფამილიანტი.** მთელი ცხოვრება მან ჭადრაკში გაატარა. წლების განმავლობაში მუშაობდა „დინამოს" სპორტულ საზოგადოებაში, რომლის წევრი იყო ბევრი ცნობილი მოჭადრაკე. გიორგი ფამილიანტი ჩვეული გულისხმიერებით და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა დაკისრებულ ყველა ვალდებულებას.

მისი მთავარი მოწოდება კი მაინც საჭადრაკო ტურნირების მსაჯობა იყო. ფამილიანტმა არაერთი მაღალი დონის შეჯიბრებაში მიიღო აქტიური მონაწილობა. ერუდირებული, პრინციპული გიორგი ფამილიანტი შეუვალი ავტორიტეტით სარგებლობდა. მან ორჯერ იმსაჯა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე.

უნდა ვთქვათ გიორგი ფალიანტის კიდევ ერთ გატაცებაზეც: ფილატელისტთა წრეში ის საკმაოდ ცნობილი იყო საჭადრაკო მარკების რაოდენობით. შეიძლება ითქვას, საქართველოში მას ბადალი არ ჰყავდა.

ჩვენმა საჭადრაკო ოჯახმა დაკარგა დიდი ადამიანური ხიბლის მქონე პიროვნება, კაცი, რომლის ამ ქვეყნიდან წასვლა ყველას ალალად დაენანა.

**საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია; „ლაზიერის" სარედაქციო კოლეგია.**

G C F

*სარედაქციო კოლეგია*: დავით ზურგენიძე (რედაქტორი), ნინო ზურიელი, ზურაბ აზმაიფარაშვილი, ნანა ალექსანდრია, ანზორ ბასილაია, გივი გამრეკელი, ნონა გაფრინდაშვილი, თენგიზ გიორგაძე, ბუხუტი გურგენიძე, ველიმირ კალანდაძე, გიორგი მახარაძე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

მამული ჩემი. რუბრიკას უძღვება აკადემიკოსი როინ მეტრეველი

T\ VINHIDKBC lfcrdybs= vbmftk vjlhtrbkb gbhdtkb lf thsflthsb vt[tkb hjlb b%j\ xfyc= * cfereybc cf- mfhsdtkjib ufxylf cfzbhjt,f vuf- kj,tksf ijhbc ptgbhfl ufdhwtkt- ,ek ufkj,fsf vtkjlbt,bc othbkj- ,bsb abrcfwbbcf fye ytdvbht,bcf= hbc- sdbcfw vjvpfllf rdfkbabwbeh ve- cbrjcsf /ueab= hjvtkvfw mfhsekb ytdvehb cbcntvf lffveifdf lf [tkb vb]%j .kbcgbhsf lf ufkj,fsf ytd- vbht,fc\ vbmftkbc hjv cffvbcjl cfr- vfjl yj%bthb cfae.dtkb lf[dtlhbf lf ,tdhb hfv %jabkf ufrtst,ekb fv vbvfhsekt,bs= fvfc flfcneht,c vb- mftk vjlhtrbkbc fylth.b= hjvkbc vb[tldbs xfyc= hjv vfc vhfdfkb vt- [ehb .kbcgbhyb lf cfufkj,kt,b it- erht,bf sfdbc bflufhib itcfnyfl| @dbqefot lf %jdkbs rth.j ihjvfá dfxetyt eptisftc .fkbcf xtvbcf lf

[illegible]


მატბერდი.

ნესტან სულავა

# „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“

## გრიგოლ ხანძთელის სულიერი მისია

vbmftkbc cbn%dt,bc vb[tldbs xfyc= hjv vfy cfufkj,kt,b xfothf @cbo- vbylbs lf cbvfhskbs# lf rbkjc cbc- ojhbs= t\ b\ rfyjybrehb ]fyub lf vt- kjlbf lfbwdf= fh lfhqdtekf+ fvfc- sfy= vfy nhflbwbf uffuh.tkf xfot- hbs= sfdfl rb fh itemvybf ufkj,bc vtkjlbf= [vf= rbkj= ytdvf= fhfvtl xf-

[illegible]

ბაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 282-287.

(დასასრული იქნება).

• პოლიტიკა თუ ეკონომიკა?
• დასრულდა მადრიდის კონფერენცია
• იგეგმებოდა ტერორისტული აქტი

# მიხეილ ხოდორკოვსკი უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა დააკავა



**რუსეთის უდიდესი ნავთობის კომპანიის „იუკოსის“ ხელმძღვანელი და ამ კომპანიის უდიდესი აქციონერი მიხეილ ხოდორკოვსკი დააპატიმრეს ქალაქ ნოვოსიბირსკში.**

როგორც „იუკოსში“ განაცხადეს, ხოდორსკოვსკი დააპატიმრეს 25 ოქტომბერს გამთენიისას, როცა თვითმფრინავი, რომლითაც იგი ნიჟნი ნოვგოროდიდან ირკუტსკში მიფრინავდა, ნოვოსიბირსკში დაჯდა კმაგაწყობისათვის.

გამოძიების ფედერალური სამსახურის მუშაკებმა ხოდორკოვსკი პირდაპირ თვითმფრინავის სალონში დააპატიმრეს. კომპანიაში აღნიშნავენ, რომ მისთვის არანაირი ბრალდება არ წაუყენებიათ. ამჟამად არ არის ცნობილი, თუ სად იმყოფება ხოდორკოვსკი.

გენერალურ პროკურატურაში უარს აცხადებენ რაიმე კომენტარისაგან, თუმცა არაოფიციალურად აღნიშნავენ: ხოდორკოვსკის დაკავება, შესაძლებელია უკავშირდებოდეს იმას, რომ იგი არ გამოცხადებულა დაკითხვაზე.

მულტიმილიარდელი ხოდორკოვსკის კომპანია უკვე მიმდინარე წლის ივლისიდან მოექცა რუსეთის პროკურატურის ყურადღების ცენტრში. სამშაბათს გენერალურმა პროკურატურამ არაორაზროვნად აღნიშნა, რომ აპირებს წაუყენოს ბრალდებები კომპანიის პირველ პირებს. ახლახან რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილემ იური ბირიუკოვმა განაცხადა, რომ აპირებს გამოიძახოს ხოდორკოვსკი ჩვენებების მისაცემად.

ერთი კვირის წინ რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ მილიონი დოლარი თანხის გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების ბრალდება წაუყენა „იუკოსის“ დირექტორთა საბჭოს წევრს, კომპანია „იუკოს-მოსკოვის“ პრეზიდენტს ვასილ შახნოვსკის.

ივლისში დააპატიმრეს „იუკოსის“ ერთ-ერთი თანამშრომელი პლატონ ლებედევი და კომპანიის უშიშროების სამსახურის თანამშრომელი ალექსეი პიჩუგინი. კომპანიის კიდევ ერთმა თანამფლობელმა ლეონიდ ნევზლინმა, რომელიც ისრაელში იმყოფება, ამ ქვეყნის ხელისუფლებას სთხოვა მისთვის მოქალაქეობის მინიჭება.

ხოდორკოვსკის არაერთგზის განუცხადებია, რომ „იერიშს“ მისი კომპანიის წინააღმდეგ აქვს პოლიტიკური ხასიათი და იგი წამოიწყო ქვეყნის ხელისუფლებამ, მაგრამ არა პირადად პრეზიდენტმა პუტინმა.

თვით ვლადიმერ პუტინი კი აცხადებს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება არ ერევა პროკურატურის საქმიანობაში.

# დონორი სახელმწიფოები ერაყს 33 მილიარდ დოლარს ჰპირდებიან

**ერაყის აღდგენისათვის 33 მილიარდ დოლარზე მეტის გამოყოფას აპირებენ მადრიდში დასრულებული დონორი ქვეყნების კონფერენციის დელეგატები, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ მსოფლიოს 77 ქვეყნისა და საერთაშორისო საფინანსო და საქველმოქმედო ორგანიზაციების წარმომადგენლები.**

ამ თანხაში შედის ის 20 მილიარდი დოლარიც, რომლის გამოყოფასაც ერაყს დაჰპირდა ამერიკის შეერთებული შტატები ჯერ კიდევ კონფერენციის დაწყებამდე. როგორც ამერიკის დელეგაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, ვაშინგტონს იმედი ჰქონდა, რომ დონორი ქვეყნები გამოყოფდნენ კიდევ 13 მილიარდ დოლარს, ასე რომ, მადრიდის შეხვედრამ მთლიანად გაამართლა ამერიკელების მოლოდინი.

ამავე დროს, მსოფლიო ბანკისა და ამერიკის შეერთებული შტატების პროგნოზით, უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში ერაყის აღდგენისათვის საჭირო იქნება 56 მილიარდი დოლარი, მაგრამ, მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელებმა წინათ უკვე აღნიშნეს, რომ არ არის საჭირო მოსთხოვონ დონორ ქვეყნებს მთელი ამ თანხის გამოყოფა, რადგან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის დაფარვა შესაძლებელია ერაყის ნავთობის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლების, კერძო ინვესტიციებისა და სხვა რესურსების მეშვეობით.

გაეროს წარმომადგენელმა ბილ ორმემ განაცხადა, რომ 2004 წელი გახდება „გარდამტეხი წელიწადი“, რადგან ერაყს დასჭირდება დაახლოებით 9 მილიარდი დოლარი, თანაც არა სესხების, არამედ გრანტების სახით. „ეს იქნება ერთადერთი წელი, როცა ერაყი მთლიანად იქნება დამოკიდებული სხვა ქვეყნების მხარდაჭერაზე“, — თქვა მან.




# ივნისში უნდა აეფეთქებინათ აშშ ნაირობის საელჩო

**„ალ-ყაიდას“ ტერორისტებს დაგეგმილი ჰქონდათ ივნისში აეფეთქებინათ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო კენიის დედაქალაქ ნაირობიში. ამ მიზნით ერთდროულად უნდა გამოეყენებინათ ასაფეთქებელი მოწყობილობით აღჭურვილი სატვირთო ავტომანქანა და გატაცებული თვითმფრინავი. ამას იტყობინებოდა ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, რომელმაც მოიპოვა კენიაში დივერსიული საქმიანობის ბრალდებით დაპატიმრებული ვინმე სალიმ მოჰამედ ჰამისის დაკითხვის სტენოგრამის ასლი.**

როგორც დაპატიმრებულმა აღიარა, ოპერაციის დეტალები შეთანხმებული იყო „ალ-ყაიდას“ აგენტების შეხვედრაზე, რომელიც მაისში გაიმართა ქალაქ მალინდიში. გეგმის თანახმად, ჰამისი და მისი ჯგუფის წევრები ასაფეთქებელი მოწყობილობით აღჭურვილი სატვირთო ავტომობილით უნდა ჩასულიყვნენ მომბასიდან ნაირობიში.

მეორე ჯგუფს უნდა დაექირავებინა მცირე ზომის თვითმფრინავი, ვითომდა, სომალიდან ტვირთის გადაზიდვის მიზნით. მაგრამ, ტერორისტები აპირებდნენ თვითმფრინავი დაეტვირთათ ასაფეთქებელი მოწყობილობით და აეღოთ გეზი ნაირობისკენ. ამ ორივე აქციას, რომლებიც ერთდროულად უნდა განხორციელებულიყო, მაქსიმალური ზიანი უნდა მიეყენებინა საელჩოს შენობისათვის. როგორც ჩანს, ეს გეგმები ჩაიშალა ჰამისის დაპატიმრების გამო.

ტერორისტის დაკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია, მართალია, გასაიდუმლოებული იყო, მაგრამ კენიის ხელისუფლებამ იგი, ალბათ, მაინც გადასცა ამერიკის სპეცსამსახურებს. სწორედ ამ მიზეზის გამო, მიმდინარე წლის 20-24 ივნისს დაიხურა ამერიკის შეერთებული შტატების ნაირობის საელჩო, აგრეთვე, 20 ივნისიდან 8 ივლისამდე პერიოდისათვის შეწყდა ყოველგვარი საჰაერო მიმოსვლა კენიასა და სომალის შორის.



# „სევერსტალი“ იყიდის ფორდის ქარხნებს

**რუსეთის „სევერსტალის“ კომპანიას შეუძლია გაკოტრებისაგან იხსნას ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უდიდესი და უძველესი ფოლადსამსხმელო კომპანია და შეუნარჩუნოს სამუშაო ადგილები 2600 კაცს.**

ამერიკის „Rouge Industries“ კომპანიამ, რომელიც ოდესღაც შედიოდა ჰენრი ფორდის საავტომობილო იმპერიის შემადგენლობაში და ახლა უკვე გაკოტრების პირასაა, ხელი მოაწერა მისი კუთვნილი სამი კომპანიის ჩერეპოვეცის „სევერსტალისათვის“ გადაცემის შესახებ განზრახულობათა ოქმს. „სევერსტალი“ რუსეთში სიდიდით მეორე ფოლადისმწარმოებელი კომპანიაა.

როგორც თვით ამერიკული კომპანიის, ისე „იუნაიტედ აუტო უორკერის“ პროფკავშირის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ რუსების წინადადება ყველაზე მეტად მისაღებია როგორც თვით კომპანიის, ისე სამუშაო ადგილების შენარჩუნების თვალსაზრისით.

გარიგების ფასი და მისი პირობები ჯერჯერობით გასაიდუმლოებულია, მაგრამ, როგორც ამერიკელები აღნიშნავენ, ყოველივე ამის შეტყობა უკვე მომავალი კვირისათვის იქნება შესაძლებელი. იმისათვის, რომ გარიგება შევიდეს ძალაში, იგი სასამართლომ უნდა მოიწონოს.

ამ ბოლო წლებში „Rouge“, ისევე როგორც ამერიკის სხვა ფოლადსამსხმელო კომპანიები, ძალზე მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რასაც განაპირობებდა ფოლადის ფასების მნიშვნელოვანი კლება, დამახინჯების ზრდა და უცხოელ ფოლადისმწარმოებელთა მხრიდან ძლიერი კონკურენცია.

განვლილი ხუთი წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიხურა 33 ფოლადსამსხმელო კომპანია. რაც შეეხება „Rouge“-ს, მარტო 2003 წლის პირველ ნახევარში მისმა დანაკარგებმა 31 მილიონი დოლარი შეადგინა.

„Rouge“ წელიწადში აწარმოებს დაახლოებით 2,5 მილიონ ტონა ფოლადს, რომლის მოცულობის 70 პროცენტი ხმარდება ამერიკის შეერთებული შტატების საავტომობილო მრეწველობის საჭიროებას.

# სხვადასხვა

**მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე ებრაელმა ჯარისკაცებმა დაჭრეს ამერიკელი და ავსტრალიელი მოქალაქეები. როგორც პალესტინის წყაროები იტყობინებიან, ეს ორი დაჭრილი პირი შედიოდა „პალესტინელ ხალხთან სოლიდარობისა და მათი ინტერესების დამცველი საერთაშორისო დელეგაციის“ შემადგენლობაში. ინციდენტი მოხდა ბალათის ლტოლვილთა ბანაკში.**

* * *

**24 ოქტომბერს ღამით ჰოლანდიაში შეიძლებოდა პოლარული ნათების ხილვა. ნიდერლანდისთვის ეს უჩვეულო ატმოსფერული მოვლენა არის 22 ოქტომბერს მზეზე მომხდარი მძლავრი აფეთქებების შედეგი, რომლის კოსმოსში გამოიფრქვა უზარმაზარი რაოდენობის ენერგია.**

* * *

**„ნიუ-იორკ ტაიმსს“, შესაძლოა, ჩამოართვან პულიტცერის პრემია, რომელიც მას 71 წლის წინ გადასცეს. 1932 წელს პრემია მოიპოვა გაზეთის კორესპონდენტმა საბჭოთა რუსეთში უოლტერ დიურანტიმ. რამდენიმე წლის წინ უკრაინისა და ამერიკის გავლენიანმა ორგანიზაციებმა მოითხოვეს, რომ დიურანტისათვის ჩამოერთმიათ ეს ჯილდო, რადგან მისი რეპორტაჟები არაობიექტური იყო. ამ ბრალდებათა შესამოწმებლად გაზეთმა მოიწვია კოლუმბიის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორი, რომელმაც დაადასტურა, რომ დიურანტისათვის წაყენებული პრეტენზიები სამართლიანი იყო.**

* * *

**ბაღდადში მოკლული ესპანელი ჟურნალისტის კოლეგებმა სასამართლოზე განაცხადეს, რომ ამერიკელმა ტანკისტებმა იცოდნენ, თუ ვის გაუხსნეს ცეცხლი. ოლგა როდრიგესი, კარლოს ერნანდესი და ჯონ სისტიაგა, რომლებიც 8 აპრილს ჟურნალისტ ხოსე კოუსოსთან ერთად იმყოფებოდნენ ბაღდადის სასტუმრო „პალესტინაში“, აცხადებენ, რომ ამერიკელმა ტანკისტებმა განზრახ დაუშინეს ცეცხლი ჟურნალისტებს.**

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა
ზაზა ბეჟანიძემ.

**23 ოქტომბერს** გაეროს სახლში გაიმართა გაეროს სააგენტოების ვებ-გვერდის და გაეროს შესახებ დამხმარე სახელმძღვანელოს პრეზენტაცია. პრეზენტაცია გახსნა ბატონმა ლანს კლარკმა, გაეროს კოორდინატორმა და გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მათი დიდი ინტერესისათვის გაეროსადმი.

წელს 10 წელი შესრულდა, რაც გაეროს სააგენტოებმა მუშაობა დაიწყეს საქართველოში. გაეროს ვებ-გვერდი ასახავს გაეროს სააგენტოების მუშაობას საქართველოში, მათი საქმიანობის მირითად სფეროებსა და მიმართულებებს. გაეროს ვებ-გვერდის მისამართია:

www.ungeorgia. ge

ამავე დღეს შედგა გაეროს შესახებ დამხმარე სახელმძღვანელოს პრეზენტაცია. წიგნი განკუთვნილია მათთვის, ვისაც სურს უფრო ღრმად შეისწავლოს გაეროს სისტემა. წიგნში წარმოდგენილია გაეროს არსი და საქმიანობა, მისი სტრუქტურა და მექანიზმები. მისი მიღწევები და უოველდღიური პრობლემატიკა. წიგნი ფართო საზოგადოებისთვისაა განკუთვნილი.

გაეროს საზოგადოებრივი ინფორმაციის დეპარტამენტი 25-11-26/28/31;
99-85-58; 95-60-94; დამატ. 136

2003 წ. 23 ოქტომბერი.

## გაეროს განვითარების პროგრამას პატივი აქვს გამოაცხადოს ტენდერი

გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლობა საქართველოში იწვევს კომპანიებს, მონაწილეობა მიიღონ შემდეგ ტენდერში: **კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვა.** სატენდერო პირობები განთავსებულია გაეროს განვითარების პროგრამის ინტერნეტის ვებ-გვერდზე: www. undp.org.ge. სატენდერო პირობების მიღება ასევე შესაძლებელია გაეროს განვითარების პროგრამის ოფისის მისაღებში 10-18.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი წინადადებები დალუქული კონვერტით ქ-ნი ნანა ღიბრაძის სახელზე ა/წლის 31 ოქტომბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, 0179, ერისთავის 9, გაეროს სახლი. ტელ: 25-11-26/28/29/31.

## განცხადება სს „მადნეულის“ აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ

სს „მადნეულის“ სამეთვალყურეო საბჭო სს „მადნეულის“ აქციონერებს იწვევს საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაზე, რომელიც ჩატარდება 2003 წლის 18 ნოემბერს დღის 12 საათზე სს „მადნეულის“ ადმინისრაციის შენობაში შემდეგ მისამართზე: საქართველო, ბოლნისის რაიონი, დაბა კაზრეთი.

დღის წესრიგი:

1. სს „მადნეულის“ მიერ 2003 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ საზოგადოების 2003 წლის ბიზნეს-გეგმის შესაბამისად.
2. სხვადასხვა.

აქციონერთა საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან:

— საზოგადოების აქციონერები, რომელთაც აქციებზე საკუთრების უფლება დადასტურებული ექნებათ საზოგადოების აქციათა დამოუკიდებელი რეგისტრატორი შპს „ეროვნული რეესტრის“ (მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი № 74, IX სართული. ტელ: 29-91-03) გაცემული რეესტრიდან ამონაწერით.
— საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს წევრები.
— საზოგადოების აქციათა დამოუკიდებელი რეგისტრატორ შპს „ეროვნული რეესტრი“.

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის 1953 წლის გამოშვება. 1983 წლის 19 ნოემბერი, 30 წლისთავი. ქ. თბილისი.

მოგვაწოდა ვალერიან რეკვავამ.

## ადამიანი ბორტს მიღმა!

# მივმართავთ უხვსა და არა მდიდარსა

ვინც სწრაფად გასცემს, ორმაგად ეხმარება.

ლათინური ანდაზა.

**რედაქციაში ორი ერთნაირი მინაარსის მიმართვა მოგვიტანეს და გვთხოვეს, სასწრაფოდ გამოგვექვეყნებინა. ერთი მათგანი საქართველოს პრეზიდენტის სახელზეა, ხოლო მეორე — ქართველი ბიზნესმენების ბადრი პატარკაციშვილის, ბიძინა ივანიშვილისა და ლევან გაჩეჩილაძისადმი. ორივე მიმართვას ხელს აწერენ მედიცინის დარგის, ხელოვნებისა და მეცნიერების წარმომადგენლები, პარლამენტარები, ჟურნალისტები, პედაგოგები.**

ტექსტში, კერძოდ, ნათქვამია, რომ ახალგაზრდა მხატვარს ელენე ფარადაშვილს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სასწრაფოდ ესაჭიროება ურთულესი ოპერაცია, რომელსაც აკეთებენ ამერიკის შეერთებული შტატების ვაშინგტონის შტატის ქალაქ ბალტიმორის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ცენტრში. ელენეს ამ ცენტრიდან მიწვევა მოუვიდა, აღნიშნული კლინიკის მედპერსონალი მას წარმატებული ოპერაციის შედეგს ჰპირდება.

მიმართვებს ხელს აწერენ ცნობილი ექიმები, პროფესორები — ივა კუზანოვი და თორნიკე ნოზაძე, პარლამენტარები — ადა მარშანია, ხათუნა ხოფერია, გურამ შარაძე, აკაკი ასათიანი, გია ბარამიძე, ლადო ჭიპაშვილი, ზურაბ ტყემალაძე, პროფესორი დენიზა სუმბაძე, მხატვრები — თემო გოცაძე და ემირ ბურჯანაძე, ვახტანგ კიკაბიძე, პირველი კლასიკური გიმნაზიის დირექტორი ლიანა შეწირული და სხვები.

იქვე მითითებულია ელენე ფარადაშვილის ბანკის პირადი ანგარიში:

*INTERMEDIARY:*
HSBC Bank USA
SWIFT: MRMD US 33,
ABA: 021001088
Correspondent Account N 000305022
*BENEFICIARY'S BANK:*
TBS-BANK
11, Chavchavadze Ave, 380079, Tbilisi, Georgia
SWIFT: TBCB GE 22
*BEN'S Account, N 110070073*
*BENEFICIARY: ELENE FARADASHVILI*

P. S. „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის კოლექტივი უერთდება ჩვენი საზოგადოების წარმომადგენლების ამ თხოვნას და იმედს გამოთქვამს, რომ ელენე ფარადაშვილი შეწევნას მიიღებს პრეზიდენტის ფონდიდანაც და, აგრეთვე, ბიზნესმენებისგანაც. სათაურში შემთხვევით არ აგვიტანია ბრძენის სიტყვები (მცირე ინტერპრეტაციით) — სთხოვე უხვსა და არა მდიდარსაო.

## გვიწვევენ აქციაზე

# მხატვართა ხელოვნებამ ოპტიმისტურად რომ განგვაწყოს...

**28 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში დილის 12 საათზე დაიწყება თანამედროვე მხატვრების ინიციატივით წამოწყებული აქცია „საარჩევნო მხატვრული ტილო".**

პროექტი ითვალისწინებს 25-მდე მხატვრის 6-საათიან მარათონს.




მოწვეულ სტუმრებს საშუალება ექნებათ მთელი დღის განმავლობაში ცოცხალი (კლასიკური) მუსიკის თანხლებით დაესწრონ არჩევნების თემაზე ფერწერული ტილოების შექმნას და, რაც მთავარია, მიიღონ მონაწილეობა ადგილზე შესრულებული ნამუშევრების აუქციონში, რომელიც გაიმართება საღამოს 18 საათზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამგვარი აქცია საქართველოში პირველად იმართება, მის ორგანიზატორებს კარგად ესმით დღევანდელი პოლიტიკური ვითარება და იმასაც გრძნობენ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიაში ეს პერიოდი. ამდენად, აქციაზე მოწვეული არიან სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ბიზნესმენები, დიპლომატები... რათა საზოგადოებას საშუალება ჰქონდეს ხელოვნების დახმარებით აღიქვას პოლიტიკური გარემო, რაც შექმნის წინასაარჩევნო ოპტიმისტურ განწყობილებას.

## ღიმილის დოზა



ნიშნავს თუ არა „უმაღლესი სინჯის ქალი", რომ იგი 999-ჯერ გასინჯეს?

* * *

„მარშრუტკაში": „კარებს ნუ მიაჯახუნებთ! შოფერს გული უსკდება!"

* * *

„ვერავინ დაგვაჩოქებს! ვიწექით და კვლავაც ვიწვებით!" (მოშიმშილეთა აქციის მონაწილეთა ლოზუნგი).

* * *

— ალო, ეს სექსია ტელეფონით?
— თქვენ იქ არ მოხვდით.
— ერთი წამით... არც ახლა?

* * *

ავადმყოფი შიშნარევი, იმედით ეკითხება ექიმს:
— ექიმო, გულახდილად მითხარით, ვიცოცხლებ?
ექიმი, ძალიან ზრდილობიანად უპასუხებს:
— თქვენ გაინტერესებთ, არის თუ არა ცხოვრება სიკვდილის შემდეგ?

* * *

ავტოავარიის შედეგად დაშავებულის ცოლს გამოუძახეს სასწრაფო დახმარების საავადმყოფოში.
— ექიმო, მითხარით, როგორ არის ჩემი ქმარი? — ნერვიულობდა ქალი.
— დამშვიდდით ქალბატონო, ყველა დაზიანება, რაც თქვენმა მეუღლემ ავტოავარიის დროს მიიღო, განიკურნება, გარდა ერთისა — თავის ტრავმაზე მოგახსენებთ. იგი სასიკვდილო აღმოჩნდა.

* * *

„ბოევიკის" შვილი მამას ეუბნება:
— სკოლაში გიძახებენ.
— რაო, რატომ?
— ერთი პატარა ბომბი ავაფეთქე.
— თუ პატარა ააფეთქე, მაგისთვის სკოლაში ჩემი მისვლა არ ღირს.
— მართალი ხარ, არ ღირს ნანგრევებში სიარული.

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

## გამოიცა

# „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო"

1996 წელს, დიდი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის დაბადების 120-ე წლისთავთან დაკავშირებით, ისტორიკოსმა დურმიშხან ცინცაძემ პირველად საქართველოს საზღვრების რუკებითურთ გამოსცა ბატონი ივანეს მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი წიგნი — **„საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული".**

ეს წიგნი თავიდან 1919 წელს, საქართველოს საზღვრების რუკის გარეშე გამოვიდა, საბჭოთა ხელისუფლების დროს ტაბუირებული იყო და ხელიდან ხელში ნაბეჭდი სახით გადადიოდა.

1998 წელს აკადემიკოს როინ მეტრეველის რედაქტორობით ივანე ჯავახიშვილის თხზულებების ბოლო — მე-12 ტომი გამოვიდა, რომელშიც რუკებითურთ შეტანილი იყო დიდი მეცნიერის ეს ნაშრომი.



ამ წიგნის პირველ თავში საუბარია აფხაზეთზე, ჯიქეთზე და ღვალეთზე; მეორე და მესამე თავებში ჰერეთზე, ქიზიყზე და ყარაიაზე; მეოთხეში მოთხრობილია სამცხე-ჯავახეთზე და იქ სომეხთა გადმოსახლების საკითხებზე. იქვე მოცემულია კოლა-არტაანის, ტაო-თორთუმ-ისპირის მოკლე ისტორია.

დღეს, ჩვენი საზღვრებშემორღვეული ქვეყნისთვის, ივანე ჯავახიშვილისეული წიგნისა და საქართველოს ისტორიული საზღვრების რუკის მნიშვნელობა მეტისმეტად დიდია. სწორედ ივანე ჯავახიშვილმა უნდა გაგვარკვიოს რანი ვიყავით, როგორი იყო ჩვენი ქვეყანა, ვინ იყო ამ მიწაზე აბორიგენი მოსახლეობა, როგორი იყო ქვეყნის საზღვრები, ვინ არიან შემოსახლებული ხალხები და სხვ. ეს ყველაფერი დიდებული ქართულით აქვს დაწერილი ერის სწორუპოვარ მეისტორიეს.

მე თუ მკითხავთ, ეს წიგნი ყველა ქართველის სამაგიდო წიგნად უნდა იქცეს. არც აფხაზებს, ოსებს, სომხებს, რუსებს აწყენდათ მისი გაცნობა და სათანადო დასკვენის გამოტანა.




აქამდე ეს წიგნი რუსულ ენაზე არ იყო თარგმნილი. ახლახან ხარვეზი შეივსო — ისტორიკოსმა დურმიშხან ცინცაძემ რუსულ ენაზე გამოსცა იგი (თარგმნა აკადემიკოსმა ედიშერ ხოშტარია-ბროსემ, ხოლო რედაქტორია აკადემიკოსი როინ მეტრეველი). მადლობა მათ ამ შესანიშნავი საქმის აღსრულებისთვის და ვისურვოთ, რომ მალე ეს წიგნი ინგლისურადაც გამოსულიყოს, რაც ჩვენს ქვეყანას დიახაც წაადგება.

ვილენ მარდალეიშვილი.

**სურათებზე: რუსული გამოცემის გარეკანი და საქართველოს ისტორიული საზღვრების რუკა.**

# „სამხატვრო აკადემია" — „ინტელექტუალთა გაზეთი

**ვერც წარმოვიდგენდით, რომ 80 წლის ჩვენს სახელოვან სამხატვრო აკადემიას რეგულარულად გამომავალი საკუთარი გაზეთი არ ექნებოდა.** ჰოდა, რა კარგია, რომ სწორედ დღეს, ძნელბედობის ჟამს გადაუწყვეტია მისი დაფუძნება სამხატვრო აკადემიის რექტორს, ბატონ სოსო ქოიავას.

აი, გაზეთ **„სამხატვრო აკადემიის"** პირველი ნომერიც... მისი მთავარი რედაქტორია ცნობილი ლიტერატორი **ედიშერ გიორგაძე**, სარედაქციო კოლეგიაში კი ჩვენი ცნობილი მხატვრები არიან.



გაზეთის გამომცემლებს ცდა არ დაუკლიათ, რომ პირველივე ნომერი მრავალფეროვანი და საინტერესო ყოფილიყო. იგი იხსნება ბატონ სოსო ქოიავას წინათქმით, ანუ სამხატვრო აკადემიის მოკლე ისტორიის მოყოლით, შემდეგ და შემდეგ კი — თორმეტივე გვერდზე — დაბეჭდილია სახელოვანი ქართველი თუ უცხოელი მხატვრების ცხოვრების ამსახველი მასალები, წაიკითხავთ ლექსებს, ესკიზებს, მოგონებებს, ჩვენგან ნაადრევად წასული კოლეგების გახსენებას...

რა გასაკვირია, რომ მხატვართა გაზეთის დიზაინი მოსაწონი იყოს — გამოქვეყნებულია იშვიათი ფოტოსურათები, ცნობილ ხელოვანთა პორტრეტები, ქანდაკებათა რეპროდუქციები, შარჟები, ჩანახატები...

გაზეთი „სამხატვრო აკადემია" — მკაცრი საბაზრო ეკონომიკის პირობებში და ულმობელი კონკურენციის ჟამს — ვერავის გაეჯიბრება სენსაციური მასალებით, მაგრამ, დარწმუნებული ვართ, იგი არა მარტო მხატვრების, სამხატვრო აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების, არამედ, საერთოდ, ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის საყვარელი გამოცემა გახდება.

მაშ, წინსვლა „სამხატვრო აკადემიას!"

შალვა ნიქაბაძე.

## ექსპედიცია

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიხსნა ეთნოლოგ სტუდენტთა მე-8 ფოტოგამოფენა თემაზე: „ბუნება და ადამიანი XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში (თუშეთი ეთნოლოგის თვალით)". წარმოდგენილია მხატვარ-ეთნოლოგის კოტე ლონდარიძის ნამუშევრებიც.**

# „ვინამ თქვა თუშთა დალევა?..."

თუშეთში ეთნოლოგ სტუდენტთა წლევანდელი ექსპედიცია, რომელშიც თორმეტი ახალგაზრდა მონაწილეობდა, რიგით მეორე იყო (პირველად ამ კუთხეს 1965 წელს ეწვია სტუდენტ-ეთნოგრაფთა ჯგუფი, აწ განსვენებული ირაკლი სურგულაძის ხელმძღვანელობით). ეთნოეკოლოგიური ექსპედიციის ორგანიზატორი გახლდათ პროფ. თამილა ცაგარეიშვილი, რომელიც ყოველწლიურად აწყობს ეთნოლოგთა ასეთ გასვლებს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. აქვე ვიტყვით, რომ ამ ექსპედიციებს 1998 წლიდან უშურველად აფინანსებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (რექტორი აკად. როინ მეტრეველი).

თუშეთი მთლიანად 50-მდე სოფელს მოითვლის. ფოტოებზე ძირითადად ასახულია ის სოფლები, რომლებიც გამოირჩევიან განსაკუთრებული სილამაზითა და თვითმყოფადობით, თან, ასე თუ ისე, ხალხიც ცხოვრობს იქ. სურათებზე აღბეჭდილია თუშების წინაპართა მიერ აგებული ციხეები, აკლდამები, სალოცავი ნიშები, ნასოფლარები, ტანსაცმელი, შრომის იარაღები...

ეს პატარა, მაგრამ ულამაზესი კუთხე საქართველოსი, უამრავი თავისებურებით ხასიათდება, გამოირჩევა უძველესი ადათ-წესებით, რომლებიც ახლაც შემორჩა თუშების ყოველდღიურ ცხოვრებას.

თუშები საყოველთაოდ ცნობილნი არიან მეცხვარეობით. ცხვარი ზაფხულში თუშეთში აჰყავთ საზაფხულო საძოვრებზე, ზამთრობით კი — ბარში, შირაქის ველზე ჩამოდიან. თუშური გუდის ყველი ხომ საყოველთაოდ არის ცნობილი.

თუშთა „საფირმო" ნაწარმი გახლავთ ჯეჯიმიანი ფარდაგები, ხალიჩები, ჭრელი წინდები, ჩითები, გათელილი, ნახატი ნაბდის ხალიჩები. აკაზმები — ფარდაგების საქსოვი მოწყობილობა — ძირითადად ხისაა და მას თვითონ ამზადებენ.

თუმცა, ბევრი რამ დღეს რღვევისა და გადაგვარების გზაზეა დამდგარიო, დიდი გულისტკივილით აღნიშნავს ქალბატონი თამილა ცაგარეიშვილი, რომელიც იმ პირველ — 1965 წლის ექსპედიციაში მონაწილეობდა და ახლა, თუშეთი ძალზე შეცვლილი ეჩვენა. მოიყვანა რამდენიმე მაგალითი: მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია, ნაკეთობათა მხოლოდ ნიმუშების არსებობა, რომლებიც, საბედნიეროდ, ადგილობრივ, ომალოს მუზეუმშია დაცული, რომლის მფლობელი ნუგზარ ოდოიძეც მათი შეგროვებითა და შენახვით საშვილიშვილო საქმეს აკეთებს. ქალბატონმა თამილამ ისიც კი აღნიშნა, რომ გუდის ყველს ახლა ცხვრის გადმობრუნებულ ტყავში კი არა, ცელოფნის პარკებში ინახავენ და ამით მას სპეციფიურობას უკარგავენ. მხოლოდ თითო-ოროლა კაცი თუღა იცავს მამა-პაპათა ტრადიციებს.

მოსახლეობის მიგრაციაში იმასაც მიუძღვის წვლილი, სოფ. ომალოში სკოლა, ფაქტობრივად, რომ გააუქმეს. ამჟამად იქ ერთი მოსწავლე და ერთი მასწავლებელია, როცა თავის დროზე თაობები იზრდებოდნენ. ის ერთი მასწავლებელი — ბატონი ილია ქავთარიშვილი თითქმის ამ სკოლის დაარსების დღიდან მოღვაწეობს თუშეთში, შენობა ნგრევის პირასაა მისული, იმის ელემენტარული პირობები არ არის, რომ პედაგოგმა ადამიანურად გამოიზამთროს. თვითდაფინანსება კი, დღესდღეობით, თუშებს არ ძალუძთ.

ასე ნელ-ნელა მოხდა მთელი მოსახლეობის მთიდან ბარად ჩასვლა და ერთ დროს რომ არავის ეგონა „თუშთა დალევა, ნაპირ-მოტეხა ცისაო", ახლა თუშები თუშეთში სწორედაც რომ ილევიან...

პროფ. თამილა ცაგარეიშვილის მიერ ორგანიზებული ექსპედიცია მიზნად ისახავდა იმის მოძიებასა და დაცვას, რაც ჯერ კიდევ შემორჩენილია, ამასთან, შექმნილი პრობლემის საზოგადოებრიობის სამსჯავროზე გამოტანას. როგორც თვითონ აღნიშნა, მან იცის როგორ და ვისი ჩარევითაა შესაძლებელი მდგომარეობის გამოსწორება.

ქალბატონი თამილა მადლობელია ეუთოს დამკვირვებელთა ჯგუფისა, რომელიც ზრუნავდა მათს ტრანსპორტირებაზე, ყოველმხრივ დახმარებას უწევდა ექსპედიციის წევრებს. მან აქვე აღნიშნა ეუთოს ამაგი თუშეთის მოსახლეობაზე, — უფასო სამედიცინო დახმარება.



თუშეთის ეგზოტიკა.



მარეხ ხაჩიურიძე,
მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი.

## მხარე

# გაიხსნა საბავშვო ბაღი

**იყო დრო, როცა კასპში, მეტეხის აგურის ქარხნის დასახლებაში, საბავშვო ბაღი ფუნქციონირებდა. მკვიდრად ნაგები შენობა, სათამაშო დარბაზები და საძინებელი ოთახები, სამზარეულო და კეთილმოწყობილი ეზო, ყველას ახარებდა. შემდეგ ის დროც დადგა, დღეს რომ ასე ერთსულოვნად ვკიცხავთ. საბავშვო ბაღი ვიღას ახსოვდა: ქვეყანა აირია და განუკითხაობა დაიწყო. საბავშვო ბაღმაც არსებობა შეწყვიტა.**

ახლა, როცა ყველაფერი თანდათანობით თავის ძველ კალაპოტში დგება, კასპის რაიონის გამგეობაში აგურის ქარხნის საბავშვო ბაღიც გაიხსენეს. გაიხსენეს და საქმესაც შეუდგნენ. ძველი ბაღი დანგრეული და გაძარცულია. გამგეობის გადაწყვეტილებით, მეტეხის ქარხნის დასახლების არასრული საშუალო სკოლა, იქვე, ქარხნის ადმინისტრაციის სამსართულიან შენობაში გადაიყვანეს, სკოლაში კი საბავშვო ბაღი გაიხსნა. ცამეტი წლის შემდეგ მშობლებმა პატარებთან ერთად კვლავ მიაკითხეს ბაღს. დღეს აქ უკვე 40-მდე ბავშვია.

საზეიმო გახსნაზე რაიონის ხელმძღვანელები ხელდამშვენებული მოვიდნენ: სამზარეულოს — გაზქურები, დგამ-ავეჯი, ქვაბები, ჭურჭელი, პატარებს — სათამაშოები, ტკბილეულობა, ადგილობრივი საკონსერვო ქარხნის ნაწარმი...

კასპის რაიონის გამგებელი ოთარ ჭეიშვილი პატარებს ღუმელებს და შეშას შეპირდა, აღმზრდელ-პედაგოგებს კი მუდმივ ყურადღებას და მხარდაჭერას.

გამგებელი სიტყვის კაცია.

გურამ ვაშაკიძე,
„სრ" საკ. კორ.

## გვწერენ

# „კაცი კაცითაო..."

აფხაზეთიდან მშობლიური კუთხიდან დევნილს, „ჭუბერის გოლგოთას" გამოვლილს, ერთი იმედიღა დამრჩენოდა — შეგვიფარებდნენ და უნუგეშოდ არ დაგვტოვებდნენ... თბილისს მოვაშურეთ. გულგატეხილს ოჯახი შიმშილისა და გაჭირვებისაგან რომ მეხსნა, ჩემს თავს ძალა დავატანე, შევუძახე და სამუშაოს ძებნა დავიწყე... №4 პურის საცხობ ქარხანას მივაკითხე, რადგან პურის ცხობის საკმაო გამოცდილება მქონდა. ქარხნის ხელმძღვანელობამ გულთან მიიტანა ჩემი გასაჭირი, დამეხმარნენ, მხარში ამომიდგნენ... ოჯახი გამაგრდა, მალე კუთხეც მიგვიჩინეს და ცოტა ამოვისუნთქეთ.

ქარხნის დირექტორმა მალხაზ დოლიძემ, მთავარმა ინჟინერმა თამაზ ნავროზაშვილმა, საამქროს უფროსმა იმედო გოგიბერიძემ ჩემს მიმართ უდიდესი სითბო გამოიჩინეს. მათთან ერთად მთელი კოლექტივის მეგობრულ მხარში ამოდგომას არასოდეს დავივიწყებ. მეც ყოველმხრივ ვცდილობდი, რომ მათი კეთილშობილება ჩემი ალალმართალი შრომით გადამეხადა.

მას შემდეგ თორმეტი წელიწადი გავიდა. დღეს, ისე ვეღარ ვმუშაობ, როგორც მაშინ, წლებმა და ნერვიულობამ თავისი გაიტანა, მაგრამ კოლექტივი კვლავინდებურად ისეთივე სითბოთი მხვდება, როგორც იმ გაუსაძლის დღეებში.

ბევრი ჯილდო დამიმსახურებია ადრეულ წლებში, როცა აფხაზეთში ვმუშაობდი, მაგრამ ყველაზე მეტად იმ ადამიანურ ჯილდოს ვაფასებ, რომელიც ამ ქარხნიდან მივიღე.

ნათქვამია, „კაცი კაცითაო". გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით ნება დამრთოთ, საქვეყნოდ ვუთხრა მადლობა ამ დიდებულ ადამიანებს.

ჟუჟუნა სილაგაძე,
თბილისის №4 პურის ქარხნის მცხობელი.

---

დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ სოფო თუთბერიძეს დედის, ქალბატონ

ნინელი რამიშვილი-თუთბერიძის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს განათლების სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქ. თბილისის 44-ე ბაგა-ბაღის გამგე

ნინელი რამიშვილი-თუთბერიძე

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

---

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია თანაუგრძნობს რევაზ ჩელებაძეს

დედის

გარდაცვალების გამო.

მურად ანჯაფარიძე, დიმიტრი ჭანტურია.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ გელაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ბონდო გულიაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — sakresp@gol.ge
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რაინიგზის ჩიხი 20.